
გული თუ ფიქრებმა დაგიმძიმა
დაღლილები ჩამოჯდებით მეგობრებთან
და ილაპარაკებთ სვანებზე —
რა ცრემლით უყვარდათ.
MARIN
ივლისი №2 (3) 2001 წ.

# ხატაური

მოძრაობა „სრულყოფილი ადამიანი - სრულყოფილი საზოგადოება“

1 2(3) 2001

## შინაარსი

4 დიდება მართლისაჲ
გახსოვდეს ეს ჩემგან იყო

5 პროზა
გურამ რჩეულიშვილი

7 პოეზია
ვალერიან საღლიანი

13 პროზა
თამაზ თავაძე

15 პროზა
თეიმურაზ მაღლაფერიძე

20 პოეზია
შერმადინ ქალდანი

23 პოეტის ერთი ლექსი
არ ჩანს თორემ...

25 ხალხური პოეზია
კასლედილი, დერე, სიზმარი.

28 თარგმანები
ედიშერ გიორგაძე

30 ერთ-არსებისა ერთისა
ვიქტორ ნოზაძე

32 ვეფხი კლდით გადმოეკიდა
მიხეილ ხერგიანი

35 თევდორე მეფის მხატვარი
ნ. ალადაშვილი, ა. ვოლსკაია

38 მესტიის მუზეუმი
რუსუდან ყენია

40 ნისლი ფიქრია მთებისა
ნინო ტარყაშვილი

41 სოციოლოგია
**Декларация прав человека XXI века**

49 ვით მარგალიტი ობოლი
ლ. ფოჩიანი, მ. გურგულიანი

53 ინტერვიუ მ. აფრასიძესთან
ერეკლე საღლიანი

58 ქართული ასომთავრული და ბემბოს ფირის საიდუმლოება!..
თამაზ თავაძე

მთავარი რედაქტორი:
ერეკლე საღლიანი

რედაქტორი:
თამაზ თავაძე

ტექნიკური დირექტორი:
ვახტანგ რატიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
გიორგი ძულიაშვილი

კორექტურა: მიხეილ ზანდუკელი
ეკა ბაკურაძე

**ჟურნალის ფასი 3,00 ლარი ტირაჟი 499**

# "ლილეს" ცის ქვეშ

ბუნების დამატყვევებელი სილამაზე, მთებიდან მომსკდარი მდინარეები და ჩანჩქერები, ლურჯად მოლივლივე მთაგორები და ახავერდებული საძოვრები, ასწლოვან ხეთა მოშრიალე ტყეები.

ცის სილაჟვარდეში გედებივით შეფრენილი მარადყინულოვანი უშბა, შხარა და თეთნულდი... უფსკრულის ქიმზე ფრთაგაშლილ არწივთა ყივილი და შურთხთა მომაჯადოებელი სტვენა.

ციცაბო კლდეებზე ჯიხვთა თვალშეუდგამი სხლტომა - კამარა და არჩვების ლაღი ნავარდი...

სვანეთი.

მთიდან მომსკდარ ზვავთა გრუხუნი და ცადაზიდულ მწვერვალებს შეხლილ ქარბუქთა გუგუნ-გრიალი.

არტახებში მომწყვდეული ენგურისა და ცხენისწყლის გაავებული ბდღვინვა-ღრიალი.

ომახიანი «ლილე» და ნაღვლიანი «მირანგულა»...

სვანეთი.

საქართველოს ოლიმპი და სიმტკიცის სვეტი. აქ, ბუნების ამ წარმტაც წიაღში ცხოვრობს, შრომობს და იბრძვის მამაცი ხალხი.

ლეგენდა გადმოგვცემს: გაბედულ ვაჟკაცთა ლაშქარმა მონობის უღელი არ დაიდგა, ბარი მიატოვა და ენგურის ნაპირებს შეჰყვა. ადამიანები მზეს დაეძებდნენ, მთაში ავიდნენ, საჯიხვეებში დამკვიდრდნენ და თავიანთ ახალ სამყოფელს მამაცთა სავანე - სვანეთი უწოდეს.

და პირველად ამაყად გაისმა მზის საგალობელი «ლილე», თითქოს მზემაც უსმინა მთის გაბედულ შვილებს. აქ ფერთა და სხივთა ისეთი სიუხვეა, თავი მართლაც სინათლის ტაძარში გგონია.

დასაბამიდან სასტიკ სტიქიებს, უგზოობასა და მოძალადე მტერს ებრძოდნენ სვანები, აშენებდნენ ციხე-კოშკებს, აშენებდნენ ისე საგულდაგულოდ და ისეთი დუღაბით, მტრის მოძალებამ, ქარიშხალმა და დროჟამმა რომ ვერაფერი დააკლო.

სვანეთი საქართველოს ის მხარეა, სადაც ცხოვრობენ «კაცნი დიდტანოვანნი, ახოვანნი, დიდ მძლედ მუშაკნი» (ვახუშტი).

ბატონის უღელი არ დაიდგა სვანმა კაცმა. მას მუდამ მზად ჰქონდა ცხელი ტყვია და ბასრი მახვილი ხალხის თავისუფლების ხელმყოფთათვის.

სვანეთის ეკლესიებმა და ციხე-კოშკებმა, რომელთა რიცხვი 300-მდე აღწევს, შემოინახეს ძვირფასი ქართული ხელნაწერები. მათი დაცვისათვის, ვინ მოთვლის, რამდენ სვან ვაჟკაცს გაუწირავს თავი. ამ თავდადების წყალობითაა, რომ დღეს საქართველოს მუზეუმში ასე მრავლადაა წარმოდგენილი უნიკალური ფოლიანტები, ერის დიდებაზე რომ ღაღადებენ. ამის მკაფიო მაგალითია, თუნდაც, სვანთა მიერ შემონახული ადიშის ოთხთავი.

აქ, სასტიკი სტიქიისა და თვალშეუდგამი სილამაზის სამყაროში, უხსოვარი დროიდან დამკვიდრებულან სვანები. ბუნების მრისხანე ძალებთან ბრძოლაში გამოიწრთო ხალხის სული და ხასიათი.

ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში სტრაბონი წერდა: «დიოსკურიის მახლობლად სვანები ცხოვრობენ. ისინი ძალგულოვანნი არიან და მგონი თავიანთი გამბედაობით და საბრძოლო ძლიერებით თითქმის ყველა ხალხს აღემატებიან. კავკასიის მაღალი მთები უკავიათ და ყველა მეზობელ ხალხებს განაგებენ...

ამბობენ, რომ მათ შეუძლიათ გამოიყვანონ ორასი ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარი, რადგან მთელი ხალხი ერთნაირი ძალის მებრძოლია».

შემთხვევითი როდია, რომ «ოქროს საწმისის» ლეგენდას სვანეთს უკავშირებენ, აქ, შორეულ წარსულში ეწეოდნენ ოქროს მოპოვებას.

როცა საქართველოს მტერი შემოესეოდა, სვანები მყისვე ნიაღვარივით დაეშვებოდნენ მთებიდან და მოძმე ქართველ ტომებს გვერდში უდგნენ მრისხანე ბრძოლებში სამშობლოს გადარჩენისათვის.

როგორც **კ. რომელი** წერს «მარად მამაც სვანებს ბიზანტიელები თავზარდაცემულნი გაურბოდნენ თურმე». ჩრდილოეთით კი საიმედოდ ჰქონდა ჩაკეტილი საქართველოს კარები. რამდენადაც სასტიკნი და შეუპოვარნი იყვნენ მტერთან შერკინებაში, იმდენად მიმდობნი და გულკეთილნი - მოყვასისადმი. ამას ადასტურებს ფრანგი მოგზაური ემილ ლევიე: «სვანები გულკეთილნი არიან და დიდი სიყვარული აქვთ ყველასი, ვისაც ცოტათი მაინც გულკეთილობას შეამჩნევენ».

ივანე ჯავახიშვილი წერს: «სვანებს თავდაპირველად უეჭველია ახლანდელზე მეტი მიწაწყალი უნდა სჭეროდათ და მრავალი სხვა საბუთებიც სვანეთსა და კახეთს ურთიერთმანეთს უახლოებს». ისტორიული ცნობები და ქართული ენის შესწავლა გვიჩვენებენ, რომ ძველ ქართულ (იბერიულ) სამეფოში სვანური ფენა უაღრესად თვალსაჩინო და ძლიერი ყოფილა.

მართალია, უგზოობამ და ხანგრძლივმა მკაცრმა ზამთარმა სვანეთი რამდენადმე მოწყვიტა ქვეყნის სასიცოცხლო ცენტრებს, მაგრამ მათ მაინც არასოდეს გაუწყვეტიათ კავშირი ეროვნულ მაგისტრალურ ძარღვთან, ცოცხლობდა მისი დიდი სიცოცხლით, სათუთად ინახავდა ქართული კულტურული საუნჯის მონაპოვრებს.

უაღრესად შთამბეჭდავი და მრავალხმოვანია ქართული სიმღერები, როგორც კომპოზიტორი დიმიტრი არაყიშვილი გვაუწყებს, სვანებმა დაიცვეს ის, რაც მათმა წინაპრებმა უძველეს წარსულში შექმნეს. მათი წინაპრები კი უთუოდ დიდ კულტურას ფლობდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი სამხმიან ჰარმონიას, როგორც რთულ

მუსიკალურ კომპლექსს, ვერ შექმნიდნენ.

სვანური სიმღერები ადიდებენ მზეს - სინათლის დედას, გმირობასა და ვაჟკაცობას, მათში შემონახულია ძველი ქართული საწესჩვეულებო რიტუალები და საგალობლები, მოკლე და გრძელი ტონალობით ასე რიგად რომ გამოირჩევიან.

დღეს ამაყად, შთაგონებულად მღერიან არწივეთის მკვიდრნი. ქარბორბალასავით ტრიალებს ომახიანი სიმღერა, მთებიც თითქოს ბანს აძლევენ ვაჟკაცური სულის აღზევებას და დიდებული ჰიმნი მაღლა, ეთერის სილურჯეში იკარგება, ციურ ფერებს შეერთვის. *(ტ. ჩარქსელიანი)*

საოცარია, რომ ჯერ კიდევ XI ს. მუხერის მთავარანგელოზის ხატზე უცნობმა სვანმა ოსტატმა ამოჭრა შემდეგი წარწერა: «უფალო ადიდენ ერთობილი ბაგრატოვანნი, ერთობილი ხევი სვანეთისა და ერთობილი საქართველო».



წარწერა გვამცნობს, რომ კულტურული ცენტრებიდან დაშორებული სვანეთი თავს ერთიან საქართველოს ნაწილად აღიქვამდა. მასში ვერ გაიმარჯვა ტომობრიობამ და გაიბრწყინა ერთიანი საქართველოს ხატმა.

ვინც ჩვენს ჟურნალში დაბეჭდილ მასალებს გაეცნობა და წაიკითხავს ინტერვიუს აწ გარდაცვლილ მიხეილ აფრასიძესთან, იგრძნობს, რაოდენ დიდი სულიერი ნათესაობაა მას და იმ უცნობ სვან ოსტატს შორის. სვანური თავმდაბლობიდან, ერის მსახურებიდან ადიდა უცნობმა ოსტატმა ერთიანი საქართველო და ერის ჭირისა და ლხინის გააზრებაა ბატონი მიხეილის სიტყვები. ალბათ ამ საოცარი განძის არსებობას გრძნობდნენ ჩვენი დიდი განმანათლებლები და დიდი ილიაც ამად ურჩევდა ბესარიონ ნიჟარაძეს: «თუ საქართველო ოდნავ მაინც გიყვარს სვანეთში უნდა წახვიდე.»

ბევრი მრუდე და მართალი სიტყვა თქმულა სვანეთზე. ყველა ერთნაირი სიღრმითა და სიყვარულით როდი ჩასწვდომია სვანი კაცის ფიქრსა და გონებას, მის სულსა და გულს. ზოგი მხოლოდ ამ კუთხის ეგზოტიკას მოუხიბლავს და ალალი კაცის სული ვერ შეუნიშნავს. არადა სვანეთმა დიდ ეროვნულ საგანძურთან ერთად დიდი ზნეობრივი თავგანწირვის მაგალითებიც შემოგვინახა.

სოფელ ლატალში მთელი მოსახლეობა აღსდგა ჩარკვიანების საგვარეულოს წინააღმდეგ. სამწუხაროდ, უზომო რისხვით შეპყრობილმა ხალხმა დამნაშავეებთან ერთად უდანაშაულოებიც არ დაინდო. გაწყვეტილ იქნა მთელი გვარი. ერთადერთი ბავშვი გადარჩა იმით, რომ გაბარებული იყო დედულეთში - სოფ. ბეჩოში. შუაღამისას ოჯახს ალყა შემოარტყეს მდევრებმა და ბავშვის გადაცემა მოითხოვეს. ოჯახში მხოლოდ ბიცოლა იყო. (ამ ქალის მეუღლე ბიძა იყო პატარა ჩარკვიანისა დედის მხრიდან).

კვიციანების ქალმა ჩააცხრო ევზალტირებული ხალხის აღტკინება იმით, რომ მათ მართლაც გადასცა ბავშვი, მხოლოდ საკუთარი.

რამდენად საჩვენებელია მსოფლიოსათვის ეს საქციელი. ქართული ფენომენია მედეაც და კვიციანების ქალიც. ამ უკანასკნელმა შესძლოა საერთოს გადარჩენა საკუთარი ტკივილისა და უბედურების ხარჯზე. მან ჯიშის, ჯილაგის ხსნის სიმაღლიდან წარმოაჩინა ისეთი შრეები, ისეთი ფენები, რომელთა გადმოცემა მხოლოდ მხატვრულ სიტყვას ძალუძს. სცადა კიდეც ერთ-ერთმა შემოქმედმა ამ თემაზე შეექმნა მხატვრული ნაწარმოები და წერის განცდის დონეზეც ვერ გაუძლო ყოველივეს, რადგან მიხვდა რომ მწერალი, რომელიც გაითავისებს ამ თავგანწირვას, ფიქრითაც და აზრითაც უნდა იყოს იმ გმირის თანატოლი.

ოქროს ასოებით ჩაიწერა ერის ისტორიაში 1875 წლის ხალდეს აჯანყება. სვანეთის ერთი პატარა სოფელი დაუპირისპირდა მეფის რუსეთის იმპერიას. ამას გვამცნობს ჟურნალში დაბეჭდილი მწერალ თეიმურაზ მაღლაფერიძის ნაწარმოები «გაულ გავხე».

ყოველმხრივ გზამოჭრილი აჯანყებულები სიმღერით შედიან ქუთაისში.

ასეთი შესვლა იმის მაჩვენებელია, რომ ის, რაც უკვე მოხდა კიდევ უნდა მოხდეს. ეს ქართული ბუნების მზეობაა თანამდევი მთელი ისტორიის მანძილზე.

მღერის აძგერებული გული და მეომარი სტოვებს საკუთარ სხეულს და ეწირება მსხვერპლად იმ იდეას, რისთვისაც იბრძოდა.

ეს სიმღერა გამარჯვების ყიჟინია და მტერზე ძლევის ხმა ამოდის მკერდიდან.

ხალდელელები კაცად შობილობის სიამაყიდან დაჰყურებენ ხიფათს და სძლევენ ყოველგვარ შიშს. ასე ფიქრობდნენ საქართველოს იმ კუთხეში, სადაც სათავეში ერის - სინდისი და ნამუსი - მახეში იჯდა. ფიქრობდნენ და პირად მტერთან ერთად ებრძოდნენ კაცობრიობის უბოროტეს მტერს - შიშს.

ძვირფასო მკითხველო! მეგობრობა შემოგთავაზეთ და განა ამ გრძნობის გარეშე დაიძლევა კი შიში? და შეედრება რამე განცდას, რომელიც ადამიანში მისი დათრგუნვით მიიღწევა? ეს ის ძალაა, როცა აქაურობაში იქაური სხივი და ნათელი მოგდევს. მაშ მოვიცვათ ქვეყნიერების კიდე-განი და ვირწმუნოთ, რომ ჩვენ სამყაროში მარტო არა ვართ.

*გვიმეგვილი*

# დიდება მართლისაი

გიფიქრია ოდესმე, რომ ყველაფერი, რაც შენ გეხება, ასევე მეც მეხება? რადგან ის, რაც გეხება შენ, ეხება ჩემი თვალის ჩინს.

შენ ძვირფასი ხარ ჩემს თვალებში, უძვირფასესი, და მე შეგიყვარე შენ, ამიტომ განსაკუთრებულ სიხარულს მანიჭებს შენი აღზრდა.

როდესაც განსაცდელი დაგადგება თავს და მტერი მდინარესავით მოგადგება, მე მინდა იცოდე, რომ - **ეს ჩემგან იყო**.

შენი უძლურება ჩემს ძალას ითხოვს და უსაფრთხოება შენი მდგომარეობს იმაში, რომ მომცე საშუალება, რომ ვიბრძოლო შენთვის.

თუ შენ იმყოფები მძიმე მდგომარეობაში, იმ ადამიანებს შორის, რომელთაც არ ესმით შენი, ანგარიშს არ უწევენ იმას, რაც შენს სულს სჭირდება და რომელნიც გთრგუნავენ შენ, გახსოვდეს - **ეს ჩემგან იყო**.

მე ვარ უფალი, ყველანაირი გარემოების მეუფე, შენ შემთხვევით კი არ აღმოჩნდი იმ ადგილას, რომელიც მე მიგიჩინე.

შენ არ მთხოვდი, მორჩილება მესწავლებინა შენთვის?! ჰოდა დაგაყენებ ზუსტად იმ გარემოებაში, იმ სკოლაში, სადაც ამ გაკვეთილს ასწავლიან. შენი გარემო და შენთან მცხოვრებნი მხოლოდ ჩემს ნებას ასრულებენ.

**გახსოვდეს ეს ჩემგან იყო**

გაჭირვებაში ხარ და თავი ძლივს გაგაქვს? გახსოვდეს ყოველთვის - ეს ჩემგან იყო. ჩემს ხელშია შენი მატერიალური კეთილდღეობა. მინდა ჩემთან მოირბინო და ჩემზე იყო დამოკიდებული. ჩემი მარაგი ულევია.

მე მინდა, რომ შენ დარწმუნდე ჩემს ერთგულებასა და დანაპირებში. მე არ დავუშვებ იმას, რომ გაბედონ და გითხრან შენი გასაჭირი:

- არ გწამდა შენ ღმერთისო!

ღამ-ღამობით განიცდი ტანჯვას? განშორებული ხარ შენს ახლობლებს? გახსოვდეს - **ეს ჩემგან იყო**. მე ვარ კაცი ნატანჯი, ბევრი განსაცდელი მიგემია. მე დავუშვი განსაცდელები შენზე, რათა მომმართო და ჩემში ჰპოვო სამუდამო დამშვიდება.

მოტყუვდი შენს მეგობარში, ან ვინმეში, რომლისთვისაც გული გქონდა ნაბოძები? გახსოვდეს - **ეს ჩემგან იყო**. მე დავუშვი, ეს სიმწარე შეგხებოდა, რათა შეგეცნო, რომ უფალია ნამდვილი მეგობარი. მე მინდა ყველაფერი ჩემთან მოგქონდეს შენს ლოცვაში.

ცილი დაგწამა ვინმემ? მომანდე ეს საქმე მე და მომეტმასნე მე. რათა გამაგრდე «ენის ყოვლისაგან». თავის დროზე ნათელს გავხდი შენს სიმართლეს, ხოლო შენი სამართლიანობა დაემსგავსება შუადღეს.

დაინგრა შენი გეგმები? დაეცი სულით და დაიღალე? გახსოვდეს - **ეს ჩემგან იყო**. შენ აგებდი შენთვის გეგმებს და მომიტანე მე, რათა მეკურთხებინა ისინი, მაგრამ მე მინდა, რომ შენ მე დამითმო, წარვმართო შენი ცხოვრება, მაშინ პასუხისმგებელი ყველაფერზე მე ვიქნები, რადგან ძალიან მძიმეა ეს შენთვის და მარტო ვერ შეძლებ გამკლავებას, რამეთუ იარაღი ხარ მხოლოდ და არა მოქმედი პირი.

იგემე მოულოდნელად ყოფითი წარუმატებლობები და უიმედობამ მოიცვა შენი გული? - **ეს ჩემგან იყო**, რადგან მე მინდა, რომ შენი გული და სული მუდამ ანთებული იყოს ჩემს თვალწინ და ჩემი სახელით ამარცხებდე ამ სულმოკლეობას.

დიდი ხნის მანძილზე არ იღებ შენი ახლობლებისა და ძვირფასი ადამიანებისაგან ცნობებს და სულმოკლეობის გამო უნუგეშობასა და დრტვინვაში ვარდები? იცოდე - **ეს ჩემგან იყო**, რადგან ამ წუხილით მე ვცდიდი შენი ლოცვების კადნიერების ძალას ამ შენი ახლობლების მიმართ. შენ არ დაავალე მფარველობა მათი ყოვლად წმინდა ღვთისმშობელს?

მოგიხილა მძიმე ავადმყოფობამ - დროებითმა ან უკურნებელმა - და შენ აღმოჩნდი მიჯაჭვული შენს სარეცელზე? იცოდე - **ეს ჩემგან იყო**. რადგან მე მინდა, რომ შემიცნო უფრო ღრმად შენი სხეულებრივი უძლურებისა და არ დრტვინავდე მოწევნული განსაცდელის გამო. არ ეცადო, ჩაწვდე ჩემს გეგმებს, ადამიანის სულების სხვადასხვა გზების გადასარჩენად დაშვებულს, არამედ უდრტვინველად მოუდრიკე ქედი ჩემს წყალობას შენს მიმართ.

ოცნებობდი ჩემთვის განსაკუთრებული საქმე აღგესრულებინა და ამის ნაცვლად სარეცელზე მიგრული აღმოჩნდი? იცოდე - **ეს ჩემგან იყო**. წარმატებისას შენ ჩაძირული იყავი შენს საქმეებში და მე არ შემეძლო მომექცია შენი ფიქრები ჩემსკენ. მე მინდა გასწავლო ყველაზე ღრმა ფიქრი, რათა იყო ჩემს სამსახურში. მე მინდა გასწავლო შეგრძნება საკუთარი არარაობისა და იმისა, რომ ვერაფერში ენდობი საკუთარ თავს.

ჩემი საუკეთესო თანამებრძოლები ძირითადად არიან ისინი, ვინც მოწყვეტილია ცოცხალი მოღვაწეობისაგან, რათა ისწავლონ ფლობა იარაღისა, რომელსაც განუწყვეტელი ლოცვა ჰქვია.

მოწვეული ხარ, უეცრად დაიკავო მძიმე და საპასუხისმგებლო მდგომარეობა? წადი ჩემი იმედით. მე გაბარებ ამ სიძნელეებს, მათთვის გაკურთხა შენ უფალმა ყველა ჩემს გზაზე. ყველაფერზე, რაც გაკეთდება შენი ხელებით.

ამ დღეს გაძლევ ხელში ჭურჭელს წმინდა მირონით. ისარგებლე თავისუფლად. შვილო ჩემო! ყოველი შენი შეურაცხყოფა სიტყვით, ყოველი მარცხი შენს სამსახურში, რომელიც გამოიწვევს შენში გულისწყვეტას, ყოველი აღიარება, შენი უძლურებისა, იყოს ცხებული ამ მირონით.

**გახსოვდეს რომ ყოველი მარცხი უფლის დარიგებაა!**

ყოველი საწრეტელი შეგეხება თუ არა, დაჩლუნგდება, რადგან ჩავდე შენს გულში სიტყვები, რომლებიც მე გამოგიცხადე შენ დღეს: **ეს ჩემგან იყო**!

*მღვდელმონაზონი*
*სერაფიმ ვირიცელი 1937წ.*




მისტერიების სახით ცნობილი, ძველი მსოფლიო ცივილიზაციების სული, გაცხადებულია იდუმალ სწავლებაში, რომელიც აუხსნელ ფენომენს წარმოადგენს და ადამიანის მატერიალური გონისთვის მიუწვდომელია.

გ. რჩეულიშვილის მოთხრობა «დევების ცეკვა» მისტერიული სივრცის შეუცნობლიდან ჩვენს განზომილებაში გარდასახვის ცდაა.

12 ძმა ხორჯოლანი დანაწევრებული დროა, 12 თვის ლტოლვა უსასრულობისაკენ. ცეცხლში გავლა მიწიერი ცნობიერების გადალახვაა, რომ ყველა დრო უნდა გადადნეს უკვდავების ქურაში, რათა გარდაიქმნას «უჟამო ჟამად» - მარადისობად. ეს უკანასკნელი დროს არ ითვალისწინებს, დროში არ ეტევა.

12 ძმის ერთიანი მონუმენტური სახე უნდა შეერწყას საპატარძლოს, ქოჩქელანების ასულს, რომლის სიმბოლოს წარმოადგენს თეთნულდის უკვდავი სახე «ქალწულად ჩაძინებული რომ ქალწულადვე გაიღვიძებს».

დღეს, როცა ჩვენს გვერდით არ არის ამ საოცარი მოთხრობის ავტორი, ნაწარმოები კიდევ მეტ დატვირთვას იძენს. გურამი იმ დანაწევრებულ დროთაგანია, რომელიც ერთ-ერთი ძმის ხორჯოლანის მსგავსად, ცეცხლის სანაცვლოდ, ზღვის სტიქიაში გარდაისახა უკვდავ ფენომენად.

# სვანური ლეგენდა

## რიჰა-ა დიდება მარიამს უშგულისას შესაწირი გინდოდათ ძლიერისა

ძილი არის ბუნების მშვენება.

შავად სძინავთ სვანეთის მთებს... ლელასა და ბანგურიანს. მულახის დედოფალს - ქალწულ თეთნულდს; წვანან მათ შუა მთები ჯვარედინად პირდაპირ, გულაღმა, ოცნებისაგან გარინდებულები, უდარდელად თავქვეშ ხელამოდებულნი, მბორგავვი ძილით სავსენი:

დიდი ხანია გაყუჩნდნენ სვანეთის მთები, თუმცა შუაღამე ჯერ არ დამდგარა - ქედები იძინებენ მზის ჩასვლისთანავე; ზედიზედ იხდიან რუხ, თეთრ, გამჭირვალე, ქულა ნისლების ტანსაცმელს; შიშვლდება გარემო სიბნელეში, ვერაფერი ვერ უძლებს მთათა ძილის სიმშვენიერეს; ყველა ხელის შემშლელი იმალება ხეობაში, გუბდება, ინაბება ან იძინებს, ან უყურებს და სუნთქვას ვერ ბედავს.

ძილი არის ბუნების მშვენება! ხოლო ყველაზე კარგი ძილი მთებს შორის თეთნულდმა იცის; ის იცდის ყველაზე მეტ ხანს, ზურგს უკან მალავს თავისი სილამაზის სარკეს და როცა ყველაფერი შეწყვეტს მის გარშემო მოძრაობას, იხდის თავის საფარველს, მაღლა სწევს ნელი, ჰარმონიული მოძრაობით აქამდე დამალულ მთვარეს, ღამისაგან გაბრუებული იხედება შიგ, იშმუშნება, ქულა, ქათქათა ღრუბლის ბალიშზე მისდებს თავს და სიზმრებად იქცევა.

რიჰა-ჰა! დიდება მარიამს უშგულისას!

ვინ იცის, ვის აუხდება მშვენიერი ქალწულის მუდმივი ზმანება.

მთვარის უმოძრაო შუქზე შეუჩერებლივ გარბიან დაბლა ხეობიდან მაღლა ხევისკენ ერთი დედის შვილები, თორმეტი ძმა ხორჯოლანი.

ღამის წყვდიადში ადამიანის გონებას სძლევენ თავშეუკავებელი ვნებები, ყველანაირად შევიწროებულნი, ხელოვნურად შენიღბულნი და შეძლებისდაგვარად მიჩქმალულნი მზის სინათლეზე. ახლა კი არაფერს შეუძლია შეაჩეროს, ლაგამი ამოსდოს მათ. სიბნელეში იკარგება ყოველგვარი აზრი, ავადმყოფური თუ ჯანსაღი, და განუსაზღვრელად ბატონდება მხოლოდ ჭეშმარიტი არსი-ვნება! ესაა შეუჩერებელი ლტოლვა ერთისადმი, ერთისაკენ, ერთნაირი ძალით.

საბედისწეროდ მიგრგვინავენ სვანის ვაჟები ლოდებით ჩახერგილ ხევში მთის წვერისაკენ, მთის იქით, ფერდაზე, თეთნულდის ძირში მძინარე სოფლისკენ, სადაც აქამდე წყნარად ცხოვრობდა მათი სურვილის ქალბატონი - ქოჩქელანების ასული.

თავაულებლივ გარბიან დაბლიდან მაღლა დევკაცები...

ოდესღაც უსინათლო კოშკზე სიპით ნაშენი სახლი მიუდგამთ ოჯახმრავალ ქოჩქელანებს. მთელ სოფელში მხოლოდ ამ სახლიდან გამოდის ჭრაქებისა და შუაცეცხლის სინათლე. სვანეთის ულამაზესი პატარძალი დგას სამფეხასთან. თმაგაწეწილმა, დამჭკნარმა დედამისმა უკვე თორმეტი ბატკნის თავ-ფეხი ჩაყარა ქვაბში და თმის ვარცხნა დაიწყო.

- სასიძოებისათვის გამზადებული სახარში არ ჩაიხარშოს, - ეუბნება ქალიშვილს.

- შენ სიძეებისათვის სამასპინძლო ბატკნებს ნუ კითხულობ, თმა დაივარცხნე მთვარის შუქზე.

დედა! - ეუბნება ქალიშვილი და ქვაბს მრგვალად აქანებს ცეცხლის თავზე.

გაწეწილი დედაბერი გადის და თმას ივარცხნის, რომ სიძეები ადრე არ შეაშინოს; მისი ნაწნავები იშლება მთელ სოფელზე და სავარცხელს გზას უჩვენებს მიწაზე გაშლილი თმის ლანდები.

- დედა, - ისმის ნაზი, შუაღამისაგან ტკბილ ზმანებადქცეული ქალიშვილის ხმა შიგნიდან.

დედა ხმას არ სცემს.

- დედა... - განაგრძობს უფრო გამშვენიერებული ხმა შიგნიდან. - დედა, - ამბობს ის ისევ, - თუ ჰყოლია თეთნულდს ოდესმე ქმარი? - არასოდეს ისეთი კარგი არ არის ქალწულის ხმა, როგორც შუაღამისას, მბჟუტავი შუაცეცხლის ბოლში გახვეული.

- არასოდეს, შვილო! - ავად, გამყინავად, შიშით ხრიალებს დედის ცივი ხმა მთვარის შუქზე. ის შვილის ყველა ფიქრს ხვდება, ოცნებასავით მიყვება კოშკის კიბეებს, აბლაბუდებით მოქსოვილ ბნელში ადის, დგება კოშკის თავზე და ხეობაში იყურება: სიბნელეში სოფლის თავიდან ბოლოსაკენ ზედიზედ ამორბიან ხორჯოლანები. მთვარე უფრო მაღლა იწევს და ჩრდილები მოკლდებიან, დედა ქოშინით ჩამორბის კიბეებზე და ერთი ფეხით უსწრებს ოთახში გრგვინვით შემოვარდნილ ვაჟებს, რომლებიც ზედიზედ ეყუდებიან კედელთან უმოძრაოდ, მდუმარედ.

პატარძალი ქვაბს აქნევს მრგვალად ცეცხლის თავზე. დედა თხის ტიკით ხელში უვლის ძმებს, არაყს აძალებს მოსულებს და უკვირდება: რომელი იქნება მისი სიძე. ქალწული კი ქვეშეცნეულად, გამოურკვევლად იმეორებს გულში: „არც ერთი, არც ერთი!“

- დედა, ჩვენ შენი ქალის სათხოვნელად მოვედით! -ამბობენ ძმები.

დედა უცებ ჩერდება, არაყს ისხამს პატარა ციკნის რქაში და მაღლა სწევს.

- რომელი იქნება ჩემი სიძე? - ისმის მისი ხმა.

თორმეტი ძმა ხორჯოლანები ნახატწარბა ქალწულს მიჩერებიან: „ჩემი იქნება“, ამბობს თითოეული გულში, ქალწული თორმეტი ბატკნის ოხშივარს ეფარება, რომელიც უხვად სცემს ქვაბიდან და უნებურად იმეორებს თავისთვის: „არც ერთი, არც ერთი“.

- რომელი იქნებით ჩემი სიძე? - იმეორებს დედა და უკვე მეთერთმეტესთან მისული უკვე მეთერთმეტე ყანწსა სვამს.

- რომელი იქნებით ჩემი სიძე? - კითხულობს დედა და მეთორმეტე ყანწსა სცლის.

- მე ვიქნები, - ბუბუნებს თითოეული ხორჯოლანი.

- კარგი, ძმებო, - ამბობს დედა, - დალიეთ თითომ სხვა თერთმეტის სადღეგრძელო ჩემს ქალთან ერთად... თავის საქმროს პატარძალი თვითონ ამოირჩევს.

ბებერი დიდი ჯიხვის დიდ ყანწს აწვდის პირველს და თვითონ უსხამს არაყს.

ცხრა ძმამ დალია თითომ თერთმეტი დიდი ყანწი, მერე სვამს მეათე, მერე მეთერთმეტე, მერე მეთორმეტე.

ო, საბრალო ძმებო, არ ურჩევნოდა დედათქვენს თორმეტის მაგიერ ერთის გაჩენა!

- მე ვიქნები შენი სიძე! - ბუბუნებს თითოეული.

- შენ იქნები ჩემი ცოლი! - მიდიან ისინი პატარძლისაკენ, რომელიც ცეცხლის პირას დგას და ცეცხლივით ცახცახებს.

ო, საბრალო, კარგო ძმებო, თქვენ ეგ ცეცხლი დაგწვავთ. ძმები ახლოს მიდიან ცეცხლთან, პატარძალი შეშას უკეთებს.

ო, საბრალო ძმებო! კიდევ დალიეთ ერთი დარჩენილი ყანწი, თქვენი თავის სადღეგრძელო, ცეცხლის სადღეგრძელო. მის გარშემო ხელი გადახვიეთ ერთმანეთს დევურ მხრებზე და მედგარი ფერხული იცეკვეთ.

ხელიხელგადახვეული ძმები ცეკვავენ ტერფებით, ცერებით, მუხლებზე ვარდნით, ცეკვავენ ცეცხლის გარშემო ფერხულს. პატარძალი შეშას უკეთებს, ათასი მუსიკის ხმები სიმფონიასავით, სიყვარულის სიმფონიასავით, დიდი სურვილის სიმფონიასავით ამოდიან ტკაცუნით ფიჩხიდან და ფერხულს უკრავენ - რაშავდელა...

შეუჩერებლივ ტრიალებენ ალის გარშემო მხარგადახლართული ძმები და თითოეულს ესმის ქალწულის უმშვენიერესი ხმა: ის იქნება ჩემი ქმარი, რომელსაც თავბრუ არ დაეხვევა და ცეცხლში არ ჩავარდება.

ნელა ამოდიან ნისლის ქულები თეთნულდის წვერისაკენ, ეხვევიან თეძოებზე, მკერდზე, ღამისაგან ატეხილ ვნებას უგრილებენ. მისი უხორცო სურვილები ტრიალებენ, უცეცხლოდ იწვიან. ქალწულად ჩაძინებული ქალწულადვე გაიღვიძებს ცოტა ხნის შემდეგ.

არ გეყო, თეთნულდო, შენი უმანკო ზმანებებით თავის მოწონება მთვარეში ყურებით?!

ო, შეუბრალებელო ქალწულო, შეიბრალე ხორცშესხმული კარგი ძმები!

შეუმჩნევლად ჰკარგავს ალი თავის ძალას, წითელი მთვარე თეთრი ხდება, ტრიალებს ძალაგამოლეული ბოლო ძმა ცეცხლის გარშემო, მერე ეცემა და უკვე დამწვარი თავისი ძმების ნაკვერჩხლებში იწვის.

კივილით გარბის გარეთ პატარძალი, არბის კოშკის კიბეზე. ვარდება, დგება, არბის ისევ და თეთრ კაბაში გამოწყობილი დგას მის თავზე; უკანასკნელ ღრუბელს იცილებს თეთნულდი და დგას შიშველი, თავისუფალი თეთრი ზმანებისაგან, რომელიც უკვე დაივიწყა, დგას ლოდიანებს შორის.

ეს არის უდიდესი, წმინდა სიჩუმის წამი მზის ამოსვლის წინ.

ამ დროს ვერაფერზე ვერ ფიქრობს ღამენათევი პატარძალი.

1959 წ.

*გურამ რჩეულიშვილი, 26 წლის ასაკში გარდაიცვალა. სიცოცხლის ამ ხანმოკლე მანძილზე მან შექმნა მოთხრობები, რომლებიც ქართველმა მკითხველმა ისე შეიყვარა და შეისისხლხორცა, როგორც გურამმა - მთები, მცხუნვარე მზე, მოლივლივე ზღვის ტალღები.*



## ვალერიან საღლიანი

# ანთებული ლამფა და კარტოფილის ყვავილი

მე, როგორც შვილობილს, მხოლოდ უსიტყვოდ, მხარზე კოცნით მილოცვა მევალებოდა, მაგრამ, რაკი უფალმა ინება თბილისიდან მიმეწვდინა მამობილისთვის სიტყვა, ამ სიყვარულს საჯაროდ გავამხელ:

როდესაც ვალერიან საღლიანს ვახსენებ - პოეტს და ვაჟკაცს - ორი სიმბოლო მიდგება თვალწინ, ანთებული ლამპა და კარტოფილის ყვავილი.

ოცდახუთი წლის წინ, რიგაში ერთ წვიმიან საღამოს საგამოფენო დარბაზს შევაფარე თავი. ლამპების გამოფენა მოეწყოთ. იყო ლამპები ბრინჯაოსი, სპილენძის, მინის, ბროლის, ფაიფურის, მოხატული, მოოქროვილი... უცებ შუქი გამოირთო და ხანდაზმულმა ქალმა, დამთვალიერებლებს ბილეთებს რომ უმოწმებდა, თავის მაგიდაზე ლამპა აანთო, უბრალო, თუნუქის ლამპა და ჩვენც, გამოფენის არცთუ მრავალრიცხოვანმა დამთვალიერებლებმა, მის მაგიდასთან მოვიყარეთ თავი.

პირველად მაშინ გავისიგრძეგანე, რომ ლამპის დანიშნულება ის კი არ არის, თვალისმომჭრელად ლამაზი იყოს, არამედ ის, რომ ანათებდეს. უფრო სწორედ ლამპის სილამაზე მის ნათებაშია ისევე, როგორც ადამიანისა.

როდესაც ღმერთი უყურებს დედამიწას, ის იმ ადამიანებს ხედავს, ვისშიაც ღვთაებრივი ცეცხლი ანთია, ზუსტად ისევე, როგორც ჩვენ, ღამით სიმაღლიდან გადმოხედვისას მხოლოდ იმ სახლს ვხედავთ, რომელშიაც შუქი ანთია, როგორი წყვდიადიც არ უნდა იდგეს ირგვლივ.

შუქი ანთია ვალერიან საღლიანის აკვან და სტუმარგამოულევ სახლში - ამას ხედავენ ადამიანები.

შუქი ანთია ვალერიან საღლიანის სიყვარულგამოულევ სულში - ამას ხედავს ღმერთი.

«აყვავებული კარტოფილი...» ასე იწყება ერთი ლექსი მურმან ლებანიძის გახმაურებულ «სვანურ რვეულში», ციკლში, რომელიც ჩემი დედობილ-მამობილის სახეებითა და სახელებითაც არის შთაგონებული და გასხივოსნებული.

ბოლოჟამინდელი გაუსაძლისი ზამთრის დროს, როდესაც ჩვენი თანამემამულეების უმეტესობა ვინსეტ ვან გოგის «კართოფილიჭამიებს» ეჯიბრებოდა ან შენატროდა ლამპის შუქზე, თავისი წილხვდომილი ქვეყნის განსაცდელით შეწუხებულ ღვთისმშობელს, ქალწულ მარიამს, ერთ ხელში ყრმა იესო ეჭირა, მეორეში კი, ალბათ, კარტოფილის ყვავილი (როგორც კილლის ქალწულს ლობიოს ყვავილი, პირველი მსოფლიო ომის დროს რომ იხილა აპოლინერმა).

იმ კარტოფილს, რომლითაც ნათელმხილველურად ამარაგებდა ამერიკა ევროპას «ლენდლიზით» მეორე მსოფლიო ომამდე თითქმის ორასი წლით ადრე და, რომლის ძალდატანებით დანერგვამ რუსეთში ეკატერინე მეორის მიერ კეთილი ნაყოფი სწორედ ამ ომის დროს გამოიღო.

აი, იმ კარტოფილის ყვავილს ჰგავს ვალერიან საღლიანის პოეზია, რომელსაც სულიერ საზრდოს დანატრებული ათასობით ადამიანის დაპურება ძალუძს.

სვანებმა ასეთი დალოცვა ვიცით: «რასაც კარგ გუნებაზე ინატრებ, ღმერთმა ყველაფერი აგიხდინოს».

ასი წელი არ მოშლოდეს ნატვრის ხალისი პოეტ ვალერიან საღლიანს, ვისი სიტყვა კაცსაც ესმის და ღმერთსაც.

***მიხეილ ქურდიანი***

# დღეგრძელ იყოს

პოეზია სულის სიმღერაა. ვაჟკაცური სული ვაჟკაცურ ლექსს შობს. ასეთია ვალერიან საღლიანის პოეზია: თამამი, პირდაპირ თვალებში რომ გიყურებს და კეკლუცი მორცხვობით არ გარიდებს თვალებს, ბუჩქებსა და ტალავერში არ იდუმალებს.

მისი პოეტური ხილვა თვალს გადაავლებს ლაჰლადან მთელს კავკასიონს იალბუზიდან შხარამდე, მთის მონაბერი სიოსავით გიწმინდავს სისხლს, გულს, ფილტვებს. იგი არ ეძებს სადღაც სხვაგან, თავისთავის განსამარტავად უცხო შინაარსებს. მისი შინაარსი მასშივეა, როგორც მუსიკაში, რომელიც კომენტარს არ საჭიროებს: ან ისმენ და გესმის, ან არა ხარ მის ტალღაზე აწყობილი და უსაყვედუროდ გცილდება.

ესაა სულის სიწრფელე და პატიოსნება. ჩვენ დროში ეს გმირობის ტოლია. მე მივესალმები ვალერიან საღლიანს, მის ვაჟკაცურ ლექსს, გმირულ სულს, რაც მისი მშობლიური მხარის უტყუარი გამომხატველია. რა ვუყოთ, რომ «აკლია ამ ლომს სინაზე ქალისა».

***ნოდარ ანდღულაძე***
***საქართველოს სახალხო არტისტი***

## ლილე

ო, ლილე, ლილე,
სახიერო დიდება შენდა!
ფანტავ წყვდიადებს, გვმოსავ შუქით,
ნათელს ჰფენ ჩრდილებს...
შენ აღადგინე, რაც დაიქცა, რაც გადაშენდა, -
ო, ლილე, ლილე!
სძლიე ჟამთასვლის
ულმობელი სუსხი და დელგმა,
არც თოვლი შეგრჩა, არც ნამქერი,
არც დაითრთვილე...
წაიღო მწუხრის ყინულები ენგურმა შლეგმა, -
ო, ლილე! ლილე!...
ხარ გულში დგომა,
წადილ ჩვენდა «ბნელ დალიე»-ო
სხივთა ისრებით ფატრავ ნისლებს,
მთებზე დაყრილებს.
ლაპლაპებს უშბა, სავსე არის მზით სალილეო, -
ო, ლილე! ლილე!
დაბულრაობენ მაჩხფარს ზემოთ
თეთრი ხარები,
რქებზე შენი მზე შეუგდიათ, ამხობენ ჩრდილებს...
აღარ გმინავენ მწვერვალები ნამეხარები, -
ო, ლილე! ლილე!...
გარს გრტყამს არვე:
ჯიხვის, არჩვის, ქურციკის, შუნის,
ჭანგსისხლიანი ყვავ-ყორნები ჩამოიცილე...
გაბრუებულან ფასკუნჯები საკმევლის სუნით, -
ო, ლილე! ლილე!
მუხლი უტოკავთ ბედაურებს, ვერცხლის
რახტიანს,
ხრავენ აღვირებს, ძლივს გახედნეს, დაიმორჩილეს...
შენი უსხები, წაბლისფერი, ქედ-ქედ დახტიან, -
ო, ლილე! ლილე!
ქაფად იღვრება ტაგანებში
რძე შვლის და ირმის.
ფარ-ხმლის ხმარებას ასწავლიან
ჩაუქნი შვილებს,
არ უვლის შიშის ჟრუანტელი
უშგულს და წვირმის, -
ო, ლილე! ლილე!...
თამარ დედოფლის საფერხულოთს უვლის ფიხონი,
ცხრაჯერ გაეკრა ცისარტყელა მთებს აბოლილებს...
არც უგულო ვართ, არც ჯაბანნი, არც უციხონი, -
ო, ლილე! ლილე!...
ვერ წარგიტაცეს,
ჩვენ გვიხმობდი, ჩვენდა მოჰქროდი,
სიმღერა იყავ, შუქად იქეც, მზეს დაეწყვილე...
გივსებენ თასებს იაგუნდით, ლალით ოქროთი, -
ო, ლილე! ლილე!...
უკვდავებასთან, სიცოცხლესთან
ხარ წილნაყარი,
მარადისობას ეზიარე და ჩაეწილე...
კვლავ ჩვენთან ივლი ჟამთასვლაში
როგორც მაყარი, -
ო, ლილე! ლილე!...
ლილე!...

## სვანური ნანა

ნანა
კოშკზე არწივები სხედან,
ყივიან და ბანს აძლევენ მთანი...
არ შეშინდე გენაცვალოს დედა, -
ნანი, ნანი, ნანაილა, ნანი.
გარეთ ცივა, ქარიშხალი გმინავს,
ელვამ დასწვა ქედებს ოქროს თმანი...
დაიძინე, ვარსკვლავებსაც სძინავთ, -
ნანი, ნანი, ნანაილა, ნანი.
ჯავრიანი უშბა ღრუბლებს იხვევს,
ნისლში თვლემენ უშგული და ცანი...
მამაშენი გაჰყოლია ჯიხვებს, -
ნანი, ნანი, ნანაილა, ნანი.
შენც ივარგებ, შემოგევლოს დედა,
გამეზრდები უშიშარი სვანი...
დრო მოვა და კლდეში წახვალთ ერთად, -
ნანი, ნანი, ნანაილა, ნანი.
ფრთა გაშალე ამირანის დარად,
შენი ქვეყნის მტერ-მოყვარე სცანი...
ხალხს და ოჯახს უერთგულე მარად, -
ნანი, ნანი, ნანაილა, ნანი.

## არხვატში

გავივლი ამ ღელეს, იმ ღელეს
და კლდეებს ყინულის გარსიანს.
შევხვდები ამღელებს, ჭიმღელებს,
ვიმღერებ, ვამღერებ გარსიას.
გამიყვანს ბილიკზე გაბური,
ხანჯლით და სვანური ქუდითა.
შემხვდება ღრუბლებით ნაბური
სოფელი სვიანი ლუდითა.
ლუდსა სმენ და ეშხში შესული
არხვატი ინებებს მარულას;
მომართმევს ბედაურს ხევსური
და მთებზე მივფრინავ ქარულად.
ო, გულში მინთია ხანძარი,
მივდივარ, ცრემლები დამდინდა.
დამკარით ხმალი და ხანჯარი,
მე სხვაგან სიცოცხლე არ მინდა!...

## *ოთხი ეტიუდი*

### მახვში

ამღერებს ჭუნირს ჭერმაღალ სახლში,
მოდიან სმენად არვენი შუნთა...
სახე უცინის ასი წლის მახვშის,
კიდევ ასი წლის სიცოცხლე უნდა.

### სურათი

ღამეა. თვლემენ ლოდები ციხის.
მოაქვთ ღრუბლები ჩეგემის ქარებს
გადმოდგა ქედზე ამაყი ჯიხვი,
შეხტა მაღლა და ურქინა მთვარეს.

### ღამე ხატში

შუაღამეა. ჩვენ ალბათ თორელ,
დილამდის აღარ გავიფანტებით.
კიდევ დამისხი არაყი თორემ
შარს ამიტეხენ მთვრალი ხატები.

### ფიქრები სიბერეზე

ვაიმე! თმაში ჭაღარას ვხედავ!
სიბერე მოდის, სილაღე წავა...
ისეთი სარკე სად არის ნეტავ,
რომ თეთრი თმები მიჩვენოს შავად!...

## ვეფხი კლდით გადმოეკიდა
***მიხეილ ხერგიანს.***

რად ტირის ღრუბლებში
ჩუმ-ჩუმად ნეტა მზე? -
თვალს ცხელი ცრემლი წვავს,
გულს - ნაღვერდალები...
თმებით დაკიდულან თოვლიან კეტამზე
დამხრჩვალი დალები...

დასრულდა ზღაპარი.
მოელო ბოლო მითებს.
უშბიდან მეწამულ მაშხალებს ისვრიან...
ო, ფისიც დასხმია მაცდურ დოლომიტებს,
ჩხვიმლიან!*

თეთნულდის თეთრ წვერზე
კურცხლები დაგორდა.
ვარსკვლავნიც დნებიან, ცრემლებად ცვივიან.
ვაი მე, რა ნადიმს გიმართავს აგორდა,**
ჩხვიმლიან!

წევს მთელი სვანეთი
ლალსა და ქარვაში,
აჟრჟოლებთ, ცრემლი სდით
მურყვამებს თრთვილიანს...
შუნებით სავსეა ლაცგა და ცხარვაში,
ჩხვიმლიან!...
კივიან ზარები
და შმაგი ქარები.

ყინულებს ლოკავენ,
მთებს გაეთამაშნენ...
კვლავ მთაში დაუდის სამსხვერპლო ხარები
მამაშენს...

მჭიღს იცემს,
ლაღამი ცრემლებით მოალტო, -
ხვალ შენი მოძმენი ჯიხვებზე ივლიან...
ბოროტი ღიმილით გისტუმრებს სოალტო,
ჩხვიმლიან!...
ო, რად შლის სიკვდილი
სიცოცხლის თარიღებს? -
სად შემოგვეფეთა მზაკვრულად, ფარულად,
მაგრამ შენს საქმეებს ლეგენდად წარიღებს
ჟამთასვლის მარულა.

კლდეზე აღესრულე,
შმაგო ვეფხო, კლდეთა.
ტახტზე კვნესით სიკვდილს
ეს სჯობს გაცილებით...
ცაში დაფრინავდი, მიწას შეუერთდა
შენი დამსხვრეული
ტანის ნაწილები...
გაწყდა ბაწარი და
კლდეზე დაეკიდე
გარს ცეცხლისფრთიანი ღრუბლები გივლიან...
ალბათ ბეთქილივით თეთრ შუნს გაეკიდე,
ჩხვიმლიან!

* * *

აქეთაც ქარაფებია,
იქეთაც ქარაფებია,
მოვკვდებით? არაფერია
ვიცოცხლებთ? არაფერია.

## ჯიხვი

ჯიხვი ზევით არ იხედება, რადგან
ჰგონია, რომ მასზე მაღლა ვერაფერს ძალუძს
ასვლა, ამიტომ თუ გინდა სათოფედ მოიხელთო,
ზევიდან უნდა მოექცე.
*სვანი მონადირის ნათქვამი*

ფრთხილად!
გექუფრება მზერა მადლიანი, -
წადი, მერე მოძოვ ბალახს მადიანად!
ქარაფს შეაფარე რქები ადლიანი,
მადლიანო!
მაღლა აიხედე,
ნაპრალის საშოშია
კაცი ჩათესლილი ჩრდილად...
მტერი ზემოდან უფრო საშიშია,
ფრთხილად!
ფრთხილად!
ფრთხილად!

* ჩხვიმლიან - მიხეილის მოფერებითი სახელი
** აგორდა - სოფელი იტალიაში

## სვანური ქუდი - ნამუსის ქუდი

ამ ქუდს წინაპრის სისხლი ამჩნია,
სვანეთის მთების სურნელი უდის, -
ვისაც ნამუსი არ გააჩნია,
არ დაახუროთ სვანური ქუდი!
შვენის მეჯოგეს, მხვნელ-მთესველს, ხუროს,
თეთრწვერა მაჩვშის, გადმომდგარს ზღუდით,
მაგრამ ჯაბანმა არ დაიხუროს,
სვანური ქუდი - ნამუსის ქუდი!
ბევრჯერ, ო ბევრჯერ ამ ქუდის შიშით,
მტრებმა ძაღლივით აქნიეს კუდი...
მეამაყება, რომ მოგვდგამს ჯიშით
გვეხუროს თავზე ნამუსის ქუდი...
ძმაო, იხარე, რომ ქუდით შენით
ზუგდიდში ქორწილს - კახეთში ვართ რთველს...
ეს ქუდი ხიბლავს, ეს ქუდი შვენის
ყველა მამაც და თავმდაბალ ქართველს.
წელი მოგვწყვიტა ხურჯინმა, გუდამ,
(ვერ ვიტრაბახებ ხურჯინით, გუდით).
მე ვიამაყებ ამ ქუდით მუდამ,
ნამუსის ქუდით - სვანური ქუდით.
ამ ქუდს დედები ხელში აჩრიან
ჭაბუკებს, ახლადდაფრენილთ ბუდით...
ვისაც ნამუსი არ გააჩნია
არ დაიხუროს სვანური ქუდი...

## სვანური ლოცვა წმინდა გიორგის ხატთან

გვიმრავლე სახიერო, ქუდოსანი,
ბრიალა ლამპრების ამნთები...
ვფიცავ: არაა უნდო სვანი,
მხოლოდ მტერს არ ინდობს ამ მთების...
ღირსგვყავ სიმაღლეთა მთებიერის,
გვიყმე, გვიმსახურე, შეგვეწიე;
აღარ დაგვიმეხო ფრთები ერის,
ყველგან მფარველად და მზედ გვეწვიე...
თუ გვკლავ, მოგვაკვდინე მამაცთ ხვედრით,
ზეცად აღავლინე ლოცვა ჩვენი,
ხიფათს აგვარიდე, ამას გვედრით,
წყლული მოგვირჩინე მოსარჩენი...
ღაღადყავ ზეარსთა საბრძანისში
მიწის ვედრება და აჯა ჩვენი,
მშვიდობით გვატარე ქარში, ნისლში,
გვენდე და ჩვენ ვიცით დანარჩენი...
გაგვიღე უფლის სანათელო,
გვიმრავლე კეთილი მოსარჩლენი.
იხსენი დედა საქართველო,
ჭირი მოურჩინე მოსარჩენი!...



## მურზაყანის გახსენება

«1857 წ. სვანეთის მთავარმა მურზაყან (კონსტანტინე) დადეშქელიანმა დედის სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო მისსავე კაბინეტში მოკლა ქუთაისის გუბერნატორი გაგარინი».

თავადობს თავადურად თავადე,
გადადის სუფრასთან ძმურ საყანს;
იხსენებს ჩუბე ხევის თავადებს.
და უთვლის შენდობას მურზაყანს.
შეივსო ბარძიმი თავადა,
მოოქვრილ-მოვერცხლილ სურათი.
კვლავ ფეხზე წამოდგა თამადა, -
გაცოცლდა წარსულის სურათი:
სისხლ-ცრემლი დგას გუბედ ნატბორი,
დაღვრილი სვანური კალდიმით,
დაცურავს შიგ გუბერნატორის,
მოჭრილი თავი და კვარდიმი.
შეიკრა წარბები კაიშმა,
გმირებსაც ხიფათი სდევთ მკაცრი...
სვანეთში გლოვის ხმა გაისმა,
ტყვიებით დაცხრილეს დევკაცი...
კაცს კლავენ ჯილაგი არ წყდება,
გალაღებს, რომ მისი ხარ მოდგმა.
კვლავ მრავალ სიცოცხლეს გაწვდება.
სიკვდილით სიცოცხლის ამოთქმა.
თავადობს თავადურად თავადე,
გადადის სუფრასთან ძმურ საყანს;
იხსენებს ჩუბე ხევის თავადებს.
და უთვლის შენდობას მურზაყანს.

## ბრძოლის გარეშე...

მიარღვევ დელგმას ფრთამალი ცხენით,
ჰარაშის მთები მოითარეშე...
წუთითაც არ გწამს სიცოცხლე შენი -
ბრძოლის გარეშე!

ხარ შეხიზნული მთათა უბეში,
კვიცი გახედნე, ხმალი გალესე.
ცხენიც არ გინდა უწვრთნელ - უგეში,
ბრძოლის გარეშე!

ძმად გზვდება სამმო გვარი და თემი,
გულო, ილხინე, გაიხარე შენ...
რა იქნებოდა სიცოცხლე შენი
ბრძოლის გარეშე!

სვამ სვანურ ქუდით ანკარა ვეძებს,
სწვდები ვარსკვლავებს - მთვარის ფარეშებს.
ვერ დაამიწებ მაგზელა ბეჭებს
ბრძოლის გარეშე!

## ელფრიდა კურელას ეპიტაფია

აქ დაასრულა ცხოვრების შარა,
წევს საქართველოს მშვენებით მთვრალი;
ამ ქალს სვანივით უყვარდა შხარა
და ხევსურივით - არხვატის წყალი.

## ღამე ქისტებთან

ცის თაღებიდან
მითხრა მარიხმა
ვაჟა-ფშაველას ლექსი...
მესმის ჯოყოლას იდუმალი ხმა,
მუცალის კვნესაც
მესმის...

ელვამ ღრუბლები წითლად გახაზა, -
თავს მადგას ლანდი ქისტის...
სადღაც ჭალაში ტირის აღაზა,
«დროდადრო გული მისდის»...

თავს მევლებიან, -
ძმობა-ღალატი
როდი ვიყიდე მისხის...
არ მეშინია ქისტის ღალატის,
«თუნდ ზღვა მემართოს
სისხლის»...

## როგორ მოვბერდით!...

როგორ მოვბერდით,
წავიდა ლხენა, დაჭკნა ლაღობა.
გზა აღმართებზე ქარმა ჩაღობა.
ველარ დავდივართ მთებში მოლბერტით,
როგორ მოვბერდით!

გაშრა მელანი.
გაგვიცვდა ფუნჯი.
ჟანგი ჭამს კალამს, -
ძლივს გაგვიღმა ჯანღიდან კალამ,
არ მოგვყვებიან ტურფანი გვერდით,
როგორ მოვბერდით!

გაქრა ღიმილი,
სათნო თმის ფერი,
წარბთა სიმშვილდე.
შემოიპარა სულში სიმშვიდე.
ველარ მივარღვევთ ქარიშხალს მკერდით,
როგორ მოვბერდით!

შემოგვაღამდა.
ღრუბელმა ელვის გაკრა ცას ფუნჯი,
ფრთებს გვიტყლაშუნებს შავი ფასკუნჯი...
ტირის კალამი, მოსთქვამს მოლბერტი,
როგორ მოვბერდით!
როგორ მოვბერდით!

## ახსოვს დიდგორს...

მზე დაჰნათის სისხლით მორწყულ მინდორს,
მზე ჩამოდის ციდან ოქროს ნავით,
დღეს დავითი ჩვენთან არის თითქოს,
მფარველ გვექმენ კურთხეულო დავით.
შენი სიტყვა ისევ შაქარრთველობს,
მტლად გედებით და გესალბუნებით,
ლოცვასავით ესმის საქართველოს,
შენი ხმა და შენი ფსალმუნები
თურქ-სელჯუკი დაგვიგდია ფერხთით,
ილღაზს თავზე დააქუხა ცამან,
ესრე მაღლა იპყარ მეფის კვერთხი,
ესრეთ მაღლა, ვითარ ვერვინ სხვამან.
ძლევად მტერთა, რისხვად უსახურთა,
მოდის მთებში მიმალული სვანი,
აბჯარს ისხამს, სმენას უტკბობს ყურთა,
გალობანი სინანულისანი.
ხმალს იქნევს და ჯერ არ იხდის ჩაჩქანს,
კვლავ არ მოდგეს დიდგორს უცხო სპანი,
უერთდება საქართველოს ლაშქარს,
სტიქიასთან ნატოქარი სვანი.
ვერ მოგვწვდება მტერი ზრახვით, ავით,
განიწმინდე სისხლისაგან მტკვარო,
აგვარიდე ჭირს და ხიფათს დავით,
საქართველოს მახვილო და ფარო.
ფუტკარივით წამოვიდა სვანი,
ვერ ეტევა თაფლით სავსე სკაში,
არ მოიხმო ყივჩაღნი და სხვანი,
ჩვენ ჩავდგებით შენს უძლეველ სპაში.
ახსოვს დიდგორს ძლევაჲ საკვირველი
და ჩხარუნი შენი აბჯრისანი,
თუ ქართველმა ხმალზე იკრა ხელი
გორდას აღარ მოამშიებს სვანი.

## მითხარით ვაჟაის ლექსი

მზე ჩადის მწვანეში ჩაფლული დიდრუ
და რუხი კლდეების შიბნი.
მომწყინდა მთელი დღე დანტე და დიდრო, -
მომეცით ვაჟაის წიგნი!
უკივის კოშკიდან არწივთა ხორო
თამადას, პირქუშს და ამაყს...
მაძალებს ხაჭაპურს დეიდა ხორა,
თათუა მაძალებს არაყს.
მზე ჩადის მწვანეთში ჩაფლული დიდრუ
მაგონებს უშგულს და ლექსირს...
მომწყინდა მთელი დღე დანტე და დიდრო,
მითხარით ვაჟაის ლექსი!

## მალე ინათებს...

«რად მწუხარე ხარ»
სულო ჩემო, რად მწუხარე ხარ? -»
უფლის სახელზე ნასუქ ტარიგს
დავკლავ ხვალე ხარს.
აღვადგენ ტაძარს მიტოვებულს,
ნაბუქ-ნამეხარს,
«რად მწუხარე ხარ?..»

ავანთებ სანთლებს,
შევთხოვ უფალს მადლსა და ჰაჯსა*, -
მტერმა ვერ გვნახოს დაცემული,
კუშტი მწუხარე.
გავუმკლავდებით ყველა მტარვალს,
ავსულს და ქაჯსა,
კვლავ იგიზგიზებს
ჩვენი ბუხარი...

ისევ აღდგება,
გაიხარებს ჩვენი მხარე ხვალ,
გადაეცლებათ საზარელი სისხლის ინა მთებს...
«რად მწუხარე ხარ სულო ჩემო,
რად მწუხარე ხარ?»
«რად მწუხარე ხარ?»
ოდეს ბნელში სიტყვად ინათებ.

## «ლილეს» შემქმნელის ეპიტაფია

ჩემი გზა მაღალ მწვერვალზე გადის,
არ იზომება ეგ გზა მეტრებით,
სული სავსეა, ტკივილით, დარდით,
სიმღერა - მზით და ჰეგზამეტრებით.
მე ვთქვი პირველად «რიჰო» და «შგარი»,
ცისა და მიწის ვიწამე ფიქრი...
მომდევს, მომკივის ჟამთასვლის ქარი
და უკვდავების ლაჟვარდზე მივქრი...
მე გამოვუხმე ბეთქილს ჭოლაშით,
ჩავტოვე თოვლის მტვერსა და ლექში,
აღვძარ სიმღერად ბარბალ დოლაში
და ღვთის ფსალმუნად ვაქციე ლექსი...



ვინა თქვა ჩემი დაცემა, დაღლა,
მზის სალალხორო სივრცე მიტაცებს,
ხმა იდუმალი მეწევა მაღლა
და ვერ ვისვენებ ცოდვილ მიწაზე...
არ დამიოკდე სიმღერავ ჩემო,
მფარველ მექმენი, ბედთან მორკინეს...
მე ვიფრიალებ ვარსკვლავებს ზემოთ
თუ აქ, მიწაზე შემხსნი ბორკილებს.

## შორეული წინაპარი

მზე მწვავდა
      ივერიის მინდორთა,
ურარტუს ქვაბებში
      ვეძებდი გვარ-ტომს...
სიცოცხლე?
      ო, როგორ მინდოდა
და მაინც მომკლეს,
      რატომ?

## მამა

*«მე თვით სიკვდილსაც გარდავქმნი ლექსად»...*
ლადო ასათიანი

გულს გამიჩინა შავი ბზარები
შენმა მკვნესარე ხმამა...
რატომ რეკავენ მწუხრის ზარები? -
მამა!...

ჩემსავით ტირის ჭუნირი შენი,
სულს მწარე ურვა შხამავს...
ო, განაძევე მაცდური სენი,
მამა!...

გარეთ სიკვდილი ყეფს გააფთრებით, -
ეზოს ედება ქამა...
სად მიგაფრენენ შავი აფრები? -
მამა!...

რა იქნა შენი ჯაჭვის თორანი? -
გაკრა სიკვდილის ფრთამა...
კოშკზე ჩამოჯდა შავი ყორანი,
მამა!...

გული წუხილის სახმილად მექცა,
თვალნი  - ცრემლების ნამად...
ო, მე შენს სიკვდილს გარდავქმნი ლექსად,
მამა!...

*ვალერიან სალღიანი*

* ჰაჯი - ღვთის წყალობა

# ლაზარეს აღდგინება

იდგა ბული ქალაქსა ზედა. ოხშივარი ასდიოდა ყოველ დუქანსა და სარდაფს, რესტორანსა და სახაშეს. ქეიფებში მდინარეებად იღვრებოდა ღვინო, არაყი... დუდუკი, ქალები და იყო ერთი აურ-ზაური. ყველა ყიდულობდა ან ყიდდა. არა, არ ყიდულობდა, - იპარავდა. არა, არა, კიდევ უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, - ეზიდებოდა. რა ენაღვლებოდათ, რა, თავიანთი ხომ არ იყო, - სახელმწიფოსი იყო.



არადა, სახელმწიფოს ჭერი უკვე ჭრიალებდა, მრავალი ბზარი გაუჩნდა და თავზე ჩამოსამხობად იყო მზად. მაგრამ დაბრმავდა ყველა, ვერავინ ხედავდა მოახლოებულ უბედურებას, კიდევ მეტად იფლანგებოდა და იფლანგებოდა მომავალში სიღატაკის მომტანი ხაზინა. კი მაგრამ, რა სჭირთ ამ ადამიანებს, რა სენი შეეყარათო და სიუხვის უბედურება სჭირთო, და ქვეყანას რაღა ჰქვიანო, - და ადრე თუ ახლაო? არა, ახლაო, თორემ ადრე მომავლის იმედად იყო ცნობილი და ახლა რა ჰქვიანო? აბა, რა ვიცით, შენი ჭირიმე, უსახურს რაღა სახელი უნდაო, მაგრამ ერთი კი ცხადია პრინციპების არა მქონენი არიან და აკი ამიტომაც შეეყარათ სიუხვის უბედურებაო...

კიდევ დიდ ხანს გაგრძელდა ლხინი და ღრეობა. და ბზარები კი იზრდებოდა და ბოლოს, მეხივით დაატყდა თავს მოქეიფეებს გიგანტური შენობის გიგანტური თაღი.

მოფრინავდნენ ძირს, დამხობილი კედლების აგურები და იყო მსხვერპლი დიდი და იდგა კვნესა და გმინვა იქ, სადაც სულ ცოტა ხნის წინ ესოდენ გრანდიოზული ღრეობა მიდიოდა.

...რა მოხდაო, და დულაბმა ვერ დაიჭირაო, და რა დულაბი იყო ასეთი გამოფიტულიო, და ქრთამი და ნაცნობობაო, ხინკალი და ქაბაბიო, მწვადი და ღვინო და ასეთი დულაბი ხომ იცით, -მხოლოდ გამოფხიზლებამდეო. კი მაგრამ, თავიდან რაღას ეჭირაო და იცოცხლეთ, თავიდან ძლიერი იდეებით იყვნენ შედულაბებულებიო.

აბა, ახლა რა ჭირი დაემართათ, და ულმერთობამ უწიათო. თუ დულაბში ღვთისნიერება არ ურევია, დროთა ვითარებაში კედლები ინგრევაო და რატომ? იმიტომ, რომ როცა სულიერი დაცემა შეუმჩნევლად შეუჩნდება ადამიანთა გონებას, მაშინ შიდადამოკიდებულებათა ბზარები ჩნდება და ეს ნიშნები ეპოქათა მონაცვლეობის დროს შეიმჩნევიან განსაკუთრებით აშკარადო. თუ წარსულში დანგრეულ ტაძრებს (მკითხველო წაიკითხე - "ეპოქებს"!) გადავხედავთ, რომ ყოველ აღორძინებას და აყვავებას, ხრწნა და ნგრევა მიუძღვის წინო და ეს აღორძინება და აყვავება მაშინ მოხდება, თუ დულაბი ძლიერიაო, ანუ თუ სული განახლდაო. ჭეშმარიტი აყვავების ძიება პრინციპების, ანუ დულაბის კომპონენტების განახლებას ითხოვსო და მაშინღა დამკვიდრდება განახლებული მშენებლობაო. სულის ჭეშმარიტი განახლების გარეშე ვერაფერს ვერ ააშენებთო...

და იყო ერთი დიდი ნაგავყრილობა, და იდგა აქოთებული სუნი. აქა იქ ძველი აგურებით ცდილობდნენ ხუხულების აშენებას და დულაბი კი ძველი იყო, - ისევ ის ოქრო, ქრთამი, ქურდობა, ლულაქაბაბი და... ტაძარი კი არავის გამოსდიოდათ, - ვინც კი ეცადა ისე დაენგრათ, დამთავრებაც კი ვერ მოასწრეს, ან როგორ უნდა აეშენებინათ, ყველა აგური ხომ ძველი საროსკიპოებისა და დუქნების, ციხეებისა და ბინძური სასტუმროების ნანგრევებისა იყო და არც ერთი მათგანი ახალი არ ყოფილა. ახალი მხოლოდ ეხლა ყალიბდება და არამცთუ გამომწვარი არ არის, ჯერ არც კი გამომშრალაო.

მთელი ქვეყანა ძველი გადმონაშთია, ყველას სქლად ადევს შუბლზე ძველი დულაბი, - ქრთამი, ნაცნობობა, კარიერიზმი, მწვადი, ხინკალი... თუ შეერთება გადაწყვიტეს, - პრინციპების განახლების გარეშე ისევ საპყრობილე გამოვა და საპყრობილე ვის რაღად უნდა დღესო.

ბევრი, ძალიან ბევრი სიმახინჯე დაიბადა ძველ ნანგრევებზე, რამეთუ, - მოგეხსენებათ ძველი დულაბის უვარგისობა. არაფერი სიკეთე არ გამოვა მისგან, თუ აგურს (ოხ, როგორ მინდა ვთქვა ღია ტექსტით, -

ადამიანს!) სქლად ადევს შუბლზე ძველ უმსგავსობათა იმპერიის ნოსტალგია და, დაიღალა შემოქმედი, და შეისმინა აგურთა კვნესა, გმინვა და ვედრება, რომელთაც სურდათ ტაძრად დაწყობა, ერთობად ქცევა და მოუხმო ხუროთმოძღვარს - ლაზარეს. მოვიდა იგი და მძლავრად დასცხო აგურებს ჩაქუჩი შიგ შუბლში და შუბლზე ნადები ძველი დუღაბი შემოაცალა ყველას.



ხო! რა გასცლიდა აგურებს (ვაიმე, ვაიმე, - ეს ალეგორიაა - ადამიანებს!), ბიცინი, კოლგოტკა, პრეზერვატივი, ჰომოსექსუალიზმი, ლესბიანობა, ბარიგობა, დანოსი, სუკი, არაკაცობა, ქრთამი, მუხანათობა, მზაკვრობა, კარიერიზმი, არაკომპეტენტურობა, მფლანგველობა, ნაციონალიზმი, იმპერიალიზმი... აღარაფერს ვიტყვი სუკზე, ქაბაბზე, ღვინოსა და დროსტარებაზე... იცოცხლეთ იმდენი კუპატი და შებოლილი, ლუდი და ბრტყელ-ბრტყელი სადღეგრძელოები შემოაცალა ლაზარემ აგურებს (ხომ მიხვდით?! - ადამიანებს).



და იდგა ერთის მხრივ განახლებულ, უმუშევარ აგურთა გრანდიოზული გროვა და მეორეს მხრივ სიბინძურე, რის გამოც გაიწირა არც მაინცადამაინც დასანგრევი შენობა.

აღადგინა ლაზარემ ყოველი აგური,... არა ყოველი არა. სამწუხაროდ, ზოგი გატყდა ჩაქუჩის დარტყმას (ბედისწერას) ვერ გაუძლო, ანდა კიდევ აგური მთელი იყო, მაგრამ ზემოთ ხსენებული დუღაბი ისე ახლოს იყო აგურის ბუნებასთან, რომ აგურს (უკვე იცით - ადამიანს.) ზედ დააკვდა და არანაირი საშუალება არ იყო მისი განწმენდისა. ლაზარემ ისინი უყოყმანოდ ნაგავში მოისროლა, მისგან ჩანაფიქრ ტაძარს ასეთი ადამიანი (მაპატიეთ წამომცდა, აგური უნდა დამეწერა) არ სჭირდებოდა...

დაიწყო ლაზარემ მშენებლობა, მაგრამ არ იტყვით, როგორი მშენებლობა?!

ააშენა ტაძარი! რა ტაძარი, ტაძარი კი არა, ღვთის სასუფეველი...

კი, მაგრამ ამხელა ტაძარს რა დუღაბი კრავსო, ალბათ კვერცხის გულით შეზელილი იქნებაო?

ძმობა, ქრისტეს სიყვარულით შეჯერებული, და აღარ დაინგრევაო?

და აღარასოდესო!

და ეწყვნენ აგურები ყველა თავთავის ადგილას, - ზოგი კედელში, ზოგი თაღში, ზოგი სად და ზოგი სად. უსაყვედუროდ და უანგაროდ იტვირთა ყოველმან საერთო ტვირთი და ზემოდან გადმოსცქეროდნენ ტაძარში წმინდა მამების ღვთიურ სამსახურს. ეხლა მიხვდა ყოველი მათგანი ყველაფერს: დაიტირეს წარსული მიწიერი წარმატებანი, განადიდეს უფალი განსაცდელისათვის, - ნატიფი სული ეძებს ბრძოლას, წინსვლას და ყოველი ტკივილი თუ შემაძრწუნებელი განცდა მხოლოდ ბიძგია მისთვის მიღწევისაკენ. ნატიფი სული არ ეძებს კეთილდღეობას, რადგან იგი სრულყოფილებისაკენ მიისწრაფის.

არა, არა ტანჯვა არაა ჩვენთვის ნაანდერძევი, მაგრამ ვიტანჯებით მხოლოდ იმიტომ, რომ ხშირად ვცდებით.

... და ეწყო აგურები ტაძრის კედლებში და მშვიდად და უსაყვედუროდ ეჭირათ ტვირთი ფრესკებით დაფარულ ამ უხილავ ატლანტებს, და თუ ადრე არღნისა და დუდუკის თანხლებით ლოთების ღრიალით იყვნენ გამოტვინებულნი - ახლა ზღვა სანთლის შუქზე მომლოცველთა ჩუმ ლოცვას ისმენდნენ, მათ წმინდა ცრემლებს უმზერდნენ და მადლობას წირავდნენ უფალს, რომ წილად არგუნა მათ ტაძრის კედლებში ტვირთის ზიდვა მოძმეთა საკეთილდღეოდ...

წმინდა მამა ღვთის მსახურებას აღავლენდა. იდგა საკმევლის ნეტარსურნელება. გუნდი მღეროდა:

შენ ხარ ვენახი...

სიყვარულით შედუღაბებული აგურები, - « შენ ხარ ვენახი»-ს არნახული სილამაზის გრძნობებით აღელვებულნი, - ატირდნენ და სდიოდათ ცრემლი და კედლებში უხილავმა ნაკადულმა ცრემლისა ერთ ადგილას გამოჟონეს... ტაძარში მომლოცველებმა შეიცხადეს, - ხატი ატირდაო! ბრმა მიიყვანეს მტირალ ხატთან, ხელით მოსინჯა, სისველე თვალებზე მოისვა და... თვალები აეხილა...

**დიდება შენ ღმერთო! ყოველივე შენგან შექმნილი სიკეთეა: ყველაფერი სიყვარულში წესრიგდება.**

*სიტყვის პაპა*

# გაულ გავხე

გაულ გავხე და, ეზერდ იშიალხ ხალდეშ
ღვაჟარ!
ეზერდ იშიალხ ჯოხან ი ჩარგაზ,
ეზერდ იშიალხ გიერგ ი ბადრი,
ეჩუნდ ხოჩამდ მომი ი ხიშდუ,
ეზერდ იშიალხ ხალდეშ სვიმრალ.
ხალხური[1]

სწორი გამოდგა თენგიზ დაჩქელანის ვარაუდი:

ლტოლვილებს მართლაც ყველა გზა მოჭრილი ჰქონდათ. იძულებული შეიქმნენ ბოლომდე აჰყოლოდნენ ხეობას და შხარის ძირში დაევანათ. მყინვარზე გადავიდნენ, დაღრენილ ნაპრალს შემოუარეს და ტინებში ჩაწვნენ.

აქედან ხელისგულივით ჩანდა მიდამო, თვითონ კი უჩინარნი იყვნენ სავსებით.

რაზმმა გვარიანად გაუსინჯა გემო ხალდეშურ თოფებს, ჭკუა ისწავლა და ახლა ფრთხილად, წინდახედულად დაიწყო პოზიციების დაკავება. ხალდელები საკუთარი თვალით ხედავდნენ, როგორ გულდაგულ მოიცვეს ნაპრალის გაღმა კიდე. ალყა რომ მკვიდრი და საიმედო ყოფილიყო, ჯერ რაზმელები ჩააყენეს, მერმე სვანების პოლიცია ამოუყენეს გვერდით, მერმე კვლავ რაზმი და ასე ბოლომდე. ჭიანჭველაც ვერ გააღწევდა უნებართვოდ და შეუმჩნევლად.

«სადღა წამივლენ? სადღა?» - თქვა თენგიზმა, ღოჯები გადმოყარა და გულსავსედ გაიცინა.

გზა მართლაც აღარსაით იყო. ყველაზე უფრო მხნედ განწყობილმა ხალდელებმაც ყურები ჩამოყარეს და უილაჯოდ გაახრჭიალეს კბილები. იცოდნენ, თუ ცოცხლად ჩაუვარდებოდნენ მომხვდურებს, სახრჩობელა არ ასცდებოდათ, ამიტომ ერთიღა შეიძლებოდა მხოლოდ: ძვირად გაეყიდათ საკუთარი თავი. მაგრამ ჭრელი უნასივით რაღად ილაკნება ნოტიო, ლორწოიანი გაბოროტება? სხედან ლოდიანებში თოფებშეწკიპული ვაჟკაცები და უმად ნათქვამი სიტყვა კმარა, რომ ღრენა დაიწყონ. ითმინონ - როდემდე? გაუძლონ - როდემდე?

«მოვიდა აღსასრული, - იტყვის ერთი ყელგადაგდებით, - მოვიდა რჯულძაღლი!»

«ვოი, ობლად დაყრილო ცოლ-შვილო!» - ჩამოართმევს მეორე.

«ვოი-ვო, გატიალებულო სახლ-კარო!»

მათ კარგად დაინახეს, როგორ შთანთქა ხალდე წითელ ბუღასავით მონავარდე ხანძარმა. ყველაფერი ჩაიწვა და ჩაიფერფლა. მამალი რა არის, ისიც აღარ ყივის სოფელში. ხვალ-ზეგ ამათაც დაიჭერენ და კატებივით ჩამოჰკიდებენ ხეზე. მერმე ჯალაბსაც დაუწყებენ ძებნას. ვერ მიაგნებენ თუ რა? სად უნდა დაიმალონ უმწეო ქალები და ბალღები? ოო, ჩარგაზ და ჯოხან, თქვენს კისერზე იყო ამოდენა ცოდვა-ბრალი.

რაკი ჯებირი გაიბზარება, მერმე წყალს რაღა დააკავებს? ძმადნაფიცები: ჯოხან, ჩარგაზ, მომი, გურმაჩ, ხიშდუ, ჩოფე და გივერგილ ალურსულები არიან, მხოლოდ თვალებით ეხმიანებიან ერთმანეთს. მზად ყოფნაა საჭირო! საკმარისია ვინმე ლაჩარმა უადგილოდ სტორტლოს სიტყვა, რომ მერმე ეს სიტყვა ზვავივით აგორდეს და ყველაფერი წალეკოს. ლომისგულა ბიჭები კურდღლებად აქციოს. დიდი ძალა აქვს სიტყვას! ამიტომ, ლაჩარსა და სულმოკლეს მაშინვე უნდა მოეკვეთოს ენა!

მოპირდაპირე ბანაკიდან დროდადრო მხიარული სტვენა, ყიჟინი და გარმონიკის ხმა მოისმის. ჟიპიტაურით შეხურებული რაზმელები გაჰკივიან, ქუსლებს უკანალზე ირტყამენ და ბუქნაობენ.

მერმე დადეშქელიანის მსახური ბუკს აახმიანებს და ნაპრალის მიღმა მომწყვდეულებს გასძახებს:

«თქვენ, ჰეი, ტილიანებო, შიმშილით რომ სული გხდებათ, ქამრები მაგრად მოიჭირეთ ქეციან მუცლებზე, მაგრად! ანდა კაცი გვეახლოს, კალმახს გამოვატანთ და გამტკიცულ პურს!»

და მაშინ ნაპრალის გაღმიდან ქუხს ხალდელთა ძახილი:

«ჰეი, დაჩქელანო, წინაპარი ფუთა ხომ ტყვიით გაგიფალარათეს უშგულელებმა, შენ - ხალდელები გამოგილებენ შიგანს, იცოდე კარგად!»

საზრდო კი მართლაც აღარ იყო. თხის ტყავის გუდები საბოლოოდ დაიჩუტა. ისევ ჩამოუშვა ცხვირი ზოგმა მოწუწუნემ, კრულვა დაუწყო თავის გაჩენის დღეს.

მაშინ მთელ ზემო ხევში განთქმული მონადირე გივერგილა იტყვის:

«გულს ნუ გაიტეხთ, ბიჭებო! გვექნება ხორცი, დიდი ღმერთი დამიფიცნია. ხვალ საღამომდე მადროვეთ მხოლოდ!»

გივერგილას ნათქვამს ფასი ჰქონდა, სიტყვა აღარავის შეუბრუნებია. ხოლო გამთენიისას, მზირად გამწესებულებსაც არ დაუნახავთ, თუ როგორ გასხლტა ბანაკიდან გივერგილა, როგორ ჩავიდა ნაკადულთან, და ილოცა ასე:

«დამბადებელო. ბატონო ქვეყნისაო, ნადირი და მონადირე შენი გაჩენილია, რა დროსაც მოგმართო, ყოველ დროს შენი კარგი ჯვარი დამწერე, მადლი იქნება. ქრისტე-მაცხოვარო, დიდება შენდა! ჩემს მაწყევარს მახვილი ჩაეცი გულში, ჩემს თოფს და მე ჯვარი გამოგვსახე. ცხოველმყოფელო წმინდა გიორგი, დიდება შენდა! ადამის ძეთა მწყალობელი შენა ბრძანდები. დღიანღამიანად მარჯვნივ მომყევი, ქაჯ-ეშმაკი მაშორე, როცა შეგეხვეწო, ყოველთვის შემიბრალე. დალს კლდიასას დიდება! ნადირთა თავსდგომა შენა ხარ, როცა გეახლო შენს საბრძანისში, მშვიდობით გამომიშვი, შენი საბრალი და საწყალი ვარ»...

გივერგილა წამოდგა, სამჯერ წაღმა შებრუნდა და მერმე ფოცხვერივით შეახტა ქარაფებს მიზანდაუმცდარი მონადირე.

შხარას ობლად დაჰნათოდა ცისკრის ვარსკვლავი.

[1] გაველ და გავხედე: კარგად ომობენ ხალდელები. კარგად ომობენ ჯოხან და ჩარგაზ. კარგად ომობენ გიერგ და ბადრი. მათზე უკეთესად მომი და ხიშდუ. კარგად ომობენ ხალდელი ახალგაზრდები.

* * *

როცა მზის პირველმა სხივებმა ყინულოვანი მწვერვალები მოავარაყა, გივერგილა უკვე საჯიხვეებში იყო და თოფშემართული გაიცქირებოდა იმ ფლატისაკენ, სადაც დგრიალით უნდა ჩაერბინა ვეძისკენ მილტოლვილ ნადირთა არვეს. ამ სანახებში უწინაც ამოსულა გივერგილა და ყოველთვის ხორცით დაზურგული მიბრუნებულა შინ. ახლა რაღა ღმერთი გაუწყრება? მით უმეტეს, რომ «კოჯა დალს» მხურვალე ლოცვა აღუვლინა განთიადისას. მით უმეტეს, რომ ქვემოთ, ნაპრალთან, მოყმეული თანამოძმენი ელიან მოუთმენლად!

ოო, ნადირთა ულამაზესო დედოფალო, დალ! კვლავაც გევედრება საწყალი გივერგილა - აჩუქო ერთი ხარ-ჯიხვი, ანდა არჩვი იყოს თუნდაც. მხოლოდ ერთი, მზეთუნახავო, ამასაც იმარებენ უბედური ხალდელელები, რათა შიმშილით არ გასავათდნენ. მხოლოდ ერთი, კლდეთა მეფავ, მხოლოდ ერთი!

გაკეთდა გივერგილას საქმე!

...მეჩვენე დალ-ბედნიერო, მეჩვენე და მიბოძე ერთი ჯიხვი შენი არვედან. ეგ იყო, და ეგ, მერმე თუნდ ხელიც ამაღებინე ნადირობაზე, ოღონდ მიძღვენი ერთი ჯიხვი, დედოფალო!

იცის გივერგილამ: დალს წმინდა გიორგისგან აბარია ჯიხვთა და არჩვთა ჯოგი და მათ შორის თავისი სანიაზო ცხოველები ჰყავს ამორჩეული. რომელი ჯიხვი და არჩვიც უყვარს დალს, იმათ მონადირეს არასოდეს მოაკვლევინებს. თუ ხარბმა მონადირემ დალს არ დაუჯერა და მაინც მოაკვდინა მისი საყვარელი ცხოველი, თავად მონადირეც მოკვდინდება მაშინ!

იცის ეს გივერგილამ, კარგად იცის!

გახვითქული მიიწევს სულ მაღლა და მაღლა. ბანდულები შემოეგლიჯა, დამსკდარი ფეხებიდან სისხლმა დაუწყო დენა, მიჯკრაც შემოატყდა ხელში, მაინც არ ისვენებს, სიმაღლეს ეძალება და მსასოოვარ ლოცვებს



ფოტოსურათი ერმაკოვის უნიკალური ფონდიდან

ამაოა გივერგილას ვედრება. ცეცხლოვანმა მზემ კარგა მოიმაღლა ცაზე, თეთრად მოსპეტილი მწვერვალები თვალის მომჭრელად აბრჭყვიალა და აელვარა, მაგრამ ჯიხვთა არვე არა ჩანს და არა. ნუთუ ადგილი ეცვალა გივერგილას, წარაფი აერია და ხედვის მიზანი დაებინდა? ვოი, სირცხვილო და თავის მოჭრავ!

დრო აღარ ითმენს. თუ ახლა არ აუღო ჯიხვთა ნაკვალევს გეში, საღამომდე მოუწევს ლოდინი. და, ვინ იცის, საღამოს კი მოიხელთებს რასმე? თუ ვერა, მაშინ აქ, ყინულებში უწევს გაფიჩხვა, ხოლო ქვემოთ, ამხანაგები მთლად მიმკვდარდებიან შიმშილით. და აჰა, იხაროს თენგიზ დაჩქელანის ბინძურმა გულმა! ამის წარმოდგენამ სისხლი აუმღერია გივერგილას. მუხლი გაიმხნევა და კვლავ ჟინით მიაფრინდა ქარაფებს. ივლის, ფეხდაფეხ დალახავს შხარის ჭიუხებს, უნადავლოდ კი არ დაბრუნდება!

ოი, იმის ბედნიერი ჰქნა საწყალი გივერგილა, რომ დალ ენახვებოდეს ახლა, თვით მზენაბანი დალ! მაშინ აღუვლენს ნადირთა დედოფალს.

და უცებ, ამას რას ხედავს გივერგილა? თვით მზეში განბანილი დალ გამოანათებს ზღაპრული ქვაბულიდან. ოქროს თმა კოჭამდე სცემს, ლუში, ცისფერი თვალები ფართოდ გაუხელია, დგას და იღიმება გონის შემძლელი.

გივერგილა მუხლებზე დაეცა წამსვე.

«რისთვის გარჯილხარ, გივერგილა?»

«ნადირი უნდა მაჩუქო, დედფალ».

«ისეთი რა გაგიჭირდა, გივერგილა, რომ ჩემი შეწუხება გაბედე?»

«ძმები შიმშილით მეხოცება, დედფალ».

«რა დამართნიათ მამაც ხალდელებს, გივერგილა?»

«თავისუფლება ვეძიეთ, დედფალ».

«თუ იპოვეთ გივერგილა?»

«ვერა,დაგვაქციეს დედფალ».

«რაღა აზრი ჰქონია ბრძოლას, გივერგილა?»

«ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი, დედფალ!»

«ადექი, მოგცემ ჯიხვს, გივერგილა».

დალ შიშველ მკლავს გაიშვერს და თითებს ოდნავ შეახებს დაჩოქილ გივერგილას მხარზე. გივერგილას ცეცხლოვანი ჟრუანტელი აუწვავს სხეულს.

«შუნი წყალობა ნუ მომკლოს, დედფალ».

«მეც მაქვს სათხოვარი, გივერგილა!»

«მიმსახურე ფერხთა მტვერი, დედფალ».

«ჩემთან იყავ, გივერგილა!»

დალ მთლად ცახცახებს ვნებით აყვანილი.

ამას რას ელირსე გივერგილა - სვედავსილო? მზის შვილი დალ იყოფს შენთან სარეცელს? მის მათრახი-ვით მოქნილ ტანს ეხვევი? მის პატარა მკერივ ძუძუებს ჰკოცნი? მისთა თვალთა უძირო სილურჯეს ჩასცქერი? მისთა ბაგეთა გოლეულს ეწაფები? ეს რა ღადარში ითუთქები, გაუხარელო? აი, თურმე რა ყოფილა ღვთა-ებრივი სარეცელი - შენ სარეცელი საერთოდ არ გქო-ნია, გივერგილა! აი, თურმე რა ყოფილა ვნებით გათან-გული, ცხელი სუნთქვა ყურის ძირთან და სიყვარულის ჩურჩული - შენ აქამდე არავინ გეჩურჩულებოდა, გი-ვერგილა! და სხვა რაღაა, ადამიანს ღმერთთან რომ ათანაბრებს? სიყვარული მხოლოდ!

«რა ტკბილი ყოფილხარ, გივერგილა!»

«შენ უტკბესი ხარ, დედფალ!»

«დარჩი ჩემთან გივერგილა».

გივერგილა წამოიწევს, მოიცილებს დალის მდუღა-რე მკლავებს.

«არ შემიძლია, დედფალ».

დალ კვლავ შემოეჭდება, მეტი ვნებით, მეტი ცეც-ხლითა და გახელებით.

«ჯიხვს არ მოგაკლებ, გივერგილა».

«ჯიხვი მშიერი ძმებისთვის მინდა, დედფალ».

«ხვევნა-ალერსს არ მოგაკლებ, გივერგილა!»

«ვოი, მე უბედურს, - ძმებს ვერ ვუღალატებ, დედ-ფალ!»

«მაშინ, წა, გამეცალე, გივერგილა!»

დიდრონი, ლუში თვალები უჩვეულო სიკერპით აევ-სო დალს. გივერგილა სასოებით ემთხვია მის შიშველ მუხლებს და ტერფებამდე ნაფენ ოქროს თმას.

«გიცდის ჯიხვების არვე. ხოცე, რამდენიც გინდო-დეს, გივერგილა!»

მართლაც, ღარტაფში უშტი და უშქარი ჯიხვ-არჩვი შექუჩებულა. ბღავიან საწყალობლად. ჯიხვის ფოთრე-ბი ხტიან და კუნტრუშებენ.

«მადლობა, დალ-ბედნიერო! მადლობა!» - ბუტბუ-ტებს სიხარულით გივერგილა.

გადარჩებიან ხალდელები, აღარ დაიხოცებიან შიმ-შილით, ძალას მოიკრებენ და დედას უტირებენ მტერსა და დუშმანს. გივერგილა სწრაფად გადმოიგდებს მიზანდა-უმცდარ თოფს, ხარ-ჯიხვს დასვამს სამიზნეზე, ესვრის მაგრამ ხარ-ჯიხვის ნაცვლად ჩვილი ფოთრი წაიქცევა. ეს რა ღვთის რისხვაა? ნუკრის მოკვლა ვინ გაიგონა? კიდევ უმიზნებს გივერგილ, მაგრამ ახლაც ფოთრის უმანკო სისხლით ილებება კლდე. მესამედ ესვრის. მე-სამედაც იგივე.

და მაშინ მიხვდა გივერგილა, რომ დალისაგან სამუ-დამოდ იყო გაჩხიბული.

* * *

თოფმა ჩაასწრო უფსკრულში პატრონს.

* * *

ორი დღის ლოდინის შემდეგ, ტინებში გამომწყვდეუ-ლი, სიცივითა და შიმშილით გასავათებული ხალდელე-ბი მიხვდნენ, რომ გივერგილა დალ-ბედნიერის მორიგი მსხვერპლი იყო და ისედაც მოშხამული გუნება მთლად დაუგონჯდათ. გივერგილაზე ნაკლებ ხელმარჯვე მონადი-რეებმა წამოიწიეს, ახლა ჩვენ ვცდითო ბედს. მაგრამ ადგილზევე გააჩერეს. ერთი, ორი, თუნდაც ოთხი დღით შიმშილის მოკვლა არ უშველიდა საქმეს. სიცივეს მაინც ვერ გაუძლებდნენ. რაიმე სხვა უნდა ელონათ, ანდა ყელზე საბელჩაბმულნი საკუთარი ფეხით ხლებოდნენ მთავრო-ბას.

რაზმი მოთმინებით იცდიდა. «კომანდამ» ისედაც მნიშ-ვნელოვანი ზარალი ნახა და ერიდებოდა ზედმეტ მსხვერპლს, შეტევაზე არ გადადიოდა. რამდენ ხანს გასძლებდნენ ალყაში მომწყვდეულები? თუ შიმშილს არად ჩააგდებდნენ, ზამთარი ხომ მაინც მოუღებდათ ბოლოს? მით უმეტეს, რომ უკვე ახლა, შემოდგომაზე, ისე ციოდა, ძვალ-რბილი ეყინებოდა ადამიანს.

ამ ვერაგობას კარგად გრძნობდნენ ხალდელები, მაგრამ ილაჯი აღარაფრისა ჰქონდათ. და აი, ისევ იჩინა თავი ლორწიანმა სილაჩრემ. ვაჟკაცები უმოქმედოდ, ლეშე-ბივით ყრიან ტინებში და უღრენენ ერთმანეთს. საბო-ლოოდ კი, ყველა ნაღრენი გურმაჩს და ჩარგაზს უვ-ლის გარშემო. ისინი არიან დამნაშავე! მათი გამოისო-



ბით ამტუტდა ხალდე! მათ გამოა, რომ ცოცხლად იმარ-ხებიან ამ კლდეებში! არა, მეტს ველარ მოითმენენ! საკ-მარისია! იქონიონ სინდისი გურმაჩმა და ჩარგაზმა, ჩაბარ-დნენ მთავრობას, თორემ... თორემ სხვები გაბაწრავენ და ჩააბარებენ!

დასრიალებს ჭრელი სილაჩრე და გასაძრომ ხვრელს

დაეძებს.

საღამოა, მზე ჩაესვენა, სიცივემ მოუჭირა. კიდევ ერთ ჯოჯოხეთურ ღამეს უნდა გაუძლონ, მაგრამ შეუძლიათ კი? ასეთ ყოფას მართლა სიკვდილი სჯობია! მაშინ წამოდგებიან გურმაჩ და ჩარგაზ. ერთი მათგანი იტყვის:

«შეგვინდეთ, თუ რამ დაგიშავეთ და გაწყინეთ, ხედავს დიდი ღმერთი, ბოროტებით ან სიჯაბნით არ მოგვსვლია. ახლა გვიანღაა, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს. უნდა გაგეცალოთ, ცოცხალი კი მაინც არ ჩავბარდებით იქედნეთა მოდგმას».

ფიქრის დრო აღარ იყო. დამეხილი სიჩუმე ხიშდუს ხმამ გააპო.

«აქ ძაღლივით სიკვდილს... მეც თქვენთან მოვდივარ!»

ფიქრის დრო აღარ იყო.

**ჩოფე:** მეც!

ფიქრის დრო აღარ იყო.

**ჯოხან:** მეც!

ფიქრის დრო აღარ იყო.

«შეჩერდით! - ამბობს მომი, - მოიტათ ყველამ თქვენი «მიჯვრები».

რა განუზრახავს მაჭარივით ფუცხუნა მომის? იქნებ რაიმე უკეთესი აზრი მოუმწიფდა ჭკვიან თავში? აბა, შენ იცი, მიშგუ ლადედ სი, სიკვდილი ყოველთვის მოესწრება! და ხალდელები მის ფერხთა წინაშე ალაგებენ რკინის ბუნიკიან შინდის კეტებს.

მომი სათითაოდ დასწვდა კეტებს, მუხლზე გადაიმტვრია, შეაქუჩა, მშრალი ხავსი მიუმატა, კვეს-აბედი გაჰკრა და კოცონი ააბრიალა. ხალდელები გაკვირვებულნი უმზერდნენ, მაგრამ თავს ნებას არ აძლევდნენ ეკითხათ რამე. იცოდნენ: მომი ტყუილ-უბრალოდ არ გაირჯებოდა. ცეცხლმა იმძლავრა. ყვითლად გაანათა გამხდარ-გაბურძგნული, გაწამებული სახეები.

მაშინ თქვა მომიმ:

«ამიერიდან მიჯვრები აღარ დაგვჭირდება. ერთს გემრიელათ კი გაგვითბობს ძვლებს. მე მგონია, არ გავუწირივართ ღმერთს და კიდევა მაქვს გადარჩენის იმედი!»

გაწამებული სახეები დაიძაბა.

«გაველ და გავხედე წედან. გულდასმით გავხედე. ბალსქვემი სვანების რაზმში ჩემი ნათლი-მამა ურევია. მე წაგიძღვებით, გაგვატარებენ. თუ არა და»...

«თვალმა ხომ არ გიღალატა? მართლა ის იყო?» - ჰკითხა ჩოფემ.

«ის იყო, კი».

«ადგილი თუ დაიხსომე, სადაც ის რაზმი დგას?»

«დავიხსომე, კი».

ცეცხლი მხიარულად გუგუნებდა. მისი მხიარულება ადამიანებსაც გადაედოთ. აღზდგა და აიყალყა მიძინებული, მინავლული უტეხობა სულისა და ხალდელები კვლავ ხალდელებად იქცნენ. საძვრომი ხვრელი ვეღარ იპოვნა ჭრელმა სილაჩრემ, ფეხი დააბოტეს და თავი გაუჭეჭყეს. მერმე აჩრდილებივით დაბობღავდნენ ცეცხლის გარშემო და აღტაცებით უბარტყუნებდნენ ერთმანეთს ტორებს.

«ეს რა თქვა, ა? გაველ, გავხედეო?»

«ხო - ხო, აბა?»

«გაველ, გავხედე... - წაიმღერა გურმაჩმა, - გაულ გავხე და»...

მერმე ყველაფერი თავისით მოხდა: ვაჟკაცებმა ცეცხლის ირგვლივ რკალი შეკრეს, მკლავები ერთმანეთს გადააჭდეს და ამღერდნენ. არავინ იცოდა, რას მღეროდა, ან როგორ! მაგრამ სიმღერა მაინც მთლიანი, მუშტივით შეკრული და ძარღვიანი იყო. მღერით აგონებდნენ ერთმანეთს ხალდელები თავიანთ ვაჟკაცობისა და გაუტეხლობისას. არა, ეს არ იყო სიმღერა: ეს იყო გააფთრებული ყმუილი მგლებისა, თავისსავე ლეკვებს რომ იცავენ ხელყოფისაგან.

უვლიდნენ ხალდელები ფერხულს ცეცხლის გარშემო და თითოეული მათგანი რაღაც ახალს უმატებდა სიმღერას, აქვე, ამ წუთში რომ იქმნებოდა და ვერ გრძნობდნენ, რომ თავს დასტრიალებდათ ნადირთ დედოფლის, დალ-ბედნიერის უიღბლო მიჯნურის გივერგილას წამებული სული.

ასე სჭექეს ხალდელმა მოყმეებმა უკვდავი ჰიმნი თავისუფლებისა - «გაულ გავხე», დღესაც რომ მღერიან მათნი ჩამონავალნი!

* * *

წკვარამ ღამეში მომიმ, ცხადია, ვერ მიაგნო იმ რაზმს, სადაც მოყვარე კაცი ეგულებოდა. თუმცა, არც დასჭირვებიათ. დამხვდურებზე ზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა შიშველსატევრიანი და შეჩახმახებულთოფიანი აჩრდილების დანახვამ. ავ სულებად მიიჩნიეს და შიშით ენა ჩაუვარდათ. ისე გასხლტა თვალ და ხელ შუა ოცდათოთხმეტი მრისხანედ შეწკიპული ვაჟკაცი, კრინტის დაძვრა ვერავინ გაბედა. ხოლო როცა გონს მოეგნენ, მიხვდნენ, რომ სწორედ ამის შემდეგ მართებდათ სამუდამო დადუმება. თენგიზ დაჩქელანს გუმანით რომ მიეტანა ეჭვი, სათითაოდ ჩამოჰკიდებდა ხეზე. დუმილი ოქროა რჩეული. ჰოდა, გაჩუმდნენ.

* * *

მოაწია ზამთრის პირმა.

ტყეებს რუხი ფერი დაედო და მზესაც, კაი ხანია, მცხუნვარება დაეკარგა. დილაობით თრთვილი ეფინებოდა მიწას, მთათა წვეროკინებზე ჩამოთოვა კიდეც. სულ მალე მოვიდოდა ხვავრიელი სვანური ზამთარი. სოფლებში ემზადებოდნენ მის დასახვედრად - შეშას იმარაგებდნენ, საქონელს აბინავებდნენ, ხორცს შაშხავდნენ.

...მხოლოდ კაცისა და ღვთისაგან განწირული ხალდე, დაქცეული და დანაცრებული, ხრჩოლავდა ფერფლში. მისნი ბედკრულნი შვილნი, ქალები, ბალღები და მოხუცები, ზოგი ქვემო სვანეთში, ზოგიც მულახსა და ჰადიშში სამოწყალოდ შეივრდომეს ნათესავებმა და მოყვრებმა, ხოლო ნაომარი მამაკაცები, აგერ მესამე თვე იყო, ღვირის მიუვალ მთას აფარებდნენ თავს.

გაჭირდა საქმე.

თენგიზ დაჩქელანმა, რაზმელებთან ერთად, ყველა ხერხი და ღონე იხმარა, მაგრამ მათი გამოჭერა ამაო ოცნებად დაურჩა. რა არ იფლიდა, რა მახე არ დააგო, ხალდელები მაინც მიუდიოდნენ ხელიდან. აშკარად ეკარგებოდა სვანეთის ბოქაულობა, ეკარგებოდა პატივი და ჯინჯილები, ეკარგებოდა ორდენი «მახვილითა და ბაფთით». არა, ამას ვერ გადაიტანდა თენგიზ...

და სწორედ მაშინ მოიფიქრა ის მზაკვრობა, რამაც

შემდგომ სამუდამოდ საწყევარი გახადა მისი სახელი:

აჯანყებულთა ცოლ-შვილზე მიიტანა იერიში.

მსტოვრები მოედვნენ იმიერ და ამიერ სვანეთს, გამოიძიეს ხიზან ხალდელთა სამყოფელი და წვრილად მოახსენეს თენგიზს. მალე თეთრ ცხენზე ამხედრებულმა ნამთავრალმა სოფლები დაიარა, ხალხი ზუგზე შეყარა და გამოუცხადა:

«ჩემი სიტყვა მოკლეა და პირდაპირი: ან ჩაბარდებიან აჯანყებულები, ან მათ ოჯახებს დავატყვევებ და ქუთაისს წავასხამ. მოიფიქრეთ! ერთი მსგეფსი დამიდვია ვადად!»

იტყოდა ამას თენგიზ, ხალხს ქორივით გადახედავდა, ცხენს გააბრუნებდა და ლაღი თოხარიკით უკანვე გასწევდა.



თავი ჩაკიდეს სოფლის მახვშიებმა, ბჭობას შეუდგნენ. ლოყებს იხოკავდნენ დედაწულნი და კრულავდნენ გაჩენის დღეს. ერთი პირობა ისიც კი იფიქრეს მახვშიებმა, სადმე სხვაგან ხომ არ გადავხიზნოთო დევნილთა ცოლ-შვილი, მაგრამ სად? ყაბარდოში ვერ გადაიყვანდნენ - უღელტეხილები უკვე ჩამოთოვლილი იყო, აქვე, სვანეთში დამალვაზე კი, ფიქრიც არ შეიძლებოდა - სად წაუვიდოდნენ დაჩქელანის თარს აეშაგებს?

ღმერთო, რად დაჰყარე აგრე უნუგეშოდ ხალდელები?

წმიდა კვირიკევ, ყოვლად ძლიერო, რად ჰყავ უსასოოდ შენნი ერთგულნი მლოცველნი?

ბევრი ითავცემეს მახვშიებმა, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრეს იმის მეტი, რომ სანდო კაცი აფრინეს ღვირის მთაზე და აჯანყებულებს საქმის ვითარება აცნობეს.

იქ გუმანით მოელოდნენ ამ ამბავს.

გაწამებულმა, მშიერმა, ჩამოღლეტილმა, გაბურძგნულგატყიურებულმა ვაჟკაცებმა მოისმინეს დაჩქელანის მზაკვრული განაჩენი და აყმუვლდნენ სიმწრით.

აჰა, აღსრულდა!

ამაოდ ჩაიარა ამდენმა ბრძოლამ და წყვეტებამ: სოფელი დაიქცა, ჯალაბი დაწიოკდა. თვითონ კი სამსხვერპლო ტარიგებივით, საზრჩობელას ყულფი თავისივე ხელით უნდა ჩამოიცვან კისერზე.

აი, თურმე რისთვის იომეს! თურმე რისთვის ღვარეს სისხლი!

ყმუოდნენ ხალდელები და ბალღამიანი გაბოროტება ედებოდათ გულზე. ხსნა არსაიდან ჩანდა.

* * *

ჩყოვ წელსა, ქრისტეშობის თვეს, «სავარდო და სამაისო» ქუთაისი უჩვეული სანახაობის მხილველი შეიქმნა:

შეთოფიარაღებულმა სვანებმა თეთრი ხიდი გადმოიარეს. მწყობრად მოდიოდნენ, დინჯად, აუღელვებლად, მაგრამ საეჭვო გარეგნობა კი ჰქონდათ: დაგლეჯილდაფლეთილი და ტალახში ამოთართხნილი იყვნენ.

ქალაქს ცივი მზე ანათებდა, უქიმერონის გორაზე თეთრად ელავდა ბაგრატის ტაძრის ნანგრევები.

როგორც კი დაიგულეს თავი ქალაქში, სვანებმა მთელი ხმით წამოიწყეს რაღაც მჭექარე სიმღერა - მსგავსი რომ არასოდეს გაეგონა ბებერ ქუთაისს.

ეს იყო «გაულ გავხე».

დაამთავრეს ერთი მუხლი, სწრაფად გადმოიგდეს მხრიდან მრავალნაცადი კუთხვათოფები და ბათქმა გაფხრიწა ზეცა.

ფეხზე დადგა პოლიცია.

წრე შემოარტყეს სვანებს, მაგრამ მათ ყურადღება არ მიუქცევიათ შეცბუნებული პოლიციელებისათვის. სიმღერითა და შეძლეხით განაგრძობდნენ გზას.

«ხალდელები ყოფილან! ხალდელები!» - გაჰყვიროდნენ ქუთათურები.

არა და არ გაახარეს ხალდელებმა თავადი თენგიზ, აჯანყებულთა დამტყვევებლის პატივი არ არგუნეს! როცა მიხვდნენ, რომ საბოლოოდ მოეჭრათ ყველა გზა სავალი, მიაფურთხეს სიკვდილს და ...

* * *

სამხედრო გარნიზონის გრძელ, რუხ შენობასთან პროცესია შედგა. ხალდელებმა სიმღერა შეწყვიტეს, სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა. გამოეყო ჯგუფს გურმაჩ გასვიანი, თოფი ორივე ხელით ტუჩებთან მიიტანა, ემბორა სამჯერ, მერმე მოიქნია ძალუმად და ფარნის ბოძს შეაფშვნა. სატევარიც ჩამოიგლიჯა, დაანარცხა.

«დამთავრდა, ძმებო, ჩვენი გზა! აღარ გვჭირდება იარაღი!»

მას სხვებმაც მიჰბაძეს. მალე თოფები და სატევრები დამსხვრეული ეყარა მიწაზე. ხალდელებმა ხელები ჩამოუშვეს და გაქვავდნენ. მდუღარე კურცხლები მოასხამდათ თვალში.

* * *

ასეთი სანახაობის მოწმე შეიქმნა ქუთაისი **ჩყოვ** წელსა, ქრისტეშობის თვეს.

***თეიმურაზ მაღლაფერიძე***

## «მე ვიცი: გული სადღაც ტყვიით განიგმირება, არ ვუღალატე რადგან ლირას ამ თახსირ დროში»

მკითხველო! ამ წერილის დაწერა შერმადინ ქალდანის რომელიმე მეგობარს ევალებოდა. ნამდვილად არ ვფიქრობდი, რომ მე მომიწევდა, მაგრამ როგორც კი გავიცანი ჩემთვის დღემდე უცნობი ავტორის თავანკარა პოეზია, დამცდა:

აი, კიდევ ერთი უბრწყინვალესი მარგალიტები ქართული კლასიკური პოეზიისა. დიდი ამერიკელი პოეტის უოლტ უიტმენის სიტყვები გამახსენდა: «გადაშლი წიგნს და ხელს ართმევ კაცს.»

საოცარმა განცდამ მომიცვა. ლექსების ავტორს, რომელსაც ჯერ კიდევ არ შევხვედრივარ, კიდეც შევხვდი და ხელიც ჩამოვართვი. რატომღაც მივიჩნიე, რომ შერმადინ ქალდანის შემოქმედება მკითხველისთვის ცნობილი არ იქნებოდა.

ამას ერეკლე საღლიანის მწარე სიცილი მოჰყვა. სიცილს პატარა განმარტებაც. ამ შედევრების უმეტესობა დაიბეჭდა ჟურნალ «ცისკრის» 1979 წლის №2-ში. როცა მწერალთა კავშირში მთელი წლის ნომრების განხილვა იყო, ვერც ერთმა გამომსვლელთაგანმა ვერ «გაიხსენა» ამ ლექსების ავტორი.

ხსენებითაც კი არ უხსენებია არავის, სამაგიეროდ არ დაუკლიათ ხოტბა-დიდება შეესხათ უნიჭოებისათვის.

70 წლიანი ბოლშევიკური კატორღა და ჯოჯოხეთი ოსტატურად ახერხებდა განსაკუთრებული ნიჭის მქონე ადამიანში აღმაფრენის ჩაკვლას. ხელისუფლებისგან მოთვინიერებული მწერლები უნიჭოთა წინ წამოწევით ქოლავდნენ ნიჭიერთ.

მათი მაგალითით დაზრდილი ერთი ჯგუფი ახალგაზრდა მწერლების მუჯლუგუნებით მიიკვლევდა გზას, ხოლო მეორე, «ავტორიტეტული» შემოქმედის მონური მიბაძვით, პოულობდა მფარველს და იმყარებდა პოზიციას.

ძნელად თუ ვინმეს გაახსენდებოდა კულისებს მიღმობილი მგოსანი, რომელსაც არაფერი ებადა, «ცრემლიანი ლექსების გარდა».

ეზოპეს ერთ-ერთი იგავი გვამცნობს, რომ უზენაესმა ღმერთმა ზევსმა ბოროტების ღმერთს, - მომს - წარუდგინა სილამაზის ქალღმერთი აფროდიტე.

ჭექა-ქუხილის მეუფემ კარგად იცოდა, რომ ბოროტების ღმერთის უმთავრესი თვისება მხოლოდ აუგის თქმა იყო... და თავისი ბუნებისათვის მას არც ამჯერად უღალატია: «რა მახინჯი სანდლები აცვიაო».

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ბევრი ავსიტყვა მესიტყვე არ ითაკილებს ეძებოს «მახინჯი სანდლები» ამ ახალგაზრდა კაცის შემოქმედებაში. მაგრამ ხინჯს ჩანგისას ვერ მოიძიებს.

თამამად შემიძლია განვუცხადო მათ. ეს ცდა სათავეშივე განწირულია.

მესტიის მაღალმთიანი სოფლიდან - ადიშიდან, ბარად ჩამოვაკებული კაცი მიარღვევს რუსთაველის პროსპექტს და «მისი ლანდივით მისდევენ მთები». სათქმელი შეახსენებს თავს და «როგორც თეთნულდთან პირსავსე მთვარე, ისე ამოდის ლექსი გულიდან».

თუ ზოგჯერ «შემოდგომის ქარსაც მიმოაქვს მოწყენა ხეთა,» იწყებს საკუთარ თავში მოწყენის მიზეზის ძიებას.

წარმოუდგენელია, რომ მწერალთა კავშირის დარბაზში 1979 წელს გამომსვლელ ყველა შემოქმედს ისე ჰქონოდა დახშული და დაჩლუნგებული გემოვნება, რომ ვერ ეგრძნოთ ქართული პოეზიის სრულიად ახალი შედევრი «ჩალისფერი აგონია»:

«აგერ, დაისმა წითლად შეღება მთები,
ოქროცურვილი მზე გორიგორ რა ნელა ჩადის,
ბებრის ციხეზე მე შენს ლანდთან უღმერთოდ ვთვრები,
აწეწილია ყველაფერი, ვით ნინოს თმები
და მეჩვენება ბნელ ღამესაც ფერი აქვს ჩალის».

ყველაზე მტკივნეულ ნერვსაც მიხდა შევეხო.

სიმახინჯესთან ბრძოლამ ბევრს გადაუწურა იმედი. განაწყო, რომ «აბსურდთან ბრძოლა თავადაა აბსურდი». ამ საოცარი ლექსების ავტორი 10 წელია დაიარება წუთისოფელში ისე, რომ ახალი ნაწარმოები არ შეუქმნია. გამიჯნა რა თავისი თავი პუბლიკისაგან, ჩვენც მივივიწყეთ. მივივიწყეთ ნიჭი, რომელიც «მაღლიდან მოდის».

სურვილი მაქვს გადავცე მას ჩემი საუკეთესო წადილი: იპყარ ხელთ კეთილსხმოვანი ჩანგი მთების მგოსანო, მოაცილე მას წლებისაგან მოდებული მტვერი და ირწმუნე: «დუმილი ოქროა», მაგრამ არა ყოველთვის.

დიდი სიყვარულით გესალმება ახლადდაარსებული ჟურნალი «ხატაური» და საქართველო ელოდება შენი ნიჭის ახალ გაბრწყინებას:კვლავ ელოდება მკითხველი თეთნულდთან პირსავსე მთვარის ამოსვლას!

*თამაზ თავაძე*

* * *

მე მთებს შემოვრჩი, -
შენი სახლის ვიწრო სარკმლიდან
    არ ჩანან მთები,
არცა გვწვავს ცეცხლი,
უშენობით გულს რომ მდებია.
    მარტო ხარ ისევ
    ჩაძირული მოგონებაში...
    ... სადღაც მთებია
და მარტოობით მოზეიმე უცხოთ ირთვები,
მე მხოლოდმყოფი მოწყალებას
    არვისას ვუცდი,
არც შემხვეწე ვარ ბედის მდევარის.
ვიხსენებ თბილისს,
    გაელვებას სახის მაცდურის,
გზებს რომ მინათებს, ვით მსუბუქი
    თოვლის მტევანი.
მოაჩხრიალებს ყინვის მარხილს მთებში
    ზამთარი
და მიმაქანებს უცხო მხარეს შავი
    მეხრითა.



მოვალ შენამდე, ჩემი გზა თუ აქ არ
    დამთავრდა,
მოვალ შენამდე უთვალავი ფიფქის
    ქვეყნიდან.
შენ მოზეიმე მარტოობის ცივ
    ხავერდებით,
კვლავ აენთები ცეცხლით, შენგან
    გულს რომ მდებია.

მოვალ შენამდე ჩემი მთებით,
ჩემი ქედებით
და შენ არ იტყვი:
«რა დროს მთებია».

* * *

შენ ციხეს ჰგავხარ, შენ ციხეს ჰგავხარ
რომელიც ასჯერ საღალატოდ გამოიმეტეს
ქართლის ღამეში აღრენილი დაღვრემით
დგახარ
და ერთადერთი მეციხოვნე შეგრჩა იმედი

## ვაჟა-ფშაველა თბილისში

მოიმღერება ღმერთების მოტივს
კაცი ნათელი, ვით ალავერდი.
დიდ ივერიის სიზმრიდან მოდის,
მოაქვს ფშავეთის მთების ხავერდი.
გზა, გზა მიეცით მაღლიდან მოდის!

* * *

ვთქათ და ყვავებმა,
ანდა ყორნებმა, -
როგორც მრავალმა ჩვენთაგანმა, -
თავის ადათზე აიღონ ხელი.
და მყრალი ლეშის მაგიერად
მყრალი სულების იწყონ ძებნა
დამშეულებმა.
მაშინ რამდენის აივანზე დაუყოვნებლივ,
ჩამოსხდებოდნენ დამშვიდებულნი.

## ვეფხს

ფიქრი სულეთის ნიავივით ამდევნებია,
შორეულ გზებზე მზე არის და მსუბუქი სევდა.
რისი ღრიალი, ერთი სიტყვაც არ დამცდენია
ვიხეტიალე და შემთხვევით მოვედი შენთან.
გიმზერ ტიალო, გულს რომ გიწვავს ეს რა ალია,
წარსულ დიდების დაგვრჩა მხოლოდ ჩრდილი
გამდნარი.
რაო, რას უღრენ მიკვირს მაინც ვეფხო გალიას,
აღარ გიგრილებს დიდრონ ტორებს სველი შამბნარი.
იქნებ ახლოა ნეტარ დღეთა დასალიერი,
დაბინდული გაქვს სიცოცხლის გზა ვით
მზე სნეულის.
ო, მებრალები, მებრალები ვეფხო ძლიერო,
ვით ჩემი თავი ჩემსავ ტყავში გამომწყვდეული.

## ჩალისფერი აგონია

ნათება მოჰყვება დაბინდულ აღმართებს,
მთვარე თანდათან ცრემლივით შრება.
მცხეთასთან ჩალისფერი დროშები აღმართეთ,
ვიღაცა ამაო ძახილით შვრება.
მზე მოდის, მობრძანდა, დახედა მურყვამთა,
ისრუტავს წარსული ხავსიან კედლებით
ეს მთები, ეს მთები ვაჟას რომ უყვარდა,
ამბობენ; ვბერდებით, ვბერდებით!
ჟანგი სჭამს ლემსა და გორდა სალს,
წარსულს კი თავხედი სპარსელი.
მარჯვენა დაღლია გორგასალს
ვის ველი, რას ველი.
რა სველი ჰქონია თვალები მარიამს
სიზმარი უნახავს ავი,
ამღვრეულ ქარებმა ქართლის ცა არიეს
სინანულს უგალობს მეფეი დავით.
და ვით დაიჩრდილა ფერი ჩალისა
მახვილი მესიისა დალბა.
ერთ კონად შეკრული ისრების ძალაზე
ორბელიანი მოჰყვება საბა.
აბა, რას მირჩევ, ჩემო მსაჯულო, -
ამბობს ირაკლი კრწანისის მერე.
- მეფევ, ვინ მოგცა ამის უფლება,
მეფე მეფეა ვის დაუჯერებს.
აგერ, დაისმა წითლად შეღება მთები.
ოქროცურვილი მზე გორიგორ რა ნელა ჩადის.
ბებრის ციხეზე მე შენს ლანდთან ულმერთოდ
ვთვრები.
აწეწილია ყველაფერი ვით ნინოს თმები
და მეჩვენება ბნელ ღამესაც ფერი აქვს
ჩალის.

* * *

მე წარმავალთა შურისგებამ წამლეკა ლამის,
ცეცხლი, რომელმაც უნდა დამწვას უკვე აენთო.
თუკი მარტოდენ ბინდი ვარ და სიზმარი ღამის, -
მიწაზე მიწა რად დავდივარ მაღალო ღმერთო.
მე წარმავალთა შურისგებამ წამლეკა ლამის, -
აწ ათასერთი ღამის ზღაპრით უნდა გავერთო.
რომ ელვარება ჩემი  დარჩეს ამ ერთი ღამის
ცეცხლი რომელმაც უნდა დამწვას უკვე აენთო.

## დალაი

მღიმარე უმზერი მზეს,
გინდა სულ მღეროდე და რაა,
ერთ უმშვენიერეს დღეს,
აღმართზე გეტყვიან: დალაი.
ვიღაცა ჩაიცვამს შავებს,
ვიღაცას წუხილი შეშლის
შერისხავს სიკვდილის ქავებს,
მსუბუქი სიკვდილი შენი.
დაგრჩება უმთვარო ღამე,
დაჭკნება გზის პირას ლელი.
ინატრებს დაგესლილ წამებს
ვინც წარსულს ამაოდ ელის.
რა ძლიერ ეტრფოდი მზეს,
გინდოდა გემღერა და რაა,
ერთ უმშვენიერეს დღეს,
აღმართზე მოგძახეს: «დალაი»

* * *

რამდენი ლანდი,
რამდენი ქალი
და მეგობარი საფიცარი
არარაობის დაფარა ნისლმა.
გულო, შენ ერთი დარჩი ამ ქვეყნად
ჩემ ჭირთა მოზიარე, -
ვისაც მრავალი სახელი გერქვა
მაგრამ არასდროს
მონისა და მო-ღა-ლა-ტისა.

* * *

მშობლიურ მთებზე სისხლიანი მზე იღიმება,
ვერ მოვიპოვე სიმშვიდე ბრბოში.
ზოგი მეფეთა სიცოცხლეზე ლოცვით იღლება,
ზოგი მონაა გაცვეთილ გროშის.
მე ვიცი: გული სადღაც ტყვიით განიგმირება,
არ ვუღალატე რადგან ლირას ამ თახსირ დროში.

## «ნუ მწუხარე ხარ»

აჰა ესერა,
მოვედ მაშვრალი;
მოწყენილ დღეთა დედოფალო,
ნუ მწუხარე ხარ.
გამინათე და გამიდიადე აღსავლის კარი,
სიუდაბნოე მწირი გულის დანამე ცვარით
ჩემი სამყოფის შენ აავსე სიცარიელე,
კვლავ დამასიზმრე აწ ჩამქრალი ცისარტყელები.
აღავსენ ძალით დაშრეტილნი ჩემი ვნებანი,
ქმენ სასწაულად დაცემა და ამაღლებანი.
მოწყენილ დღეთა დედოფალო, აჰა ესერა,
მოვედ მაშვრალი!

## მთებს

ზეცას ეკვრება ღამე მაღალი,
ანთებული ხარ ზამთრის ტყეო და
თუმც ქვეყნის ოთხმხრივ ღიაა კარი
მე მირჩევნია თქვენი ტყვეობა.
ეს თქვენით ვიცი: არის მთავარი,
მამულს რომ ზიდვა უნდა უღლითა…
როგორც თეთნულდთან პირსავსე მთვარე,
ისე ამოდის ლექსი გულიდან.
რამდენი სიტყვა დამირჩა გვერდზე,
კვლავ უთქმელობის მიმყვება ჯავრი,
რა ვქნა, დედაზე ლექსებს თუ ვერ ვწერ,
ამ წუთისოფლის დაღლილი მგზავრი.
ღამდება თქვენით, თენდება თქვენით,
მთებო, გიხდებათ სიდარბაისლე.
მაღალ ღმერთებთან ჩურჩული გშვენით
მომავლის ბურუსს თქვენ ამაისებთ.

## მონატრება

მზე ამოცურდა სიცოცხლით სავსე,
ჯიხვთა ჯოგები მოადგნენ ჯერებს…
ეს მერამდენედ ვიხსენებ სვანეთს
და გული მაინც ვერ შევიჯერე.
ყველა ოცნება ღმერთამდე ადის,
როგორს «ლილეო» და როგორც «რიჰო».
ეს მერამდენედ ვიხსენებ ჰადიშს
აღარ მცილდება თავისკენ მიხმობს.
მე მონატრებას გულში ვერ ვმალავ,
სიშორით მისით თუმც აქაც ვთბები
და რუსთაველის პროსპექტზე მავალს
ჩემი ლანდივით მომდევენ მთები.

* * *

დასნეულდაო, მიეძინათ, თვალებდანამულს,
მას გამხნევება სჭირდებაო დროშენაცვლებით,
ზამთრის ღამეებს უთევენ მამულს,
მაჩუბში ცეცხლთან ჩამომსხდარი ბერიკაცები.

* * *

მოდის შებინდება არეული
და ის ჟამი არავის იცოდებს
*ისევ გაიძახის მთვარე გალეული:*
*«ლომები გალრნიან გისოსებს»*
*ოსანა, დასასრულს გზათასა,*
*რაც უნდა სიცოცხლით ვიწვოდეთ.*
*იცისკრებს, მორჩა და გათავდა,*
*«ლომები გალრნიან გისოსებს.»*

## ღამე ვალეში

სულში ფათურობს ღამე თურქული,
შენ ადრეც უნდა აქვე მდგარიყავ!
მე ამაღამაც ვარ გაქურდული
და ბნელი ღამე სადმე გამრიყავს.
ცისკრის კარები ვინ რად ჩარაზა,
ვიცით? მამული ვის სად მოგველის.
აქ ხომ უდგანან ჩვენ მთებს დარაჯად
რუსთაველი და სარგის თმოგველი.
თუმცა ჯაყელი ველარ ჯაყელობს, -
ხომ უწევს ზეცას ქართლის თაღები,
მე უნდა ფეხზე წამოვაყენო
თავგაჩეხილი ათაბაგები.
მაგრამ სულს ადევს ბნელი ურდული, -
შენ ადრეც უნდა აქვე მდგარიყავ.
მე ამაღამაც ვარ გაქურდული
და სევდა ძველი სადმე გამრიყავს.

* * *

შემოდგომის ქარს მიმოჰქონდა მოწყენა ხეთა
და ქარვა მზისა სულ სხვა იყო სიელვარეთი,
უუძვირფასეს, არ მოსაწყენ წარსულთან ერთად
შემოდგომის ქარს მიმოჰქონდა მოწყენა ხეთა.
არ მასვენებდით გახსენებით შენ და სვანეთი,
ჩემთვის ორივე შორეული იყავით ერთად
შემოდგომის ქარს მიმოჰქონდა მოწყენა ხეთა
და ქარვა მზისა სულ სხვა იყო სიელვარეთი.

## წარწერა წიგნზე «მთვარე და ექსპენსიანი»

საღამო იდუმალ ლანდებით მოსული,
ბნელ ფრთების შრიალით მოიყვანს ტაიტელს,
მოწყენით მოყოლილ ნაღვლიან წარსულის
სიწრფელე მომავლის სიზმრებსაც დაიტევს.
ის არის ძვირფასი, ვით თასი ღვინოთა
შესმა და ღვიძება გრძნობათა აულის.
შავია, შავია და მაინც მინათებს,
უფალი სევდისა და სიმხიარულის.
მან იცის, ნამქერი ყვავილთა თოვისა
ვით ცდილობს ულმობლად ღრმა სულში ძინებას, -
ჩემს ზართა გუგუნს და მუსიკას გლოვისას
რად ერთვის ელვარე სხივების დინება.
და დღეთა რბოლაში ის არის ზიარი
მომავლის წყვდიადთან უმკაცრეს ბრძოლების.
მშვიდ ფერთა ღამეებს ის აამზიანებს,
შეუცნობ მხარეთა ქარების ქროლებით.
აწმყოვ და წარსულო, წყევლიან ამინდებს
მომავლის მირაჟებს რა მალე ბარდებით.
დღეებო, ამღვრეულ ღიმილით დამინდეთ,
ღამეო კვლავ მოდი ერთგული ლანდებით.

*შერმადინ ქალდანი*

## პოეტის ერთი ლექსი

### მირზა გელოვანი (1917-1944)

ქართლის მიწავ უტკბილესო,
საყვარელო ქართლის მიწავ,
შენს ცხრათვალა დიად მზეს და
შენს ჩალისფერ დროშას ვფიცავ!
ამ მწვანე ხეს, ძვლებზე გაზრდილს,
ამ ლოდების ხავსს და ნაჟურს,
კავკასიონს, ცამდე აწვდილს,
შავნაბადას, გულდაჟანგულს,
ამ ბუჩქებს და იმ ქერა ნისლს,
დილაობით შენ რომ იცვამ,
დაცემულთა დაქცეულ სისხლს,
დაღუპულთა ხსოვნას ვფიცავ,
ქარსა ვფიცავ, ხეს რომ არხევს,
სანამ ნისლებს შემოახვევს,
სააკაძის ხმალის ნატეხს,
უკვდავებით ნათილისმარს,
ნარიყალას წარსულ სახეს,
აწ დარჩენილ ლიბოს ვფიცავ!
ვფიცავ სვანის ნათქვამ ლილეს,
ვფიცავ ჩემი ლექსის ნინევს! -
თუ ოდესმე, როგორც ძველად,
ამ ცას ვინმე შეგეცილოს...
წმინდა ვალის მოსახდელად
უყოყმანოდ შეგეწირო.
მოვკვდე ისევ ღიმილმჩენი,
ვით კვდებოდნენ გმირნი ძველად,
რომ, სამშობლოვ, საქმე ჩემი
დარჩეს შენდა სადიდებლად.
ჩემო მიწავ! ლაჟვარდებში
ვინც ქარს შეხვდა გამკლავებით.
ვინც გაღეღილ საგულეში
ჩაიბნია ვარსკვლავები.
ვინც შებორკა მტრების ზრახვა,
ვინც ქმნის მუდამ - იგი მე ვარ.
მე ჩემს თბილისს მალე ვნახავ,
მე ნაომარ არწივს ვგევარ
შორს სახელი გამივარდა,
შორს წასულან ჩემი ხმები.
მე ოცი წლის გმირი ვარ და
საუკუნე მომაქვს მხრებით.

### ნოდარ კვიციანი

შენ შემოხვედი ჩემს სულში მძიმედ,
თეთრი ლექსივით მძიმედ
ამოექოლა ყველა სარკმელი
ისეც, უმზეო მღვიმეს.
ვაგლახ, ამაოდ, ხელის ფათურით,
ვეძებ დაფანტულ მძივებს,
შენ შემოხვედი ჩემს სულში მძიმედ,
თეთრი ლექსივით მძიმედ.

ულირსთა სტვირზე
ვიწყებთ როკვას
მხდალი მონები,
თვითონ არ ვიცით
რა გვახარებს,
რაზე ვლონდებით,
კაცში სიკეთეს კი არ
ვეძებთ,
რომ განვადიდოთ,
მხოლოდ ნაკლს
ვჩხრიკავთ,
რომ ჩავქოლოთ
და დავამციროთ,
ფეხქვეშ ვეგებით
უცხო ჯილაგს,
ვკკეკლუცობთ,
ვლაჩრობთ,
მოძმეს, თუნდ
ღმერთკაცს,
თავს ლაფს ვასხამთ,
წუმპეში ვახრჩობთ,
შევნატრი იმ დროს
ბრძოლით სავსეს,
მაგრამ დროს
მართალს,
როდესაც კაცი პატივს
სცემდა
წინაპართ საფლავს,
იყვნენ ქალები ამაყი
და პატიოსანი,
კაცი კაცობდა გლეხი
იყო
თუ ხელოსანი,
როცა ტაძარში
აღავლენდნენ
გულღიად ლოცვას,
როცა შეეძლოთ ჭირთა
თმენა,
მოძმისთვის მოცლა,
როცა ძმებისთვის ერთი
იყო
ლხინი, იარა,
ურთიერთ ნდობა,
სიყვარული,
მტრობა კი არა,
აქ შეიძლება
უსასრულოდ
როცა და როცა,
ვაი ჩვენს პატრონს,
მტრების ნაცვლად
ერთმანეთს ვხოცავთ,
ულირსთა სტვირზე
ვიწყებთ
როკვას
მხდალი მონები,
თვითონ არ ვიცით, რა
გვახარებს,
რაზე ვლონდებით...

***გუგული დევდარიანი*** 08.03.96

## სვანეთში წავალ

სვანეთში წავალ: კვლავ მეძახიან,
წელსაც მიხმობენ ჭრელი ზღაპრებით;
სულით ხორცამდე ჩემი ხალხია,
ჩემი მთები და ჩემი ალპები!
ზაფხული პირქუშ მთა ბარს აჭრელებს,
თეთრ ეცერს თოვლი, მითვლიან, გალხვა
მაგრამ მე ეცერს რა გამაჩერებს,
სულ მინდა მთელი სვანეთის ნახვა,
ცხუმარს და ბეჩოს მინდა ჩარბენა,
ჩავუჯდე მახვშებს ულვაშებიანს,
უშგულში გავყვე მურზა მარგველანს,
თეთნულდის ძირში - გურამ ჩეგიანს!
სვანეთში წავალ: კვლავ მეძახიან,
წელსაც მიხმობენ ჭრელი ზღაპრებით;
სულით ხორცამდე ჩემი ხალხია,
ჩემი მთები და ჩემი ალპები!
მინდა ჭუნირის ხმაზე ვგალობდე,
სვანური სიმხნე სულში აღვზარდე,
მინდა - გავჯიქდე, მინდა - გავლომდე,
მინდა - გავსავნდე, - მინდა - გავსვანდე!
ხალდეს ჭალაში ჯიხვებს ავაფრენ,
აღმა შევყვები ჰადიშის ჩრდილებს
სხვას თუ არაფერს, სხვას თუ არაფერს,
ორს ხომ ვისწავლი, «ზარსა» და «ლილეს».
რომ დასჭირდება ჩემს მამულს, ვიცი,
(ფუ ეშმაკს! მამულს სწერია ჯვარი!)
ვიბარებ : ზვარაკს მშობელი მიწის -
«ვოი - ვო!» - მითხრან სვანური ზარი.
«ვოი - ვო!» კვნესა თუ ღრენა ჯიქის!
«ვოი - ვო!» მოდგეს სვანეთის ჯარი!
არამიც იყოს «ვოი - ვო» იგი,
თუ მამულისთვის ვერ ვიქნე მკვდარი!
ჯერ კი ცხოვრებას ას წელს ვაპირებ
და უფრო მეტად მჭირდება «ლილე»,
აღმა შევყვები ცისფერ ნაპირებს,
კვლავ ვინახულებ ენგურის ჩრდილებს;
«ო, ლილე» - მინდა მზისთვის ვგალობდე,
სულში შვილივით სიმხნე გავზარდე;
მინდა გავჯიქდე, მინდა - გავლომდე.
მინდა გავსავნდე, მინდა გავსვანდე!

*მურმან ლებანიძე*

## ვაჟა ხვისტანი (1943-1997)

ტყეების ჩრდილში თუ გრილა ახლა,
ისევ შენ მიხმობ და გეაჯები,
ამოამშრალა სული ამ დამღამ,
გადაიყვლიფა სიმწრით მაჯები.
ამაოდ ვეძებ ძველ მისამართებს,
საკირესავით ცხელი თვალებით,
შენც ამ ტყიანეთს თუ შეეფარე,
შენც იმ ჩრდილებში თუ იმალები.
ხეს მოარიდე მზერა დამწველი
მარად სიმწვანით იყავ ულევი,
ხეებს კაცივით სტკივათ სიცოცხლე
ხეებს კაცივით სტკივათ გულები.

## არა ჩანს თორემ...

## დუმილი მუხისა

... და უსაზღვროა დუმილი მუხის,
ქცეულის ცქერად,
ვერ აზმოვანებს სიო მის რტოებს,
ვერა და ვერა!

გარშემო ბევრი არყი და თელა,
ვერხვებიც ბევრი...
და უდრტვინველად
და უდრტვინველად
დუდუნებს ტევრი.

მუხა კი ისევ დუმილით, მკაცრად,
გასცქერის შორეთს.
ო, ვისაც ელის, იგი ჯერ არსად
არა ჩანს, თორემ!...
არა ჩანს, თორემ!...
და უსაზღვროა დუმილი მუხის,
სდუმს მუხა ძველი,
ვერ აზმოვანებს სიო მის რტოებს...
მუხა ქარს ელის,
ქარიშხალს ელის.

*სიმონ შამფრიანი*

## მთის კალთაზე სახლი მედგას...

მთის კალთაზე სახლი მედგას,
ხეც ხარობდეს ათიოდე,
იისფერად, განუწყვეტლად
ცაში კვამლი ადიოდეს.
ბუხრის პირას მუხლმორთხმული
ვით ზღაპარში ვიჯდე მწყრალი.
ჩემზე იყოს გულ მოსული
ჩემი თეთრი დედოფალი.
ბუხარივით გიზგიზებდეს -
მხიარული მქონდეს გული,
ჩემს ბავშობას მაგონებდეს
ცოლის ტკბილი ჩონგურული.
გასაზრდელი ბიჭი მყავდეს,
გოგო მყავდეს თაფლისთვალი,
შავგვრემანი მამას ჰგავდეს,
დედას-მისი თეთრი ქალი.
დამეზარდონ სანაქებოდ
და მათ დაჰყვეს დედის გული,
მამასავით იოცნებონ
საქართველოს სიყვარული.
მთის კალთაზე სახლი მედგას,
ხეც ხარობდეს ათიოდე,
იისფერად, განუწყვეტლად
ცაში კვამლი ადიოდეს.

*რევაზ მარგიანი*

# ხალხური პოეზია

## (სვანური პოეზია)

### ლილე

დიდება! შენსა ბრწყინვალე ზექმნილსო,
ოქროს სამკაულთა საამქროს შექმნილსო,
შენი სიცოცხლის გვირგვინად ნასვენსო,
შენსა ნასვენსო ვედრით შველასო.
*გადმოაძირქართულა მიხეილ აფრასიძემ*



### სიზმარი

- წუხელ სიზმარი მესიზმრა,
რა უნდა იყოს, დედავ,
მთაში ირემი ყვიროდა,
რა უნდა იყოს, დედავ,
კერაზე კატა კიოდა,
რა უნდა იყოს, დედავ,
ბუმბულს იცლიდნენ ყორნები,
რა უნდა იყოს, დედავ,
ალვის ხე დაცემულიყო,
რა უნდა იყოს, დედავ,
წითლად ეყარა ფოთოლი,
რა უნდა იყოს, დედავ?
- მთაში ირემი ყვიროდა -
მამაშენია, შვილო,
კერაზე კატა კიოდა -
დედაშენია, შვილო,
ბუმბულს იცლიდნენ ყორნები -
შენი დებია, შვილო,
ალვის ხე დაცემულიყო -
შენი ტანია, შვილო,
წითლად ეყარა ფოთოლი -
შენი სისხლია, შვილო
*გადმოაძირქართულა მიხეილ აფრასიძემ*

### კასლედილი

ვის უნახავს კასლედილი -
მამაჩემის სამოსახლო!
კლდეზე თეთრი ციხე უდგას,
მთიდან მთაზე ნათელს აფენს.
თვალუწვდენელ მამულს მისას
ჯიხვი ხნავს და არჩვი თესავს,
ფურ-ირმები ყანას მკიან,
ხარ-ირმები კალოს ლეწენ.
დილით აყრის თავის ნახირს,
იფნის შოლტით მისდევს უკან,
გადაიყვანს უთურ-მთაზე,
ვეძას ასმევს უთურ-მთისას,
იალაღზე რემას გაშლის,
იალაღზე, შხარის ახლო.
ერთადერთი ქალი ვყავარ,
როგორ გითხრათ თავის ქება:
განთიადის ვარსკვლავი ვარ,
კასლედილის ცაზე ვბრწყინავ.
კასლედილში რისთვის ვიჯდე,
კასლედილში მე რა მინდა,
შევიკაზმავ მამის საღარს,
ტანთ ჩავიცვამ ქარის სამოსს,
გადავიყრი გიშრის დალალს,
მღერიე გზებზე გავიგელვებ…
ბექობიდან გადვიხედე,
ფერხულს უვლის ქალთა წყება,
ჩამიწვიეს, ჩავეწვიე,
მათთან ერთად წრეში ჩავდექ,
სიმღერები ასე ტკბილი,
არ მსმენია არასოდეს.
- ქალი ხარ და - ზართა რეკვა,
ქალი ხარ და - თეთრად თოვა,
რად დასტოვე მამის სახლი,
ჩვენს მხარეში რისთვის მოხველ?
- დობილებო, საქმროს ვეძებ
ტანად ალვას, პირად მთვარეს,
სამი დიდი საყმოს მთავარს,
სამი დიდი ციხის პატრონს.
ქვიშისფერი ცხენი ჰყავდეს,
ხმალი ერტყას ალმასისა.
- აქ ასეთი არვინ არი,
ვერ იპოვნი, ვისაც ეძებ.
- არ არი და ნურც ყოფილა,
გათხოვება სულ არ მინდა,
კასლედილში ციხე მიდგას,
მთიდან მთამდე ნათელს აფენს.

## დერე

ეს რა დიდი ცოდვა-ბრალი
დატრიალდა სულთა შაბათს,
ჩაჭედილი მოსკდა დერე,
თავდაღმართზე გრგვინვით მიდის.
დიდხანს ვიყავ ჩაჭედილი
მთათა შორის, - ამბობს დერე, -
ყველა ზღუდე გავარღვიე,
შავი ზღვისკენ პირი ვქენი,
მეზრიერზე მოვბრძანდები,
მწვანე საჯარს კალთებს ვაჭრი,
ყინულების მძიმე კევრებს
ვატრიალებ თითებშუა.
იალაღზე საჯარს ქვემოთ,
მწყემსი ბიჭი ჯოგსა მწყემსდა.
დამინახა, შეეშინდა,
გარიდება გვიანს ცადა,
- სად გარბიხარ, კარგო ბიჭო,
კარგო ბიჭო, მწყემსო ბიჭო.
ჯოგიანად გაგიტაცებ,
შავი ზღვისთვის ძღვენი მინდა.
ბავარს ქვემოთ მოვბრძანდები,
რასაც ვხვდები, დაღმა მიმაქვს.
გზაზე წისქვილს გადავაწყდი,
ბექაილა ხორბალს ფქვავდა,
მხარი გავკარ, გავიტანე,
შავი ზღვისთვის ძღვენი მინდა.
ლადგიმი რომ ჩავიარე,
შემომესმა ზართა რეკვა,
ლამარიას საყდრის კარებს
მივდგომოდი უცაბედად.
საყდარს გვერდი ავუარე,
ლამარიას რიდი მქონდა,
ჟიბიანზე მოვბრძანდები,
მახვედრებენ ცრემლს და კივილს,
ჩვიბიანზე მოვბრძანდები,
მახვედრებენ სავსე ტაბლებს.
ნაგვაშერზე ჩამივლია,
ნაგვაშერი დაღმა მიმაქვს.
შიხაილა კარებს კეტავს,
არ ეამა სტუმრის მოსვლა
- შიხაილავ, შენი კოშკი
ყველა ქვეყნის კოშკსა სჯობდა,
შიხაილავ შენი ნანილ
ყველა ქვეყნის ნანილს სჯობდა,
აგყრი დედაბუდიანად,
შავი ზღვისთვის ძღვენი მინდა.
ნაკრიერზე მოვბრძანდები,
ნაკრიერი დაღმა მიმაქვს,
ერთ ნაპირზე მაყვალს ესხა,
მეორეზე - მოცხარს ესხა.
მაყვლიანში სამი გოგო,
სამი დაი კისკისებდა,
- რას დამცინით, კარგო დებო.
კარგო დებო, თეთრო დებო
ავდგები და მოგიტაცებთ,
შავი ზღვისთვის ძღვენი მინდა.
მთებში წლობით ჩაჭედილი
დერე მოსკდა სულთა შაბათს,
შავი ზღვისკენ გრგვინვით მიდის,
პატრონისთვის ძღვენი მიაქვს.

## ღრუბელი

- ჩქარა წადი, ღრუბელო,
ველზე ჩრდილებს ნუ ფენო,
- ჩქარა როგორ წავიდე,
ეკლები მჩხვლეტს ძეძვისო,
ფეხშიშველა დავდივარ,
ფეხისგული მეწვისო.
*გადმოაძირქართულა დავით წერედიანმა*

## ვარიაციები სვანური პოეზიიდან

ძაღლმაც იცის პურმარილი,
დადეშქელიანო,
თავს ნუ იგდებ, სტუმარი ვარ,
დადეშქელიანო,
რაღას ეტყვი ცხუმარელებს,
აგეშლებიანო,
ძაღლმა დაგიფასოს პურმარილი!..
ცხენზე შესვეს შებორკილი
ტაგუ ჯაჭვლიანი,
შავი დარდით შებოლილი
და გულარჯლიანი,
გასაყიდად წაიყვანეს ტაგუ ჯაჭვლიანი.
გზის პირას რომ არყნარია -
მთვარე ჩავარდნილა.
არყიანში ყაყანია -
მთვარე ჩავარდნილა.
განა სევდა ააცრემლებს
თვალებს შევარდნისას.
ცეცხლის ბოლი აცრემლებს
თვალებს შევარდნისას
გზის პირას რომ არყნარია -
მთვარე ჩავარდნილა:
კოცონს შეშა წაუმატეს
ბლომად გუშაგებმა.
ტაგუს თოკი წაუმატეს
ბლომად გუშაგებმა,
არყიანში ყაყანია -
მთვარე ჩავარდნილა.
მწვადი შეწვეს გუშაგებმა,
ტყვეს არ მიაწოდეს,
ღვინო შესვეს გუშაგებმა,
ტყვეს არ მიაწოდეს,
მწვადიც დარჩათ,
ღვინოც დარჩათ,
ტყვეს არ მიაწოდეს.

ცეცხლი
მაინც შემაჭამეთ,
ცეცხლით დამანაყრეთ!
წრიალებდა შევარდენი.
მტრის ხელთ ჩავარდნილი,
ცეცხლი მაინც შემაჭამეთ,
ცეცხლით დამანაყრეთ!

მიაწოდეთ ნაკვერჩხლები,
  მაგრად იქეიფოს...
ვიდრე არყნარს გავეცლებით,
მაგრად იქეიფოს.
  არყიანში ყაყანია -
  მთვარე ჩავარდნილა.
ცეცხლი კბილით გამოართვა
  ტაგუ ჯაჭვლიანმა;
ცეცხლი კბილით გამოართვა
  კვლავ გულარჯლიანმა,
დაწვა თოკი მობორკილი,
  აღდგა თავისუფლად,
დასცა გველი მობორკილი
და ღრმად ჩაისუნთქა.
დაერია ჯაჭვლიანი
  ღვინით დალეშილებს,
აბჯრიანებს, ჯაჭვიანებს,
  რკინით დალესილებს...
გზის პირას რომ არყნარია -
მთვარე ჩაფერფლილა,
აღარც ავი ყაყანია,
მთვარეც ჩაფერფლილა.
რად გასწირეთ გუშაგებო,
  თავი უსარგებლოდ?
ტრიალებდა შევარდენი
  ცაში ავარდნილი.
კარს ურდული გაუყარე,
  დადეშქელიანო!...

* * *

ფუძის ანგელოზი გაუწყრათ
  ხერგიანებს...
და იჯდა ოთხი ძმა აღრენილი
მეათედ დანგრეულ მურყვამთან.
შიში გაუმრავლდათ ნაღველივით
და იჯდა ოთხი ძმა აღრენილი, -
ფუძის ანგელოზი გაუწყრათ ხერგიანებს...

ხმები დადიოდა საოცარი,
ჭენებით დახეთქეს ცხენები:
სვანეთში არ დარჩათ სალოცავი,
ხმები დადიოდა საოცარი -
ფუძის ანგელოზი გაუწყრათ
  ხერგიანებს...

  და იჯდა ოთხი ძმა აღრენილი
  მეათედ დანგრეულ მურყვამთან.
სიცოცხლით ყველაფერს ეშველება,
არას ეშველება სიკვდილით,
სიცოცხლით ყველაფერს ეშველება,
სიცოცხლით მარცხდება სიკვდილი.
გულოვანი ქვეყანას დაიხსნის,
ქვეყანას დაღუპავს ჯაბანი,
გულოვანი თავს ლაფს არ დაისხამს,
ყველაფერს იკადრებს ჯაბანი.
გულის ხმა ესმოდათ ხერგიანებს.

ხვალ მეათე წელი გათენდება,
რაც თავზე გენგრევათ მურყვამი,
ხვალ მეათე წელი გათენდება
და თუ გსურთ ააგოთ მურყვამი,
ვისი ცოლიც პირველი მოვა და
თვალებით გაზაფხულს მოიტანს,
მურყვამის კედელში ჩააყოლეთ,
მურყვამი მაშინ თუ აშენდება,
შორი ხმა ესმოდათ ხერგიანებს
და იჯდა ოთხი ძმა აღრენილი,
  გონებახერგოვანი.

ოთხივე ძმას ესვა პატარძალი,
ოთხივეს თვისსწორი ეკუთვნის,
ოთხივე ძმას ესვა პატარძალი,
ყველა კენარი და კეკლუცი.
რომელს ელის მურყვამის კედელი.
ვისი გაზაფხული ჩაქრება,
რომელს ელის მურყვამის კედელი,
ვისი მზისიერი ჩაქრება?
და იჯდა ოთხი ძმა ხერგიანი
  გონებახერგოვანი.

გათენდა, წამოდგა კირითხურო,
ფიცხლად დატრიალდნენ მუშები,
ღელავდა ქავზაი ხერგიანი
და ძმათა იერი უკვირდა.
იქნება ილაჩრეს სულძაღლებმა
და ცოლებს გაენდვნენ იქნება,
ღელავდა ქავზაი ხერგიანი
და ძმათა დუმილი უკვირდა.
გზაზე რომ გამოჩნდა პატარძალი,
სამთაგან არცერთის ცოლია -
გზაზე რომ გამოჩნდა პატარძალი,
ქავზაი ხერგიანის ცოლია.
გამოუგზავნიათ მაზლისცოლებს,
ილაჯი იწურეს, დავარდნილან,
მეხი დასცემიათ მაზლისცოლებს,
სამივე ლოგინად ჩავარდნილა.
ნაბიჯი აჩქარე პატარძალო,
შენ გიცდის მურყვამის კედელი,
ქავზაის ხატულა პატარძალო,
ქავზაის ლამაზი გულივით,
ქავზაის მლივანი მკლავებივით,
ჩაგიკრავს მურყვამის კედელი.
ფიცხლად დატრიალდა კირითხურო,
ფიცხლად დატრიალდნენ მუშები.

და დარჩა სვანებში ზღაპარივით,
მურყვამის კედლების ამბავი,
კაცთაგან ზღაპრამდე ატანილი,
ოდესღაც ნამდვილი ამბავი.
ადგილი დაერქვა მარცხიანი,
ქავზაის კლდედქცეულ პატარძალს -
დუშმანი სამ კედელს დაცხრილავდა,
მეოთხეს ჭურვიც ვერ ატანდა.

და დარჩა სვანებში ზღაპარივით,
მურყვამის კედლების ამბავი.

***გურამ გოგიაშვილი***

### რა დიდია და მისასალმებელი ნიჭი!



ნიჭი შეუზღუდველი, მრავალმხრივი და შემოქმედი. ამით გამოირჩევიან შემოქმედი ადამიანიები სხვებისაგან. ბატონი დიმიტრი კორძაია წარმოადგენს უბრწყინვალეს მაგალითს ასეთი ადამიანებისა: საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, პროფესორი, ექიმი ქირურგი, პედაგოგი, კლასიკური და ტრადიციული მედიცინის აკადემიის რექტორი, საქართველოს ინტეგრალური მედიცინის ფუძემდებელი, პალიატიური მედიცინის ინიციატორი საქართველოში და ამავე დროს მწერალი და პოეტი. მუზა კორძაიების ოჯახში შემთხვევით როდია: ბატონი ჯანსულ კორძაია როგორც ფილოსოფოსი უაღრესად დიდ შეფასებას აძლევს საკართველოში უპრეცენდენტო საგმირო საქციელს გია აბესაძისა და უძღვნის მას საგმირო ბალადას. ამ მუზის «გენეტიკური» გამოძახილია ბატონი დიმიტრის ლექსი გმირულად დაღუპული დიდი მამულიშვილის მიმართ დაწერილი.

***სიტყვის პაპა***

## *ციკლიდან "თითქმის ისევე, როგორც დედანში"*

* * *

მოუშორებლად სულ თან დამყვები,
ვით საიდუმლო სულის ნუგეში,
შენ გიგალობენ ჩემი საყდრები
საუკუნიდან საუკუნეში,

გადმომყვა ნატვრა შენი მდომელი -
ათასწლეულით ათასწლეულში,
შენ ოცნებითაც მიუწვდომელი
მზედ ჩამოღვრილხარ ამ ჩემს სხეულში!

მოგყვება ნატვრა მარად მძებნელად,
შენ, ნატვრასა და ტკივილს უკურნელს...
და ისევ შენი ნატვრით გრძელდება
ათასწლეულიც და საუკუნეც!

* * *

თუ სიყრმისეულს ისევ ვგრძნობ ძალას
(მე უფალს შევთხოვ, ცოტაც მაცხოვროს) -
მსურს მცხეთის ჯვარზე გიძღვნიდე სალამს,
რომ მცხეთის ცისქვეშ დაგიმახსოვრო!

გადასახდელი მაქვს შენი ვალა
(ვინძლო, იმ ქვეყნად ღმერთმა მაცხოვნოს)...
მსურს ზედაზენზე გიძღვნიდე სალამს
რომ მცხეთის ცისქვეშ დაგიმახსოვრო!

მალე ეს ძვლები მიწაში ჩავა,
სანამ ვარ – შენზე რითმა ვაცხოვლო...
მინდა მცხეთაში გიძღვნიდე სალამს
და მცხეთის ცისქვეშ დაგიმახსოვრო!
*წარწერა ჯანსულ ღვინჯილიას წიგნზე*
*" ქართლოსის საფლავი"*

***დიმიტრი კორძაია***

# სხარტულა

### ბიბა

ეს რა ვნახე საკვირველი:
ჭიანჭველა ციხეს აგებს.
კიდევ უფრო გაგაკვირვებ:
ვხედავ, მგელი ფარას მწყემსავს.
კიდევ უფრო გაგაკვირვებ:
ვხედავ, სკვინჩა ორბებს იჭერს,
კიდევ უფრო გაგაკვირვებ:
ვხედავ, თაგვი დათვებს ბუბნის,
კიდევ უფრო გაგაკვირვებ:
ვხედავ, ღელე აღმა მიდის.
კიდევ უფრო გაგაკვირვებ:
დიაცები უხმოდ სხედან.
*გადმოაძირქართულა დავით წერედიანმა*

* * *

თბილისში გაიმართა ვალერიან საღლიანისადმი მიძღვნილი საღამო. ყველა გამომსვლელი უწონებდა მას, რომ თბილისში არ ისურვა დარჩენა და მთას დაუბრუნდა. უცებ იუბილარს გაუტყდა სკამი. ალექსი ჯინჭარაულმა არ დაახანა და ლექსით მიმართა.

**აქ ვერ ამოხსნეს ჩემო ვალიკო,**
**შენი ცხოვრების არსი რაშია,**
**ქალაქს საშენო სკამი არ იყო**
**სწორედ ამიტომ წახველ მთაშია.**

* * *

შოთა ჩანტლაძემ ედუარდ ფალიანს
უძღვნა შემდეგი «ფუნაგორია»

**უფალო! უშველე უფულო ფალიანს,**
**იგი ხომ სვანია და საქართველოს ფარია.**

* * *

*ერთი ბრვე სვანი გამიჯნურებული იყო თბილისელ გოგონაზე,რომელმაც ფრიად აწვალა.მის იმჟამინდელ მდგომარეობას შეიტყობთ ლექსით.*

***დაღონებულს რომ მნახვიდე,***
***ჩამაუვლიდე ნინოსა,***
***ეგების მარტო დავლანდო,***
***შორიდან გამიცინოსა.***
***თმები, თუ ნისლებს მიუგავს,***
***თვალები კი ლალ-ღვინისა***
***ნემსის ყუნწს უმზერს***
***ცდილობს შიგ***
***აძლემი გამაძვრინოსა.***

## თარგმანები

ფედერიკო ფელინი

# უკანასკნელი შეხვედრა ტოტოსთან

ჩემი მეხსიერების სალაროში მუდამ დარჩება ჩემი შეხვედრა იტალიური კინოს, თეატრისა და ესტრადის მშვენებასა და სიამაყესთან, მართლაცდა ზეგარდმო ნიჭით ცხებულ, დიდებულ მსახიობ ტოტოსთან, ეს მოხდა მაშინ, როცა «8 1\2»-ის გახმოვანებაზე ვმუშაობდი. შესვენებისას ფილმის მონაწილეებთან კინოსტუდია «სკალარის» ბაღში გავედი სასაუზმოდ. უეცრივ სკვერის ყორესთან მოვლანდე ნეაპოლელი მსახიობი დონცელი, რომელსაც ხელკავით მოჰყავდა ტოტო, მოჰყავდა ნებანება, სვენებ-სვენებით. დიდი შავი სათვალე ჰფარავდა მსახიობის სახეს. დონცელიმ სკამზე დასვა ტოტო და ჩვენსკენ გადმოდგა ნაბიჯი. შეკითხვაზე, თავს როგორ გრძნობს ეკრანის მეფე-მეთქი, ჩამჩურჩულა: ვერაფერს ხედავს სულ დაკარგა თვალის ჩინი, ეგ ახლა ვერავის, ვერც თქვენ გხედავთო. მერე მიუბრუნდა ტოტოს და ხმამაღლა შეეხმიანა: თავადო, (ტოტო ხომ დიდი გვარეულობის შთამომავლის, ანტონიო დი კურტის გალიარდოს არტისტული ფსევდონიმი გახლდათ)! იცით ვინ არის თქვენ სიახლოვეს? რეჟისორი ფელინი. ის სალამს გიძღვნით. მსახიობმა ზეასწია თავი. უსინათლოთა ჩვეულებისამებრ ზეცას აჰხედა და გახარებულმა ჰაერში მოაფათურა ჩემი გაწვდილი ხელები. ილიმებოდა ტოტო, მაგრამ არ ეძეროდა მარილზავებული, ამჯერად კი უმწეოდ გამომეტყველი სახე. ენა წამერთვა. ვიდექი და მდუმარედ შევმზერდი. არასოდეს მჩვენებია აგრე არაამქვეყნიური, თითქოსდა უსხეულო, ყველასა და ყოვლისაგან განრინებულ არსებად. სად იყო, სად არა, გაჩნდნენ რეჟისორ კორვუჩის ასისტენტები. ხელი ჩაჰკიდეს ტოტოს და წაიყვანეს. ო, არა! წაასვენეს, სწორედ იმგვარად, წმინდათა გამოსახულებებს რომ მიასვენებენ საეკლესიო დღესასწაულებისას. უბრალო ადამიანური გრძნობითა და პროფესიული ცნობის წადილით შეძრული, ჩემდაუნებურად შევყევი პავილიონში. ვერაფრით გამეგო როგორ უნდა ეთამაშა როლი დაბრმობილ მსახიობს. პავილიონში უკვე ყველაფერი მზად იყო. ტოტო გადაატარეს იატაკზე მიმოყრილ კაბელებზე, გაიყვანეს გადასაღები მოედნის შუაგულში, შემოსეს ფართხუნა ფრაკით, ჩამოაცვეს ქვაბური ქუდი. ამა ყოველს მორჩნენ თუ არა, მსახიობს მიეჭრა რეჟისორი კორბუჩი. «თქვენ იმყოფებით სასტუმრო ოთახში, გააკეთებთ ამას და ამას, მერე ეკვეთეთ სასტუმროს მარჯვენა მხარეს, წარმოთქვამთ ამა და ამ ტექსტს, ბოლოს კი მიაშურებთ იმ კუთხეს, სადაც დგას მსახიობი ენცო ტუსკო», სხარტად განმარტოვდა რეჟისორი გასათამაშებელ სცენას. «მე აქ ვარ, ანტო!» - შესძახა პარტნიორმა და ხელებით ანიშნა კიდეც, სადაც იდგა. ამაოდ დაშვრა, სამარადჟამოდ ჩანავლული ტოტოს თვალები ვეღარას ამჩნევდა. კორბუჩიმ მისცა ნიშანი. იმძლავრა შუქმა. კიდევ უფრო გაჩახჩახდა მოედანი. ჩართეს მოტორი. ტოტომ მხოლოდ ახლაღა მოიხსნა შავი სათვალე და მოხდა სასწაული მისი უეცარი თვალის ახელისა. იგი რაღაც მანქანებით ხედავდა გარემომცველ საგნებს, ადამიანებს, იატაკზე ცარცით მოხაზულ მიჯნებს, რომელთა იქით იკრძალებოდა გადასვლა. აგრე გეგონებოდათ ამ წამს ასი სახედველი უბოძაო ბუნების ძალამ თვალის ჩინდაშრეტილს, იგი ხტოდა, ციბრუტივით ბრუნავდა, მკვირცხლად მიმორბოდა რეჟისორის მიერ მითითებული მიმართულებით, მიზანს ახვედრებდა თეფშებს და მყის პასუხობდა პარტნიორების ტუსკოს, დონცელის, კასტელანის რეპლიკებს. ირგვლივ შემოკრებილი გადამღები ჯგუფის წევრები და ხიდურებზე მდგარი გამნათებლები სიცილით იგუდებოდნენ ამ იგავმიუწვდომელი კომიკოსის შემყურენი, ტუჩებს იკვნეტდნენ, სახეზე ხელებს იფარებდნენ, ხარხარი რომ შეეკავებინათ და არ ჩაეშალათ გადაღება. უეცრივ გაისმა «სდექ!» გადაღება დამთავრდა. ტოტოს მყის დაებორკა ხელფეხი. მან კვლავ მოირგო სათვალე და კვლავ გაიშვირა ხელები წინ ნიშნად იმისა, რომ გაეყვანათ მოედნიდან. უსინათლოს კვლავ ამოუდგნენ მხარში. რუდუნებით მიაცილებდნენ. არიდებდნენ ნივთებს და ადამიანებს. აქ კაბელია, საფეხურიო, აფრთხილებდნენ. პავილიონს გასცდნენ თუ არა ტოტომ ერთიანად იცვალა იერი. წამიც და იგი კვლავ გადაიქცა იმ ლამის უსხეულო, მქრალ აჩრდილად, ყველასა და ყოვლისაგან განრინებულ, ჩია არსებად, ახლახან ბაღში საწყალობლად რომ ეფიცხებოდა მზეს და კვლავ შთაინთქა ბნელეთისა და მარტოობის წიაღში.





***იტალიურიდან თარგმნა ედიშერ გიორგაძემ***

# ერთ-არსებისა ერთისა

## ცნებისათვის «სამება»

ცნება «სამება» («ტრიას», «ტრინიტას», «ტროიცა») ბერძნულად პირველ იხმარა მამა თეოფილე ანტიოხიელმა, ხოლო ლათინურად - მამა ტერტულიანუსმა (დაახლ. +222 წ.).

რელიგიის პროფესორი ე. ვ. ჰოპკინი ამბობს - იესო ქრისტესათვის და მოციქული პავლესათვის სწავლა სამების შესახებ უცნობი იყო; სამების გამო სწავლა პირველად ჩნდება იოანეს სახარებაში. თვით სიტყვა «სამება» არავის უხმარია 180-200 წელზე ადრე, არც ბერძნულად და არც ლათინურად.

ი. ტდურმელის თქმით, ცნება «სამება» ქრისტიანულ ეკლესია -

165 წლიდან წმინდა მამა ავგუსტინუსამდე (+430 წ.) სხვა და სხვა სამება ისწავლებოდა და ერთი სწავლა მეორეს მძაფრად ებრძოდა. მაგრამ ყველაფერი ეს გაქრა, ესე იგი: მოძველდა და დღესაც აღსარებულმა წმიდა სამებამ დაიკავა საბატონო ადგილი.

***

პირველითაგან იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყვა იგი.

ესე იგი პირველთაგან ღმრთისა თანა

ყოველი მის მიერ შეიქმნა, და თვინიერ მისა არცა ერთი რა იქმნა, რაოდენი რა იქმნა...

ასე იწყება იოანეს სახარება. «სიტყვა» აქ არის «ლოგოს», «ვერბუმ», «სლოვო», და ეს სიტყვები არის იესო ქრისტე. ამით ნათქვამია: იესო ქრისტე არსებობდა უწინარეს ყოველთა საუკუნეთა; იგი არის ძე ღმრთისა.

რა კავშირი აქვს მამა-ღმერთსა და «სიტყვას», «ძე» - სთან? ეს იყო ქრისტიანობის უდიდესი საკითხი, თეოლოგიის კვანძი და სამების რწმენა, რადგან ღმრთეებრ სამებაში არსებობს მამა-ღმერთი, ძე-ღმერთი (სიტყვა) და სული წმიდა. ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი ყოველი მხრივ განისჯებოდა წმიდა მამათა შორის და ნიკეიას საეკლესიო ყრილობაზე 325 წ. გაირკვა მამა-ღმერთისა და ძე-ღმერთის ურთიერთობა; შემდეგ კონსტანტინოპოლის ყრილობამ 381 წ. გაარკვია სული წმიდის საკითხი, ამავე საკითხებს უბრუნდება ეფესოს ყრილობა 431 წ. და ხალკედონისა - 451 წ. და ბოლოს მეორე და მესამე ყრილობა კონსტანტინოპოლში 553 წ. და 680 წ.

ყველა ამ ყრილობის შედეგად საბოლოოდ დადგენილ იქმნა ქრისტიანული მრწამსი, რომლითაც ნათქვამია - მრწამს ერთი ღმერთი... და ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე, ღმრთისა... და სული წმიდა უფალი... სამება.

ქრისტიანულ კატეხიზმოში, შეკითხვაზე: თუ რას ნიშნავს ერთი ღმერთი, ნაპასუხევია - ეს ისე უნდა გავიგოთ, რომ ღმერთი არის ერთი არსებით, და ამასთანავე იგი არის სამგვამოვანი: მამა-ღმერთი, ძე-ღმერთი და სული წმიდა, **სამება ერთარსებითი** და განუყოფელიო.

ერთ-ერთ ქართულ ხელნაწერში, რომელიც დაცული იყო წერა-კითხვის... საზოგადოების წიგნთსაცავში და იოანე დამასკელის წერილს წარმოადგენს, დასასრულს დამატებით ნათქვამია -

«ოუსია» - ოვსია არის იგივე ქართული «არსება» და ამ ცნების განმარტება, რომელსაც ჩვენი დიდებული ლექსიკოგრაფოსი სულხან-საბა ორბელიანი გვაწოდებს, სავსებით შეესატყვისება იოანე დამასკელის ამავე ცნების განმარტებას -

ოვსია (არსება არის ის, რაც არსებობს თავის თავით და რაც არ საჭიროებს არაფერს სხვას თავისი ყოფნისათვის. ანუ კიდევ: ოვსია არის ის, რაც არსებობს თავის თავად და რომელსაც არა აქვს ყოფნა მეორეში.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებითაც - არსება უკვე არს საქმე თავით თვისით მყოფი და არა სხვისა მოქენე შემტკიცებისა მიმართ. ესე იგი არს თავსა შორის თვისსა მყოფი და არა სხვისა შორის მქონებელი მყოფისა.

***

სამებისა და ერთარსების საკითხს ვეცნობით დიონისე არეოპაგელთან, როდესაც საკითხი უზესთაეს **თვითსახიერებას**, ანუ ერთღმერთეებას ეხება: -

«ესე იგი არს, რომელ ვიტყვი სამებითისა ერთობისა, ერთ ღმერთეებისა და **ერთ -** სახიერებისა არცა გამოუთქუმაჲ, არცა მოგონებაჲ შესაძლებელ არს» - ო.

მღვდელთ-მთავრობისა, ანუ თეარხიის დასაბამი, ანუ პრინციპი არის არსთა ყოვლადი მიზეზი, არსთა მაცხოვნებელი, არსება კეთილი; იგი არის სამება, რომლისაგან იქმნება ყოფა და კეთილ ყოფა არსთა სიკეთეთათვის. ეს ნეტარი ღმრთმთავრობა, სავსებით უზესთაესი, რომელიც ჭეშმარიტად არის **ერთი** და სამება, არის ნამდვილი არსი, ხოლო ჩვენთვის მიუწდომელი. ეს დებულება ეფრემ მცირეს თარგმანში ასეა გადათარგმნილი -

«ამის მღდელთ-მთავრობისა დასაბამ არს წყაროჲ ცხორებისაჲ, არსებაჲ სახიერებისაჲ. ერთი იგი მიზეზი არსთა სამებაჲ, რომლისა მიერ არს ყოფაჲცა და კეთილად ყოფაჲცა არსთა სახიერებისათვის, ესე უკუე ყოველთა მიერ კერძოდ ღმერთ-მთავრობითი ნეტარებაჲ. სამებითი ერთობაჲ, ნამდვილივე არსი ყოფითა ჩუენდა მიუწდომელითა».

თავისი თხზულების «საიდუმლოდ ღმრთისმეტყუელებისათვის» დასაწყისშივე დიონისე არეოპაგელი წმიდა სამებას მიმართავს -

«სამებაო ზეშთაარსებისაო და ზეშთაღმერთაო და ზეშთასახიერებისაო. რომელი იგი ხარ ზედამხედ-

ველ ქრისტიანეთა»...

ღმერთი - ღმერთმთავრობა არის პირველობა და ერთობა, ერთი სამი გვამით, და იგი მოქმედებს თავისი კეთილმოქმედი განგებით ყოველივეზე, ყოვლადობაზე, ვინაიდან იგი არის დასაბამი და მიზეზი ყველა არსისა და შეიცავს, პყრობს ყოველივეს, შეიცავს უნივერსუმს, ზეარსებითი წესითო.

ანუ ეფრემ მცირეს თარგმანით -

«რამეთუ პირველობა არს და ერთობა სამ-გვამოვანი იგი და ზეშთაცათა არსებათაგან, ვიდრე კიდეთამდე ქუეყანისათა განეფინების საჴერებაჲ მისი ყოველთა ზედა მყოფითა მით წინა-განგებითა, ვითარცა ყოვლისავე არსებისა ზეშთადასაბამისა დასაბამი და მიზეზი და ყოველთავე ზეშთაარსებისა უთვისოჲთა შეცვითა მპყრობელი და გარეშემცველი».

**ე**რთი, **უ**თქმელი, **ზ**ესთაარსება, **თ**ვითსახიერება, **ი**გი, რომელი არის, მსურს ვთქვა, სამებითი **ე**რთობა («ჲუნიტრინიტჱ»), სამი პირისა, რომელნი არიან თანაბარად ღმრთეულნი და კეთილნი, - არ შეიძლება მივწვდეთ მას, არც სიტყვით, არც გონებითო.

ანუ: ეფრემ მცირეს თარგმანით -

დავწერდეთ «ერთისა მის უმეტესად უცნაურისა, არსებათა უზეშთაესისა თვითსახიერებისა, ესე იგი არს, რომელ ვიტყვი სამებითისა ერთობისა, ერთღმრთეებისა და ერთარს» - ო.

ამ გვარად: **ე**რთარსება არის სამება, - ეს ქრისტიანული თეოლოგიური ფილოსოფიის დებულება არის, რომელიც დღესაც აღიარებულია საქრისტიანოში.

## 8. ვეფხისტყაოსნის ერთ-არსებისა ერთისა

მზისადმი თავის შესანიშნავ მიმართვაში ავთანდილი მზეს უწოდებს ხატს ღმერთისა და მას ეუბნება - შენ ხარო ხატი:

**ერთ-არსებისა ერთისა.**

როგორც ითქვა: ღმერთის არსების გამოსახატავად იხმარებოდა ბერძნული სიტყვა «ოვსია», (**ოუ**სია), რაც ლათინურად ნათარგმნი იყო სიტყვით «სუბსტანცია» (აგრეთვე ბერძნული - ფისის, ლათინური - ნატურა, ქართული - ბუნება). ამ ცნებებით გამოიხატებოდა ქრისტიანული ღმერთის სამი პიროვნება და ერთ-არსება («ტრეს პერსონაე ეტ უნა სუბსტანცია») - მამა-ღმერთი, ძე-ღმერთი და სული წმიდა-ღმერთი. იხმარებოდა ცნება «ჰიპოსტასის» და ამით აღინიშნებოდა ღმერთი, ხოლო სამთა პირთა შესახებ ხმარებაში იყო ცნება «პროსოპონ» - პერსონა, პირი.

(პერსონა, ეს ლათინური სიტყვა, თავდაპირველად ნიშნავდა: ნიღაბი, რომელს მსახიობი ატარებდა თავის პირისახეზე სცენაზე თამაშობის დროს; შემდეგ ეს სახელი დაერქვა იმ როლს, რომელს იგი სცენაზე თამაშობდა; და აქედან მერმე ეწოდა კაცის ხასიათს, საზოგადოდ პიროვნებას).

ამ ცნებათა შორის დიდი ცილობა იყო ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში და ბოლოს დამტკიცდა ერთი ცნება, რომელს ალექსანდრიის საეკლესიო ყრილობის შემდეგ (326 წ.) უკვე ხმარობდნენ: ღმერთი არის ერთ-არსება სამი ჰიპოსტასით. ანუ როგორც ბასილ დიდი ამბობს - «წმიდა სამებაში სხვაა ზოგადი და სხვაა განსაკუთრებადი; ზოგადი მიწიერება არსებას, ხოლო ჰიპოსტასნი თვითეული გვამის, პირის განსაკუთრებადს აღნიშნავს» - ო. «პირველი არსება, - ამბობს გრიგოლ თეოლოგოსი, - არის ბუნება ღმერთისა, ხოლო მეორე (ჰიპოსტასი) არის პირადი თვისება სამისა»-ო. მეექვსე საუკუნიდან ეს ცნებანი უკვე სავალდებულონი არიან - ოვსიაოუსი - არსი; არსება; ჰიპოსტასის - გვამოვნება, პირი; ერთ-არსება - ომოოვსიოს - ჱდინოსუჩნიჲ- ერთარსი.

***

ამგვარად, «ერთ-არსება ერთი», - რომლის გამო ვეფხისტყაოსანში საუბარია, შეიძლება იყოს: ან ნეოპლატონური ფილოსოფიის «სამება», ან ქრისტიანული ფილოსოფიის სამება. აი, საკითხი რთული, რომელს შევეჩეხე და რომლის გაკვლევა ვეფხისტყაოსანის თეოლოგიურ დებულებას გამოარკვევს.

***

თუ პროფ. ნ. მარი დარწმუნებული იყო, რომ რუსთაველი «ნეოპლატონიკი» არისო; თუ პროფ. აკად. კ. კეკელიძე იზიარებდა იმ აზრს, რომ პროფ. ნ. მარმა «დაამტკიცა»: შოთა რუსთაველი «ნეოპლატონიკიაო»; თუ სარგის კაკაბაძეც ამბობდა, რუსთაველი «ნეოპლატონიკია» და სხვანიც, რომელნი ამ აზრს განუხილავად იზიარებდნენ, - რომელიმე მათგანს ხომ მაინც უნდა აღძროდა სურვილი, რათა გამოეკვლია, ან ცდილ იყო ვეფხისტყაოსანში გამოეძებნა ან პლოტინოსის, ან პროკლოსის, ან სხვა რომელიმე ნეოპლატონისებური სამება! ყველა კი ერთხმად გაიძახის ვეფხისტყაოსანში სამება არ არისო (გამონაკლისია აკად. კ. კეკელიძე).

თუ შოთა რუსთაველი ნეოპლატონიანი იყო, უეჭველია, იგი ნეოპლატონურ დოგმას სამების გამო მოიხსენებდა რაიმე ცნებაში; უეჭველია, ეს ცნება იქნებოდა დაკავშირებული ცნებასთან **ერთი**, ან მის არსებასთან. ასეთი ცნება **ერთი** ვეფხისტყაოსანში ხომ მართლაც არის და იგი წარმოდგენილია ავთანდილის მიმართვაში მზისადმი. სამება! საკითხი ეს არის. მაგრამ არის ეს ავთანდილისებური «ერთ-არსება» - სამება ნეოპლატონური თუ ქრისტიანული? საკითხი ის კი არ არის, როგორც აქამდე ეგონათ, თითქოს ვეფხისტყაოსანში სამება არ მოიპოვებაო, - საკითხი სწორედ ის არის, თუ რომელი სამება არის იქ!

როგორ და რა გზით უნდა გავარკვიოთ ვეფხისტყაოსანის სამება? რანაირად და რა საშუალებით უნდა გავარჩიოთ, ვეფხისტყაოსანის სამება არის ნეოპლატონური თუ ქრისტიანული? რაგვარად და რისი მეოხებით უნდა დავამტკიცოთ ვეფხისტყაოსანის სამების ქრისტიანობა?

***ვიქტორ ნოზაძე***

***(გაგრძელება შემდეგ ნომერში)***

## მუხლები შავარდნისაო

ხალხმა თავის საყვარელ მეფეს იალბუზის მთაზე შეადგმევინა ფეხი: ღმერთებთან მებრძოლი ამირანი მხოლოდ მთის ძლევამოსილებას დაემორჩილა: «მთაო, გარდმიშვი, გარდმიშვი», - მღეროდნენ ადრე; «ა, იმ მთაზედა თოვლიანზედა» - მღერიან ახლაც.

[redacted]

და რა გასაკვირია, რომ არიან საოცარი ხასიათის ადამიანები, რომლებისთვისაც მთა სიცოცხლის მომნიჭებელ ანდამატად ქცეულა. მათ ისევ ესაჭიროებათ მთასთან შერკინების ტკბილ-მწარე განცდები, როგორც



ყოველ მუშაკს - შრომაში მოპოვებული გამარჯვების სიხარული. მთასვლელები ჰქვიათ მთაზე შეყვარებულ ამ ადამიანებს«რა გინდათ, რა დაგრჩენიათ ამ უკარება მწვერვალზე, დაეტიეთ მიწაზე!» - ასეთი დარიგება თითქმის ყველა მთასვლელს მოუსმენია.

რა უნდათ მთაში?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მთასვლელს გაუჭირდება იმ ბავშვივით, რომელსაც ეკითხებიან: დედა რატომ გიყვარსო.

ეს სიყვარულია, სიკვდილის შიშის დამთრგუნავი სიყვარული. მთასვლელს ძნელია გაუგო ეს სიყვარული, თუ თვითონაც არ დაგიდგამს ფეხი მთაზე, არ განგიცდია გამარჯვებით გამოწვეული უჩვეულო სიმსუბუქე - მწვერვალზე ასვლის სიხარული, სიმაღლიდან რომ გადმოჰყურებ ბარს. მაგრამ მთასვლელს სახიფათო ქარაფებისაკენ მარტო სპორტული ჟინი როდი ეწევა.

ჩვენ გვინდა გიამბოთ მთასვლელთა შორის ყველაზე თავისებური და სანიმუშო სპორტსმენზე - მიხეილ ხერგიანზე, რომელსაც «კლდის ვეფხვი» შეარქვეს. თვით მიხეილ ხერგიანს არ უყვარს თავის თავზე ლაპარაკი. ის კი არა, მისი მეგობარი ვარ და ეს სამი ამბავი ძლივს გამოვტყუე:

### *ამბავი პირველი*
### სიმღერა - ჩვენი გადამრჩენი

ასე ყოველთვის: არქტიკის ყინულეთიდან გამარჯვებით დაბრუნებულ მოგზაურს, ჯუნგლებში დიდი ხნით ნამყოფ მონადირეს, თუ დედამიწაზე მშვიდობით დაშვებულ კოსმონავტს მეგობრები, ოჯახი, თუ საზოგადოება ზეიმით ეგებებიან. ამ ზეიმში აღარავის ახსოვს, უფრო სწორად, აღარავის სურს გაიხსენოს განსაცდელით დამძიმებული ის დღეები, გმირად აღიარებული ადამიანი სიკვდილის პირისპირ რომ იდგა...

ასეთი ბედი აქვთ მთასვლელებსაც. საზეიმო შეხვედრები, პრესკონფერენციები, მეგობართა ბედნიერი ღიმილი არ აკლიათ კავკასიონის თუ პამირის მწვერვალებიდან დაბრუნებულ ვაჟკაცებს. ასე შევეგებეთ მიხეილ ხერგიანს, როდესაც იგი მსოფლიოში ჯერ არნახული სიძნელის სარეკორდო ასვლიდან დაბრუნდა. ხუთ მეგობართან ერთად მან დალაშქრა უშბა. მაგრამ განა ჩვეულებრივი «გზით», რომელიც ხერგიანს და მის ჯგუფს უკვე გზატკეცილად ეჩვენებათ, - 1.200 მეტრზე აღმართული ჩრდილოეთის კედლით. ამ კედლის 400-მეტრიანი მონაკვეთი უკუდახრილია დედამიწის სიბრტყის მიმართ.

მე არაფერს ვუმატებ მიხეილ ხერგიანის ნაამბობს:

«ეს იყო 1965 წლის აგვისტოში. ამბავი, რომელიც თქვენ გაინტერესებთ, შემემთხვა მაშინ, როდესაც გადავლახე კედლის უკუგადახრილი ნაწილი და შვეული კედლის ნახევარიც დავძლიეთ.

ჩემთან ერთად იყვნენ შალვა მარგიანი, მიშა ხერგიანი (უმცროსი), ჯუმბერ კახიანი, ჯოკია გუგავა და გივი წერედიანი. ექვსივენი ერთ მეტრიან ბაქანზე შევრჩით და მხოლოდ კლდის ბზარში ჩარჭობილ რკინის პალოზე გამობმული თოკიღა გვიჭერდა. კარგახანს ვიყავით ასე. უკან დაბრუნება ყოვლად შეუძლებელი იყო, მხოლოდ წინსვლა გვიხსნიდა. ბოლოს, გადავწყვიტე

მეცადა ბედი, გამომეყენებინა მწვერვალისაკენ გზის გაგრძელების ის ერთპროცენტიანი შანსი, რომელიც ყოველთვის შემორჩებათ ხოლმე მთასვლელებს.

მე ჩვეულებრივი მთასვლელის ფეხსაცმლის ნაცვლად ჩვეულებრივი ინგლისური კედები ჩავიცვი. ინგლისელი მეგობრის ნაჩუქარი კედები მშრალ ამინდში დაუფასებელ სამსახურს მიწევდა, თოკები მოვსინჯეთ, შევამოწმეთ, ვიყავით თუ არა მჭიდროდ გადაბმულნი ერთმანეთზე, თოკი პალოს რკალში გავუყარე და კლდეზე გამონაშვერების ძებნა დავიწყე, სადაც შეიძლებოდა თითების, თუნდაც ერთი თითის დაბჯენა.

თოკი და პალო, - აი რისი დახმარებით შეიძლება ასეთი კლდის დაძლევა. ყოფილა შემთხვევა, რომ კლდიდან მოვსხლეტილვარ და პალოზე გამობმულ თოკზე ობობასავით დავრწეულვარ ჰაერში. ჰოდა თუ ამ დროს თოკმა ან პალომ გიმტყუნა, გასაგებია, რაც მოხდება.

ბით ვიყავი ჩამოკიდებული შვერილებზე.

უცებ საშინელმა გრუხუნმა კინაღამ ყური გამიხეთქა. ეს ზვავის ხმა არ იყო. სულ ახლოს მეხი დაეცა, წვიმამ დაუშვა, წვიმას ხოშკაკალა მოჰყვა. სველდებოდა კლდე და თანდათან მატულობდა საფრთხე: მე ხომ კედები მეცვა, სველზე ფეხს ვერ დავიმაგრებდი. ეს საფრთხე ჩქარა შემაძრწუნებელ სინამდვილედ იქცა: კედი დაცურდა და კლდეზე მხოლოდ ხელის თითებით ჩამოვეკიდე. ერთადერთი იმედიღა შემომრჩა, - ოციოდე სანტიმეტრის სიგანისა და ერთი სანტიმეტრის, დიახ, ერთი სანტიმეტრის სიღრმის ბზარი! და ამ ბზარზე ვეკიდე თითებით: საჩვენებელი, შუა, არათითით.

როდემდე გავძლებ? - გავიფიქრე და მეგობრისაკენ გადმოვიხედე. ისინი ველარ შევამჩნიე: ჩვენს შორის კლდის ქიმი ამობურცულიყო, რომელიც ამ ოცი წუთის წინ დავძლიე. როდემდე გავძლებ? - გავიმეორე



ასეთი ხიფათი განსაკუთრებით საბედისწერო იქნებოდა უშბის კედლის დაძლევისას. ჩვენი იძულებითი შეჩერების ადგილიდან ვინმე რომ მოწყვეტოდა კლდეს, იგი რვაას მეტრზე იფრენდა ჰაერში.

- წავედ, ბიჭებო! - ვთქვი და კლდის ოდნავ შესამჩნევ შვერილზე დავაბჯინე მარცხენა ხელის თითები. ათ წუთში უკვე ხუთი მეტრი მქონდა დაძლეული. მთასვლელობაში არსებული შეურყეველი წესის თანახმად ყოველ 3-5 მეტრში პალო უნდა ჩამაგრდეს კლდეში. კლდიდან მოსხლეტის შემთხვევაში ასეთი მანძილიდან დაქანებულ სიმძიმეს თოკი და პალო კიდეც უძლებს.



ორმოცდა ხუთი მეტრი ავლიე და ვერსად მოვახერხე პალოს ჩაჭედება ბზარში. ამისათვის ორივე ხელი იყო საჭირო, მე კი ხან ერთი ხელით ვეკიდე, ხან მეორეთი, ხანაც მხოლოდ თითეისევ და თითებს მთელი ძალით დავაწექი, ნიკაპიც ავაცილე ბზარს, მაგრამ ჩემს ზემოთ ვერსად შევნიშნე ხელის ჩამოსადები ადგილი, თავს ზევით კლდე სახლის ახლად გალესილი კედელივით იყო გალიპული.

კლდეზე თითებით დაკიდებულს ხშირად გამომიცდია თავი წვრთნის დროს და ხუთ წუთამდე გამიძლია. ნუთუ რამდენიმე წუთის შემდეგ ყველაფერი გათავდება? სასოწარკვეთის დრო აღარ იყო. სისწრაფით გავიანგარიშე: ორი წუთის შემდეგ მოვწყდები ბზარს. პალომდე ორმოცდახუთი მეტრია, თოკი დაქაჩავს პალოს. ცხადია, იგი მოწყდება კლდეს; თოკი დაიჭიმება და ჩემთან ერთად თან ჩაიტანს უფსკრულში ჩემს მეგობრებს - შალვას, მიშას, ჯოკიას, ჯუმბერს, გივის...

- შეიხსენით თოკი! - ჩავძახე ქვემოთ და თითებში უკანასკნელი ძალა ჩავიღვარე. - უნდა გავძლო,

უნდა გავძლო, ვიდრე ბიჭები თოკს შეიხსნიან!

- რატომ შევიხსნათ? - ამომძახეს ბიჭებმა.

- ასეა საჭირო, ნუ აყოვნებთ!

- შევეცადე ეს სიტყვები მშვიდად წარმომეთქვა, რომ ბიჭებს ეჭვი არ აეღოთ.

- ვიხსნი, ოღონდ ფრთხილად იყავი, არაფერი მოიწიო! - ამომძახეს ბიჭებმა.

გულზე მომეშვა. ახლა კი ნამუსიანად შევხედავ თვალში სიკვდილს, - გავიფიქრე და... უკანასკნელად შემოვძახე ჩემი საყვარელი «ლილე». ეს ჩვეულება სიმღერა უკიდურესი გასაჭირისა და მოახლოებული ხიფათის დროს ბავშვობიდან დამყვა: ცამეტი წლის ვიყავი, პირველად რომ ვთხოვე მამას, მწვერვალზე გამიშვი - მეთქი. მან თხოვნის შესრულებამდე ასეთი გამოცდა მომიწყო: მომცა ხანჯალი, საჭმელი, ჩამაცვა თბილად და დამავალა, - იმ მთის ძირში გამოთხრილ გამოქვაბულში ახვალ და ღამეს გაათევო. გავბედე, ჩამოვჯექი გამოქვაბულის პირას, მაგრამ შუაღამისას, ფრინველ-ნადირთა წივილ-ჭყიპინი გაისმა, გადავწყვიტე დამეფარა ეს არასასიამოვნო ხმები და პირველად მთელი ძალით ვიმღერე შიშით, მას შემდეგ სამჯერ თუ ოთხჯერ მოვასმენინე ბუნებასა და ჩემს მეგობრებს ასეთი სიმღერა. და აი, ახლა იგი უშბის კედლებიდან ილვრებოდა დაბლა, ჩაშავებულ უფსკრულისაკენ.



მიხეილ ხერგიანი



ვმღეროდი და ინსტიქტურად ნაწყვეტ-ნაწყვეტად ვფიქრობდი: «ყველაზე ძნელი ალბათ ფრენა იქნება, ფრენა დაცემამდე»... «მიშა, - მითხრა წამოსვლისას სპორტკავშირის თავმჯდომარემ, - უკანასკნელი წლები მეტად სასტიკი გამოდგა ქართველი მთასვლელებისათვის. მამაშვილობას, გაფრთხილდი, არაფერი შეგემთხვეს, გვეყო, რაც დაგვამწუხრეს ჯუმბერმა, თეიმურაზმა, ილიკომ, გურამმა...» საკვირველია, ყველაზე ნაკლებად ამ ლაშქრობის წინ ვღელავდი და სწორედ აქ მიმტყუნა ალღომ... თითები მთლიანად დამიბუჟდა... «დედას სულ არ უხდებოდა შავები, ბებიას სიკვდილის შემდეგ ერთი სული მქონდა, როდის გაიხდიდა...» ლილეო, ლილეო, ლილეო...

ქვემოდან ბიჭების აჩქარებული ლაპარაკი მომესმა:

- მიშა, მღერის ბიჭებო!

- უჭირს, ძალიან უჭირს ალბათ!

- შეიბით თოკი!

- მიშა, ჰაუ, მიშა. ჩვენ თოკი შევიბით!

- ჩვენ არ მიგატოვებთ!

- თუ დაღუპვაა, ერთად, მხოლოდ ერთად, მხოლოდ ერთად!

ელდა მეცა.

რას ჩადიხართ, - ვიყვირე მთელი ძალით, - გონს მოდით! ვინ მოგიწონებთ მაგ სისულელეს?!

- ჩვენ უკვე შევიბით თოკი!

ბიჭები არ უნდა დაიღუპონ, უნდა იცოცხლოს ჩემმა შალვამ, მიშამ, ჯუმბერმა, ჯოკიამ, გივიმ, მაგრამ... მე ხომ თან გავიტაცებ მათ!

- მოიხსენით თოკი, მე ვვარდები! - ვიყვირე ისევ.

- ერთად, მხოლოდ ერთად! - მომესმა და უშბის ფოლადისფერ გრიგალივით ჩაიქროლა ხუთი მეგობრის მტკიცე გადაწყვეტილებამ...

სასოწარკვეთით ავხედე კლდეს, ნახევარგუმბათივით რომ გადმომყურებდა ზემოდან, და თვალი დამრჩა პატარა წიბოზე, რომელიც ღრუბელში გამოკიაფებულ მზის სხივებზე ჩრდილის ოდნავ შესამჩნევ ზოლს ქმნიდა. წვიმაში და ბურუსში ალბათ ვერ შევნიშნე იგი.

იქნებ ამ პატარა წიბოზე გადის ხსნის გზა? - გამიელვა უცებ. მთელი ძალით დავაწექი თითებს. ავიწიე ისე, როგორც ბავშვობაში გამიკეთებია ხოლმე ღერძზე ვარჯიშის დროს. აი ნიკაპი თითებს ავაცილე. ავიწიე კიდევ, მთელი ძალა მარცხენა ხელზე გადავიტანე, უცბათ მარჯვენა გავმართე და იმ წიბოზე დავეკიდე...

გამიძლო! იმედმა ნაპერწკალივით გაკვესა გულში. ახლა მარჯვენა ხელს დავატანე ძალა, კიდევ აეზიდე ტანი და მარცხენა ხელის ადგილზე ფეხის წვერი მოვარგე. მერე უკვე კარგად აღარ მახსოვს, როგორ დავძლიე კიდევ ოციოდე მეტრი, როგორ მოვნახე საყრდენი და როგორ დავამაგრე პალო ბზარში. მხოლოდ მაშინ გამოვერკვიე! უახლოეს უნაგირზე რომ შემოვდექი და თვალი გავაყოლე თოკს: შალვა, მიშა, ჯუმბერი, ჯოკია და გივი დინჯად მოჰყვებოდნენ მას.

უნაგირზე ისევ იჟღხა «ლილემ», მაგრამ მე არ ვმღეროდი. მინდოდა მესმინა, უსასრულოდ მესმინა მთების გულში დაბადებული სიმღერა, რომელმაც ასე მოულოდნელად გადაგვარჩინა.

*ავთანდილ ციბაძე*

ხელოვნება თავად უკვდავებაა

# მეფის მხატვარ თევდორეს მოხატულობანი ზემო სვანეთში

*ნათელა ალადაშვილი*

*ანელი ვოლსკაია*

ზემო სვანეთის შუა საუკუნეების კედლის მხატვრობაში ყურადღებას იქცევს მეფის მხატვრის თევდორეს მიერ მაღალი ოსტატობით შესრულებული სამი მოხატულობა. ესენია: კალას თემის წმ. მთავარანგელოზთა ეკლესიის, აგრეთვე წმ. კვირიკეს ეკლესიის (ლაგურკა) და იფარის თემის ნაკიფარის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობანი. მხატვრის სახელი და მოხატულობათა თარიღი მოცემულია ასომთავრულით შესრულებულ ფრესკულ წარწერებში.

ტიტული - მეფის მხატვარი - ოსტატის მაღალი კვალიფიკაციის მაჩვენებელია. საფიქრებელია, რომ თევდორეს განათლება საქართველოს ცენტრალური რაიონების რომელიღაც მხატვრულ ცენტრში ექნებოდა მიღებული, ხოლო მოხატულობათა შესრულების დრო (XI-XII სს.) იძლევა შესაძლებლობას გამოვთქვათ მოსაზრება, რომ თევდორე საქართველოს გამაერთიანებლის, დავით აღმაშენებლის კარის მხატვარი იყო. მაგრამ მისი ნამუშევრები მხოლოდ სვანეთში შემორჩა.

მხატვრის წარმომავლობის შესახებ არ მოგვეპოვება ცნობა. მაგრამ თევდორე რომ სვანი იყო, ამაზე მკაფიოდ მეტყველებს თვით მის მიერ შესრულებულ მოხატულობათა ხასიათი, რომლებიც ორგანულად უკავშირდება სვანეთის კედლის მხატვრობას. ამაზე ღაღადებს ქრისტიანული წმინდანებიდან იმ პერსონაჟთა შერჩევა, რომელთა თაყვანისცემა სვანეთში წინაქრისტიანულ ადგილობრივ რწმენა-წარმოდგენებს უკავშირდებოდა. სახელდობრ, წმ. გიორგი (ჯგრაგ) ასოცირდებოდა  მთვარის, ხოლო წმ. ბარბარა მზის კულტთან, წმ. კვირიკე - ნადირობის ღვთაებასთან, წმ. მთავარანგელოზები მთის მწვერვალების მფარველებად იყვნენ მიჩნეულნი. განვითარებული შუა საუკუნეების ხანაში სვანეთის მხატვრული ცხოვრება განსაკუთრებული ინტენსივობით გამოირჩეოდა. ადგილობრივ საოქრომჭედლო სახელოსნოებში იქმნებოდა მაღალმხატვრული ნაწარმოებები, რომლებშიაც აისახა ქართული ჭედური ხელოვნების მოწინავე ტენდენციები. სვანი ოსტატების ხელს ეკუთვნის ხეზე კვეთის შესანიშნავი ნიმუშები. ამ პერიოდს მიეკუთვნება მრავალრიცხოვანი მოხატულობა, რომლებიც სვანეთში გავრცელებულ მცირე ზომის დარბაზული ტიპის ეკლესიებს ამკობს. ადგილზევე სრულდებოდა აგრეთვე ფერწერული ხატები.

ბრწყინვალე განათლების და დიდი პირადი ნიჭის წყალობით სვანეთის ფერწერისათვის დამახასიათებელმა თავისებურებებმა თევდორეს მხატვრობაში კლასიკური ინტერპრეტაცია ჰპოვეს. მის შემოქმედებაში იგრძნობა მხატვარ - მონუმენტალისტის დიდი გამოცდილება, ფერწერის ტექნიკის ვირტუოზული ფლობა. მან შექმნა ლაკონური, ძლიერ გამომხატველი მოხატულობანი, რომლებმაც სადღესასწაულო, ამაღლებული ხასიათი შესძინეს სვანეთის ეკლესიების ინტერიერებს.

ის გარემოება, რომ ჩვენთვის ცნობილია ერთი მხატვრის მიერ სამი ეკლესიის მოხატვის ფაქტი, თავისთავად უნიკალურია შუასაუკუნეების ხელოვნებაში და შესაძლებლობას იძლევა თვალი ვადევნოთ როგორც მისი ინდივიდუალური შემოქმედების განვითარებას, ასევე მოხატულობათა სტილის ევოლუციას გარკვეული დროის მანძილზე.

ყველაზე ადრინდელი, თევდორეს მიერ 1096 წელს მოხატული ეკლესია წმ. მთავარანგელოზთა სახელობისაა. ამ მცირე ზომის ინტერიერის მხატვრობა გადაწყვეტილია XI ს-ის ქართულ მოხატულობათა მონუმენ-



ღვთისმშობლის გამოსახულება იფრარის ეკლესიაში. 1096 წ.

ტური, კლასიკური სტილის პრინციპების მიხედვით. პროგრამა უაღრესად ლაკონურია; ძირითადად მოხატულობაში დომინირებენ დიდი ზომის ფიგურები, რაც განსაზღვრავს ანსამბლის მონუმენტურ და საზეიმო ხასიათს.

საკურთხევლის კონქში წარმოდგენილია სამი წელსზევითი ფიგურისაგან შედგენილი ვედრების კომპოზიცია: ცენტრში მაკურთხეველი ქრისტე და მისკენ ვედრების ჟესტიკულაციით მიმართული ღვთისმშობელი და იოანე ნათლისმცემელი. ვედრება, რომელიც

გამოხატავს ქრისტეს წინაშე წინამდგომთა ადამიანისათვის მეოხებისა და შეწევნის იდეას, სვანეთში საუკუნეების მანძილზე საკურთხევლის მოხატულობის ერთადერთ თემას წარმოადგენდა.

იფრარის მოხატულობის სადღესასწაულო ხასიათი ხაზგასმულია მდიდრულ სამეფო სამოსში გამოწყობილ მთავარანგელოზთა ფიგურებით, რომლებიც წარმოდგენილნი არიან უშუალოდ "ვედრების" კომპოზიციის გვერდით დარბაზის კამარის აღმოსავლეთ მონაკვეთებზე. ამრიგად, აქცენტირებულია ეკლესიის პატრონთა თემა.

მხატვრობის ანსამბლში, კამარასა და დასავლეთის კედელზე თევდორემ სახარების მხოლოდ სამი სცენა გამოსახა: "ხარება" და "ქრისტეს შობა" რომლებიც განკაცების დოგმას გამოხატავენ, და "ნათლისღება" - მეორედ შობა და განწმენდა, ე.ი. კაცობრიობის ხსნის იდეა. სცენათა გააზრებული სიმბოლური დაპირისპირებით მხატვარი ამდიდრებს მოხატულობის თეოლოგიურ შინაარსს.



მოხატულობის ქვედა რეგისტრი წმინდანთა ცალკეული ფიგურებისაგან შედგება. მათ შორისაა სვანეთში განსაკუთრებით პოპულარული წმინდა მოწამეები: წმ. კვირიკე და დედამისი წმ. ივლიტა, წმ. დედანი - ბარბარე და ეკატერინე. ქრისტიანობის ტრიუმფის იდეას გამოხატავენ ამხედრებული მეომარი წმინდანები: წმ. გიორგი, რომელიც იმპერატორ დიოკლეტიანეს ამარცხებს, და წმ. თევდორე გველეშაპის განმგმირავი.

მცირე ზომის ეკლესიის ინტერიერში მოხატულობის აღქმა არ ითვალისწინებდა მლოცველთა აქტიურ მოძრაობას, ამიტომაც ცალკეული გამოსახულებანი შეიგრძნობა როგორც სალოცავი ხატები, თუმცა ეს არ არღვევს მთლიანი ანსამბლის ჰარმონიულ ერთიანობას.

16 წლის შემდეგ, 1112 წელს თევდორემ მოხატა წმ. კვირიკეს ეკლესია (ლაგურკა), რომელიც ერთობლივი სვანეთის წმიდათაწმიდა სალოცავი იყო. მოხატულობა ძლიერ დაზიანებულა მიწისძვრის შედეგად და განახლებულია ნაწილობრივ, რასაც გადმოსცემს სამხრეთ პილასტრის ასომთავრული წარწერა. ამ დროს, XVII ს-ში თითქმის მთლიანად, მაგრამ ძველი სქემის მიხედვით გადაწერეს საკურთხევლის მოხატულობა.

იფრარის მსგავსად ლაგურკაშიაც საკურთხევლის კონქში გამოსახულია სამფიგურიანი ვედრება.

ეკლესიის ინტერიერი აქ დანაწევრებულია: ცილინდრული კამარა საბჯენი თაღით ოთხ ნაწილადაა გაყოფილი. აქედან გამომდინარე მხატვარმა თევდორემ იფრარის ეკლესიის კამარაზე გამოსახულ სცენებს კიდევ ორი დაუმატა: ჯვარცმა - ქრისტეს მიერ კაცობრიობის ხსნისათვის გაწეული მსხვერპლი, და ჯოჯოხეთის წარმოტყვევნა, რომელიც ქრისტეს მკვდრეთით აღდგომას გადმოსცემს. ამის შედეგია მოხატულობის თეოლოგიური პროგრამის გაფართოება.

ეკლესიის პატრონის თემა მეტყველად არის გადმოცემული სამხრეთ კედლის თაღებში მოთავსებულ წმ. კვირიკესა და წმ. ივლიტას ცხოვრების ამსახველ სცენებში. მათი ცალკეული ფიგურები მხატვარმა ორჯერ გამოსახა გამოსაჩენ ადგილას: კანკელის ანტაბლემენტზე, აღსავლის კარების ორივე მხარეს და დასავლეთის კედლის ზედა რეგისტრში. საყურადღებოა, რომ დასავლეთ კედლის წმ. კვირიკეს გამოსახულების შექმნისას მხატვარი შთაგონებული იყო წმ. კვირიკეს XI ს-ის მაღალმხატვრული ჭედური ხატით, რომელიც ლაგურკაში ინახება.

იფრარის მოხატვის შემდეგ განვლილმა დრომ კვალი დააჩინა ლაგურკის მოხატულობის საერთო სტრუქტურას, რომელშიაც აისახა ქართული მონუმენტური მხატვრობის განვითარებაში გამოვლენილი სტილისტური ხასიათის ცვლილებები, სახელდობრ, მოხატულობის ცალკეული ნაწილების დინამიური, ხაზობრივ-დეკორატიული გაერთიანების ტენდენცია. კამარაზე და კედლის თაღებში წარმოდგენილ სცენებს მხატვარი ერთმანეთთან აკავშირებს კომპოზიციებში ცენტრალური ვერტიკალის გამოყოფით. განსაკუთრებით დინამიურია ცხენოსან წმ. მეომრების - გიორგისა და თევდორეს - სხვადასხვა მხარეს მიმართული მოძრაობა.

მხატვარ თევდორეს დიდი ნიჭი განსაკუთრებით გამოვლინდა წმ. კვირიკესა და წმ. ივლიტას ცხოვრების სცენების შექმნისას. იგი ირჩევს ორ დამასრულებელ ეპიზოდს - მათ მოწამებრივ სიკვდილს ქრისტიანული რელიგიისათვის. თევდორე უდაოდ იცნობდა ამ სიუჟეტების ჩამოყალიბებულ სქემებს, მაგრამ ძირითადად მის მიერ გააზრებული იყო წმინდანთა ცხოვრების ლიტერატურული ტექსტი. ამის შედეგია ეპიზოდების დრამატიულობის ღრმად ემოციური და მეტყველი გადმოცემა. სიუჟეტის ემოციური გააზრება თევდორეს შემოქმედების მოწინავე ხასიათის მაჩვენებელია.

ნაკიფარის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა (1030 წ.) მხატვარ თევდორეს ბოლო ნამუშევარია სვანეთში. ეკლესიის ინტერიერი მაღალია და ხალვათი. ამის შე-

საბამისად თევდორემ საკურთხევლის კონქში წარმოადგინა ვედრების გავრცობილი, მრავალფიგურიანი რედაქცია, ე.წ. ვედრება - გამოცხადება. სრულიად ორიგინალურად გადაწყვეტილი კომპოზიცია გამდიდრებულია ანგელოზთა დასის გამოსახულებებითა და წინასწარმეტყველთა ხილვის მოტივებით (ტეტრამორთვი და ქერუბიმი) ეს გრანდიოზული, სადღესასწაულო კომპოზიცია, რომელშიაც განსაკუთრებითაა აქცენტირებული ალსაყდრებული მაცხოვრის დიდებული ფიგურა, წარმოადგენს მხატვრობის ანსამბლის დომინანტს. განსაკუთრებით ექსპრესიულია ქრისტეს ფართოდ გაშლილი მაკურთხეველი მარჯვენის ჟესტი, რომელიც აერთიანებს არამარტო ამ კომპოზიციის ფიგურებს, არამედ მხატვრობის ყველა გამოსახულებას. დინამიურობის ტენდენციამ ნაკიფარში უფრო განვითარებული სახე მიიღო, რაც ქართული მონუმენტური მხატვრობის განვითარების საერთო პროცესით იყო განპირობებული.



ნაკიფარის ეკლესიის კამარაზე სახარების ის ოთხი სცენაა, რომლებიც ლაგურკაშია გამოსახული. აქაც განსაკუთრებით აქცენტირებულია ეკლესიის პატრონის თემა. წმ. გიორგის მოწამეობრივი ცხოვრების ციკლი იწყება დასავლეთის კედელზე ულმრთო მეფის დიოკლეტიანეს გამოსახულებით, რომლის ბრძანებით დასაჯეს იგი. წმინდანის წამების ეპიზოდები შემდეგ გრძელდება სამხრეთის კედელზე ერთიანი ფრიზის სახით და სრულდება წმ. გიორგის თავის კვეთით. სცენები არ არიან ერთმანეთისაგან გამოყოფილი და მათ მოძრაობის დინამიური რიტმი აერთიანებს. და ბოლოს ნაკიფარის მოხატულობაში დამამთავრებელ აქცენტს წარმოადგენს ჩრდილოეთ კედლის სახეიმო ჰერალდიკური კომპოზიცია ამხედრებული მეომარი წმინდანების - წმ. გიორგისა და წმ. თევდორეს ერთმანეთის პირისპირ წარმოდგენილი გამოსახულებებით, რომლებიც ბოროტ ძალებზე (დიოკლეტიანე და გველეშაპი) გამარჯვების იდეას ასახავს.

მხატვარ თევდორეს მოხატულობებში თვალს ხვდება ძლიერ მეტყველი სახეები, მათთვის დამახასიათებელი მძიმე თვალით, კეხიანი ცხვირით, დიდი ნუშისებრი მოყვანილობის თვალებით, რომელთა გამომსახველობა გაძლიერებულია მკვეთრად შეყრილი წარბებით და ირიბად მიმართული მზერით. მსგავს ტიპაჟს სვანეთის სხვა მოხატულობებშიაც ვხვდებით.

სვანეთის ფერწერული სკოლისათვის დამახასიათებელია მოხატულობათა კოლორიტიც, რომელიც ძირითადად მოწითალო-ყავისფერის, ყვითელისა და მწვანე ფერების სხვადასხვა ნიუანსებზეა აგებული.

თევდორეს მოხატულობათა სტილისტური ევოლუცია დაკავშირებულია ქართული კედლის მხატვრობის განვითარების საერთო პროცესთან. ამასთანავე მათში აღბეჭდილია მხატვრის შემოქმედებითი «ინდივიდუალობა», რაც გამოიხატება სახვითი ფორმების ლაკონიზმსა და ხაზობრივი გამომსახველობის განსაკუთრებულ სიმძაფრეში. გამოსახულებათა პლასტიკურობის და ექსპრესიულობის თვალსაზრისით მსგავსი სხვა მაგალითები არ არის ცნობილი ქართულ მხატვრობაში.

მხატვარ თევდორეს შემოქმედებამ დიდი გავლენა მოახდინა ადგილობრივ სვან ოსტატებზე და თავისი კვალი დაამჩნია სვანეთის ფერწერული სკოლის შემდგომ განვითარებას. მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ წვირმის მაცხოვრის ეკლესიის მოხატულობა, რომელიც თევდორეს მოწაფის მიერ იყო შესრულებული.



წმინდა თევდორეს გამოსახულება კვირიკესა და ივლიტეს ეკლესიაში. 1112 წ.

# მესტიის მუზეუმი

ზემო სვანეთი მარტო ბუნების სილამაზით არ იზიდავს მნახველს (მნახველი კი ყოველთვის ჰყავდა და ჰყავს). იგი ცოცხალი მატიანეა, შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების საგანძურისა, მუზეუმი ღია ცის ქვეშ - ძველი საცხოვრებელი სახლებით და მაღალი კოშკებით, ფასადებით მოხატული ეკლესიებით. ხოლო მონუმენტური მხატვრობით შემკულ საყდრებში თავმოყრილი შუა საუკუნეების უძვირფასესი განძეულობა დარჩენილია მზრუნველის გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ ფიქრი და ყურადღება არ აკლდა ძველი თაობის, ადგილობრივ მესვეურთაგან ეგნატე გაბლიანის, სები გულედანის, ალფეზი გასვიანის, დავით ნიჟარაძის, მიხეილ ჩართოლანის, აკაკი კვიციანის,მარლენ თამლიანის, ალექსანდრე ჩარკვიანის, ციალა ჩართოლანის და სხვათა და სხვათაგან (ნუ მიწყენთ ყველას დასახელება რომ ვერ მოხერხდა, ამაგი არ იკარგება), მათი ფიქრისა და ზრუნვის საგანს სამლოცველოებში თავმოყრილი ხელოვნების ნიმუშებისთვის სათანადო პირობების შექმნა წარმოადგენდა, რაც მუზეუმის დაარსებაში ესახებოდათ მათ ამისთვის დიდი და მძიმე შრომა აქვთ გაწეული.

გიორგი ჩუბინაშვილის სახელთან არის დაკავშირებული 1948 და 1954 წ.წ. მესტიის მუზეუმის ფონდების შევსება ამ უნიკალური ნივთებით.

1936 წ. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი გაიხსნა. მაგრამ ისეთი მცირე ფართობი გამოიყო, რომ იმთავითვე ვერ იტევდა მოძიებულ სამუზეუმო ექსპონატებს; მოძიება და შეგროვება კი ფართო ხასიეთს იძენდა.

ბოლოს გამოჩნდა გამოსავალი. რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში სეტის წმ. გიორგის უმოქმედო ეკლესია წარმოადგენდა მესტიის მუზეუმის საგამოფენო დარბაზს, სადაც ექსპონირებული იყო ჭედური ხელოვნების, ხატწერისა და უნიკალურ ხელნაწერი ოთხთავები, მოჭედილი ყდებით.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კომპლექსური ექსპედიციის (1972-75 წ.წ.) აღწერის შედეგად, მუზეუმის ფუნქციის გაზრდასთან დაკავშირებით, იგი 1974 წ. ერთიანდება აკადემიის სისტემაში, როგორც ისტორიულ - ეთნოგრათიული მუზეუმი, სიმონ ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმის ფილიალი.

დაისვა საკითხიც მუზეუმის ახალი შენობის აგების შესახებ. აშენდა იგი... ადგილობრივი ბუნებრივი პირობების გაუთვალისწინებლად, უხარისხოდ და უკვე რამდენი ათეული წელია დგას, როგრც სიმბოლო განუხორციელებელი ოცნებისა და გულგრილობისა.

მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ინსტიტუტი მუზეუმი განსაკუთრებული სიმდიდრით გამოირჩევა. დღეისათვის იგი საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საგანძურს წარმოადგენს, როგორც ექსპონანტთა სიმრავლით, ასევე მხატვრული ღირებულებით, მათი ისტორიული მნიშვნელობითა და მრავალფეროვნებით.

მუზეუმში ინახება როგორც საერო დანიშნულების ნივთები, ასევე საკულტო დანიშნულების ნივთებიც, მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა, ნუმიზმატიკის უძველესი ნიმუშები და ისტორიული მნიშვნელობის ექსპონატები: «ბედნიერი სვანეთის ერთობლივი ხევის დროშა» - «ლემი» (ლომი), თემის ნების ნიშანი და ლაშქრის მთლიანობის სიმბოლო. რომლის XIII ს-ის ვერცხლით მოჭედილი დროშის შუბის პირი



წმ. გიორგი ჭედური ხატი XI ს.

წარმოგვიდგენს სეტის წმ. გიორგის, ლატალის წმ. იოანას ულვირის წმ. მთავარანგელოზს. ქტიტორულ წარწერებიდან ვგებულობთ, რომ იგი შეუწირავს «დიდი მონასტრის» წინამძღვარს გრიგოლ კოპაძეს.

მუზეუმის უნიკალურ საგანძურს წარმოადგენს მოჭედილ ყდიანი ხელნაწერი ოთხთავები.

ყველაზე ადრინდელი 897 წ-ის ჰადიშის ოთხთავის შემკულობის საერთო მხატვრული გადაწყვეტა, კამარების დამუშავება და წყვილად გამოსახულ მახარებლების მინიატურული შესრულების ხასიათი გვიჩვენებს ქართველი ოსტატების მიერ ელინისტური ხელოვნების ტრადიციების მხატვრული პრინციპების შემოქმედებით გადამუშავებას. ამასვე მიუთითებს გრაციულობა და ნაზი კოლორიტი.

XIII ს-ის იენაშის ოთხთავი გამოირჩევა საზედაო ასოების მრავალფეროვნებით. გამოყენებულია გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტები, ცხოველთა და ფრინველთა გამოსახულებები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ასოთა მკაფიოთ გრაფიკულ ნახატს. უსაზღვროა მხატვრის ფანტაზია საზედაო ასოების დეკორატიული ელემენტების მრავალფეროვანი ვარაციების შექმნისას. მთელ ხელნაწერებში არსად მეორდება ასოს ნიშნის მხატვრული სახე.

საზემო - პარადულ ხელნაწერთა ჯგუფს მიეკუთვნება მესტიის (1030 წ-ს გადაწერილი ოშში წმ. იოანე წინდამორბედის ლავრაში იშხანის მთავარეპისკოპოსის ილარიონ იშხნელის შეკვეთით) და ლაბსყალდის (XII ს) ოთხთავის მხატვრული შემკულობა, რომლისათვისაც დამახასიეთებელია მრავალშრიანი წერის რთული ტექნიკა, ინტენსიური ფერებისა და ოქროს გამოყენება.

სეტის წმ. გიორგის ეკლესიის საკურთხევლის წინა ჯვარი, რომელიც მუზეუმის ექსპონანტს წარმოადგენს, XI ს-ის ქართული ლითონის პლასტიკის თვალსაჩინო ნიმუშია, რომელიც სამართლიანად ითვლება შუასაუკუნეების მსოფლიო შედევრებთა რიცხვში.

ჯვარზე წარმოდგენილია წმ. გიორგის ცხოვრების ეტაპების საკმაოდ ვრცელი ციკლი, რომელიც თვალნათლივ გადმოგვცემს მის წამებას, ქრისტიანული სარწმუნოებისათვის თავდადებას და მის სასწაულებს. წმინდათა წამების ცხრავე სცენა გადაწყვეტილია ნიჭი-

ერი დიდოსტატი ლითონმქანდაკებლის მიერ, სკულპტურულ ამოცანების სრული გაგებით.

სადა ნეიტრალურ ფონზე ნათლად გამოიყოფა მაღალი რელიეფით შესრულებული, სწორად აგებული პროპორციული ფიგურები, ფორმათა მოდელირებით. კარგადაა გააზრებული ყოველი ფიგურის მოძრაობა და პოზა.

გამოსახულებათა დამოკიდებულების ხასიათი, ცალკეული დეტალები ანალოგიას პოულობს სვანეთის სხვა ძეგლებთან, რაც ადასტურებს ჯვრის ადგილობრივ წარმოშობას.

მუზეუმში დაცულ ნიმუშთა უმეტესობა ადგილობრივ საოქრომჭედლო და მხაივრულ სახელოსნოებშია შესრულებული. სხვადასხვა ხანისა და განსხვავებული მხატვრული ხასიათის ეს ნამუშევრები საშუალებას იძლევა, თვალი მივადევნოთ სვანეთის სახელოსნოების შემოქმედებით პრცესს, რომელიც აშკარად დამოკიდებულ სკოლას ქმნიან ხელოვნების ამ დარგში.

საზეიმო - ამაღლებულ ხელნაწერთა ჯგუფს მიეკუთვნება მესტიის, ლაბსაყვალდის XII საუკუნის, მრავალშრიანი წერის რთული ტექნიკით და ინტენსიური ფერების, ასევე ოქროს გამოყენებით შექმნილი ოთხთავები. I მათგანი გადაწერილია ოშკში, წმ. იოანეს წინამორბედის ლავრაში. იშხნის მთავარ მთავარეპისკოპოსის ილარიონ იშხნელის შეკვეთით 1030 წ.



სვანეთში ნაპოვნი საბრძოლო ისრები

XI ს-ის პირველ ნახევარში არსებობდა თევდორე, გიორგი და ასან გვაზავაისძეების საოქრომჭედლო სახელოსნო. მათი ნამუშევრები, რომელიც წარმოდგენილია მუზეუმში ცნობილია (თევდორესა და გიორგის - ასაყდრებული მაცხოვრის და და ასანის წმ. გიორგის ხატის სახით). XI ს-ის პირველი ნახევრის მნიშვნელოვანი ძეგლებია. ამ ნამუშევრებში თავს იჩენს ეპოქისეული მხატვრული გადაწყვეტის შემოქმედებითი გააზრება. ფიგურები დამუშავებულია ფორმათა და პლასტიკური შეგრძნებით, რაც ვლინდება არ მარტო ფიგურათა გადმოცემისას, არამედ დეტალებშიაც, როგორიცაა ტახტის დამუშავება, მუთაქა და სხვა. მაგრამ ამასთანავე საყდრის გამოხატვისას ოსტატთა მიერ ჯერ კიდევ მიუწვდომელია მისი სივრცობრივი აგება.

მუზეუმი მდიდარია ხატწერის ნიმუშებითაც, რომელთა შორის გამოირჩევა შესრულების მაღალი დონითა და დახვეწილობით წმ. გაბრიელის ხატის წელსზევით გამოსახულება.

XII ს-ის ხატწერის საუკეთესო ნიმუშია ორმოცი წმ. მოწამის ხატი. პროპორციული ფიგურების განუმეორებელი პოზისა და მოძრაობის დამაჯერებელი გადმოცემა მიღწეულ ხაზთა პლასტიკური დინებით, მთელი სისრულით ავლენს ოსტატის ნიჭსა და მაღალ პროფესიონალიზმს. საოცარ სიმაღლეს მიაღწია მან მოწამეთა ემოციების (ტანჯვისა და მწუხარების) გადმოცემის სცენათა მრავალფეროვნებაში.

განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევს ხატი მაცხოვრის წელსზევით გამოსახულებით (XII-XIII ს.) მკაცრი, მაგრამ მშვიდი სახე, ღრმა შინაგანი ემოციებითაა აღსავსე. მაცხოვრის ნაკვეთების წმინდა ნახატი, დახვეწილი კოლორიტი, რომელშიაც განსაკუთრებით გამოირჩევა ჰიმატონის ცისფერი, მთლიანად განსაზღვრავს საერთო ამაღლებულ განწყობილებას, შექმნილს ქრისტეს გამოსახულებით.



წმ. გიორგი ჭედური ხატი XIII ს.
მესტია, მუზეუმი

არ შეიძლება არ აღინიშნოს - ლაზარეს აღდგინების და ქრისტეს ამაღლების სცენებით და მათთან ერთად წმ. ნიკოლოზის ხატი, XII ს-ის ჯვარცმის ხატი, რომელშიც მთელი სიძლიერითაა გამოხატული ამ იკონოგრაფიული სცენის დრამატიზმი და სხვა მრავალი.

განხილული ძეგლები მხოლოდ მცირედი ნაწილია მესტიის მუზეუმის შუა საუკუნეების ხელოვნების კოლექციისა. ჩვენ შევეცადეთ ასე თუ ისე წარმოგვეჩინა თუ რა ეპოქისა და მნიშვნელობის ექპონატებია დაცული მუზეუმში, ალბათ, ისიც გასაგებია, თუ როგორ დაცვას და სათანადო პირობებს საჭიროებს ეს უძველესი და უბრწყინვალესი კოლექცია. რა დიდი ძალისხმევა და თანადგომაა საჭირო, რომ მას სათანადო პირობები შეექმნას. მარტო მუზეუმის დირექტორის, ც. ჩართოლანის დონეზე ვერ გადაწყდება ეს საკითხი. ვერც დიდი სიყვარული და პროფესიონალური ერთგულება მუზეუმის მთელი კოლექტივისა (ჩათო გუჯუჯიანი, მარგო მარგიანი, მაყვალა ჯაფარიძე, რუსიკო ქოჩქიანი, დარიკო ჟორჟოლიანი, შადურ შუკვანი, ნელი გელაშვილი და ჩვენგან უდროოდ წასული თეთნულდა ჯაფარიძე) ვერ უშველის ამ საქმეს. მუზეუმს თანადგომა სჭირდება თავისი კუთხისა და არა მარტო კუთხის მოყვარული და გულისხმიერი ადამიანებისა, რომელთაც აქვთ ამის საშუალებაც და შესაძლებლობაც. ასეთი ადამიანები კი უთუოდ ჰყავს ჩვენს სამშობლოს.

***რუსუდან ყენია***

# ნისლი ფიქრია მთებისა

დალის, ანუ კოდორის ხეობა საქართველოსთვის ის ნათელი სხივია, აფხაზეთის ომში დამარცხებით გამოწვეული მწარე ხვედრის სანაცვლოდ ჩვენს იმედს რომ გვიღვივებს.

ზოგადად, ძლიერი ამარცხებს სუსტს, რიცხვმრავალი ერი მცირერიცხოვანს, თუმცა მსოფლიო ისტორიაში ასეთი შემთხვევებიც გვაქვს, როდესაც იმპერიალისტური ზრახვებით შეპყრობილი რიცხვმრავალი ერის თანადგომით წაქეზებული სეპარატისტულ დაჯგუფებათა ლიდერები ახორციელებენ ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ძირითადი ერის გენოციდს და ქმნიან ძალმომრე რეჟიმს, სამწუხაროდ, ზოგჯერ მსოფლიო «დე ფაქტოდ» აღიარებს ასეთ რეჟიმებს, ამის დასადასტურებლად შრილანკასა და ერიტრეას მაგალითიც იკმარებდა და თუ დღევანდელმა მსოფლიომ არ სცნო არძინბას სეპარატისტული რეჟიმი, ამის ძირითადი მიზეზი შემდეგია: აფხაზეთის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ მკვიდრობენ ქართველები და მოძალადემ ვერა და ვერ მოახერხა აელო კომპაქტურად დასახლებული დალის ხეობა.



ემზარ კვიციანი



ჟივლერ გვარმიანი



ბესო კვიციანი



იაგორ ანსიანი

განუზომელია ამ ხეობის მკვიდრთა წვლილი აფხაზეთის ომში. ჯერ კიდევ 1989 წლის 15 ივლისს, როდესაც ძაიდგილარას მიერ წაქეზებული სეპარატისტთა შეიარაღებული დაჯგუფება იწყებს თარეშს სოხუმში, ქალაქში გამომწყდეული ქართველობა დალის ხეობიდან ჩამოსულმა ახალგაზრდებმა იხსნეს, შემდეგ იყო სოხუმისა და ოჩამჩირის ბრძოლები, ყველგან მამაცურად იბრძოდნენ კოდორელები.

სოხუმის დაცემის შემდეგ პანიკური შიშით შეპყრობილმა სამხედრო ნაწილებმა, თუ მოსახლეობამ კოდორის ხეობაზე გავლით დატოვა აფხაზეთი. ხეობაში მცხოვრებთა მომავალიც უიმედო ჩანდა. საბედნიეროდ მათ შეძლეს ის, რასაც არავინ ელოდა, ხეობის შენარჩუნების მიზნით დაიდო ფიცი-უტეხელი, ჯვარ-ხატით განმტკიცებული.

სამჯერ მოიტანეს იერიში არძინბას გვარდიის ნაწილებმა ხეობაზე, მათ ზურგს უმაგრებდათ ჩეჩენთა, ყაბარდოელთა, რუს კაზაკთა, ადიღეელთა და ბაგრამიანის სახელობის ადგილობრივ სომეხ მოსახლეობათაგან შემდგარი ბატალიონები.

სამივე იერიში უკუგდებული იქნა.

დღესაც ამაყად იცავს თავს დალის ხეობა და გვაძლევს რწმენას, რომ ჩვენ საბოლოოდ არ დავმარცხებულვართ.

აქაურებს კარგადა აქვთ გაცნობიერებული, რომ ყველაზე დიდი უბედურება ომია, რითაც ადამიანი კარს უკეტავს სიკეთეს და თესავს შფოთს, სიკვდილს... ამიტომაცაა, რომ კოდორელები 8 წლის მანძილზე მხოლოდ თავდაცვით ომს ეწეოდნენ. ადგილობრივი მოსახლეობისაგან დაკომპლექტებული საზოგადოება «მონადირის» წევრებიც, მხოლოდ ამ გზით სიარულს ამჯობინებენ. ისინი განსაკუთრებული მადლიერებით იხსენებენ თავდაცვის მინისტრს, დავით თევზაძეს რომელმაც რამოდენიმეჯერ მოინახულა ხეობა და ერთხელ ფეხითაც გადმოლახა.



დალის ხეობაში სწამთ, რომ მხედრული სული არსებობდა. არსებობს და კვლავაც იარსებებს... ამ რწმენას კი ნამდვილად შეუძლია არა მარტო დალის ხეობის, არამედ მთელი საქართველოს ხსნა.

***ნინო ტარყაშვილი***

---

პოლკოვნიკი ემზარ კვიციანი ოპერატიული მიმართულების კოდორის ხეობის სარდალი, რწმუნებული.
ვიცეპოლკოვნიკი ჟივლერ გვარმიანი.
ვიცეპოლკოვნიკი ბესო კვიციანი.
უფროსი ლეიტენანტი იაგორ ანსიანი, დაბა მესტიის სოფ. დიზში მაცხოვრები, რომელიც ხეობაში მსახურობს.

# Декларация прав человека XXI века

Девиз: Ищем не прав, но справедливости, без которой жизнь превращается в сплошное лицемерие.

«Грядущий век должен освободить человечество от всякого рабства. Можно этого достичь сотрудничеством Иерархическим. Не устанем твердить о сотрудничестве. Нельзя осознать значение всеобнимающего Сердца, если вместо сотрудничества будем мечтать о всевозможных видах рабства. Так, при изучении магнитных токов будем знать, что сознание сотрудничества удесятеряет мощь всех соединительных токов. Может показаться странным, как может этическое понятие сотрудничества влиять на физическое понятие токов? Так может думать некто, не знающий об истиной науке, но вы достаточно знаете, насколько неделима область духа от физических законов.»

(А.Й.С. 139)

**О депутатах или представителях**

Как только служение обществу перестает быть главным делом граждан и они предпочитают служить ему своими кошельками, а не самолично, Государство уже близко к разрушению. Нужно идти в бой - они нанимают войска, а сами остаются дома. Нужно идти в совет - они избирают депутатов и остаются дома. Наконец, так как граждан одолевает лень и у них в избытке деньги, то у них, в конце концов, появляются солдаты, чтобы служить отечеству, и представители, чтобы его продавать.

Хлопоты, связанные с торговлей и ремеслами, алчность в погоне за наживою, изнеженность и любовь к удобствам - вот что приводит к замене личного служения денежными взносами. Уступают часть своей прибыли, чтобы легче было потом ее увеличивать. Давайте деньги - и скоро на вас будут цепи. Слово «финансы» - это слово рабов, оно неизвестно в гражданской общине. В стране действительно свободной, граждане все делают своими руками - и ничего при помощи денег; они не только не платят, чтобы освободиться от своих обязанностей, но они платили бы за то, чтобы исполнять их самим.

Чем лучше устроено Государство, тем больше в умах граждан заботы общественные дают ему перевес над заботами личными. Там даже гораздо меньше личных забот, ибо поскольку сумма общего блага составляет более значительную часть блага каждого индивидуума, то последнему приходится меньше добиваться его путем собственных усилий. В хорошо управляемой Гражданской общине каждый летит на собрание; при дурном Правлении никому не хочется и шагу сделать, чтобы туда отправиться, так как никого не интересует, что там делается, ибо заранее известно, что общая воля в них не возобладает, и еще потому, наконец, что домашние заботы поглощают все. Хорошие законы побуждают создавать еще лучшие, дурные - влекут за собою еще худшие. Как только кто-либо говорит о делах Государства: «Что мне до этого?» - следует считать, что Государство погибло.

**О различных системах законодательств**

Если попытаться определить, в чем именно состоит то наибольшее благо всех, которое должно быть целью всякой системы законов, то окажется, что оно сводится к двум главным вещам: свободе и равенству. К свободе - поскольку всякая зависимость от частного лица настолько же уменьшает силу Государства; к равенству, потому что свобода не может существовать без него.

Я уже сказал, что такое свобода гражданская. Что касается до равенства, то под этим словом не следует понимать, что все должны обладать властью и богатством в совершенно одинаковой мере; но что касается до власти - она должна быть такой, чтобы она не могла превратиться ни в какое насилие и всегда должна осуществляться по праву положения в обществе и в силу законов; а что до богатства - ни один гражданин не должен обладать столь значительным достатком, чтобы иметь возможность купить другого, и ни один - быть настолько бедным, чтобы быть вынужденным себя продавать: это предпологает в том, что касается до знатных и богатых, ограничение размеров их имущества и влияния, что же касается до людей малых - умерение скаредности и алчности. Чтобы не ошибиться в определении этого возмещения, надо точно различать естественную свободу, границами которой является лишь физическая сила индивидуума, и свободу гражданскую, которая ограничена общей волей, а также различать обладание, представляющее собой лишь результат применения силы или право того, кто пришел первым, и собственность, которая может основываться лишь на законном документе.

К тому, что уже сказано о приобретениях человека в гражданском состоянии, можно было бы добавить моральную свободу, которая одна делает человека действительным хозяином самому себе; ибо поступать лишь под воздействием своего желания есть рабство, а подчиняться закону, который ты сам для себя установил, есть свобода.

# ПРЕАМБУЛА

*Главным признаком XX века был грандиозный интерес науки к проблемам Духа, теософии и нравственным нормам всех мировых религий. Настало время, когда блестящие успехи естественных наук привели к возможности научного доказательства основных теософских проблем на основе новейших теорий и открытий в науке. Лептонно-электромагнитная гипотеза не только подтверждает положение, что мы Братья и Сестры в поле лептонном, но и заново «открывает» Библейскую истину, о чем с академической твердостью заявляет: каждый человек подобен Богу - есть Богочеловек, ибо усилием воли творит новые «живые» микромиры на более разреженной ступени материи, - микролептонные эйдосы.*

*Совершенно по-теософски звучит и другое заявление ученых: за все свои не только дела и поступки, но и мысли, слова, чувства, желания и т.п. человек несет ответственность, получает свою карму, сполна расплачиваясь за все своей судьбою. Возникают большие научные проблемы лептонного права, лептонной юстиции, лептонной педагогики, лептонной медицины, лептонной философии. С точки зрения эволюции лептоносферы, бессмысленны любые акты зла: война, вражда, убийства, месть, зависть, предательство, вероломство, обида, интрига и прочие низкие проявления человечества.*

*Лептоносфера земли - это как бы высший моральный судья на планете, оберегающий экологию народов, человека, среды и культуры.*

*Также и проблемы жизни и смерти, личное бессмертие и бессмертие человечества определены в терминах научных, а для желающих личного бессмертия дается авторитетная научная рекомендация: совершайте великие подвиги, великие деяния на благо Человечества.*

*Всякий, совершающий великие деяния и подвиги, становится на путь обретения особых прав, добываемых в жизни, подобных правам, обретенным библейскими героями.*

*Одно из самых грандиозных героических деяний - это добыча Царства Небесного. «Царство Небесное силою берется, и употребляющие усилия восхищают его». Необходимо, наконец, понять, что права не присваиваются, как об этом заявлено директором ЮНЕСКО, а завоевываются колоссальным усилием Духа; и всякого, добившегося указанных прав, превращают в опору своего народа, в гражданина планеты. Гражданин планеты, реализовавший в себе права этой декларации, овладевает знаниями управления силами природы и властью над материей, за что и будет нести глубочайшую ответственность в каждом случае использования или злоупотребления ими. Все, кто злоупотребляют силами Вселенной ради эгоистических целей, рано или поздно обнаруживают, что должны выпустить из рук все нечестно добытое, ибо расплата, как это уже доказано научно согласно лептонно-электромагнитной теории, будет ужасна. Ученых никогда не пугал гипотетический АД, однако, реальность существования лептоносферы заставляет это бесстрашное племя рода человеческого воспринять нравственные нормы как высоконаучную истину. Посему, велика радость добиться права накормить бедных, исцелить больных, воскресить мертвых и совершить много других чудесных и бесконечно удивительных деяний из неисчерпаемого арсенала природы. Восстановим Дух Свободы, Добра и Культуры, который делает возможным для человека, созданного по бессмертному, любящему, Богосвободному образу его Творца, реализовать и добиться этих прав на пользу общества и на радость его благодетелям.*

*Именно в простых проявлениях жизни, добившиеся этих прав найдут свою свободу и обогатят благополучие этой земли и всех ее людей. Они будут использовать всеобщее благо во имя самого прекрасного мира - Свободы Культуры, но не порочного беспредела - его антипода, пытающегося войти в наш обиход под видом «новой культуры».*

*Эти права представляют собой мощь самореализованного человека; человека, который после долгих поисков увидел, что он - одно целое с Богом и готов исполнить свою роль благодетеля человечества, роль Светоносца Бессмертной Культуры. Таким образом, каждый человек найдет свое законное место и правильное понимание того, как ему надлежит применять свои права в делах, в собственном мире и даже во Вселенной.*

*К обладанию указанных прав приходят через поиск и покорение конечного «Я», через притягивающую изнутри любовь, через принуждающий ревностный магнетический зов души к своему Божественному истоку.*

წინაპრების დამოკიდებულება საზოგადოებრივი მმართველობის სტრუქტურების მიმართ იყო შემოქმედებითი.

აღმოსავლეთ საქართველოს მთაში არსებობდა «ხევისბერობა».

დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, სვანეთში მახვშიერი. ორივე შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს საქართველოს ისტორიის ძირძველ წარსულთან.

«მახვშურ-ხევისბერული» მმართველობის სათანადო შესწავლა, გარკვეულწილად პასუხის გაცემაც იქნებოდა იმ კითხვაზე, რომელიც ადრე აღვძარით.

საიდან მოვდივართ? დღევანდელმა მდგომარეობამ გარკვეული ამოცანის წინაშე დაგვაყენა. ყველა დროს გააჩნია თავისი გამომხატველი ხელწერა. იცვლებიან საგნები, მოვლენები, დამოკიდებულება გარემო სინამდვილისადმი, ერთად-ერთი უცვლელი რჩება მარადიული ზნეობა. უზნეობასთან შეგუება არა მარტო პიროვნების დაცემაა, არამედ ეროვნული ცნობიერების განადგურებაცაა.

მახსენდება, ბრძენთაგან თქმული ერთი შეგონება: «ის, ვინც გადაარჩენს ერთ სიცოცხლეს, გადაარჩენს მთელ სამყაროს. ის, ვინც მოსპობს ერთ სიცოცხლეს, მოსპობს მთელ სამყაროს». რაც შეეხება ხალხური სამართლის მიმართებას საქართველოს დღევანდელ მდგომარეობასთან, უპირველესად ასე მესახება:

*1. სრულიად საქართველოს კონსოლიდაცა ეროვნული ზნეობისა და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებით.*

*2. ცივილიზებულ სახელმწიფოთა სისტემა-სტრუქტურების გამოყენების დროს, სახელმწიფო ხელისუფლებაში ეროვნული ძირისძირებიდან გამომდინარე სულიერ მოთხოვნილებათა ადექვატურობაში.*

*3. სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის დროს, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ქართული ეროვნული ცნობიერების ნიადაგზე სოციალური სამართლიანობის დამკვიდრება.*



დანაშაულში ეჭვმიტანილი, მაგრამ შინაგანად მართალი სვანი თავის სიმართლეს შემდეგი სიტყვებით გამოხატავდა: **«დედამიწის ცოდვა მქონდეს, თუ ვტყუოდე».**

სახალხო სამართალი, ვიმეორებ, ისევ ეყრდნობოდა მახვშურ-ხევისბერული საზოგადოების მართვის ფორმებს, ანუ «ქურუმულ წყობით სისტემას».

იურიდიული კანონმდებლობის საფუძველზე პიროვნება პასუხისმგებელია კანონისა და სახელმწიფოს წინაშე, ხალხური სამართლის მიხედვით კი ღმერთის წინაშე.

- თქვენ სვანური პოეზიის პირუთვნელი შემფასებელი ხართ. ხშირია შემთხვევა, როდესაც ესა თუ ის პირი ცვლის ტექსტს და ულახავს პირვანდელობას. რა განცდებს იწვევს ყოველივე ეს თქვენში?

- დღეს, ასეთი ადამიანების წყალობით ილახება არა მარტო ტექსტი, არამედ ქართული სინამდვილის სულიერ-ენერგეტიკული ბაზისი.

ყოველ ტექსტში, ყოველ სახეში შორეული მითოსის გამოძახილს ვხვდებით. სვანურმა ფოლკლორმა მოიტანა შეურყვნელი, პირვანდელი ქართული სამყარო. ჩვენი ძიების უმთავრესი დედააზრი მაინც უნდა იყოს პირველშობილი სიტყვა და პირველშობილი ბგერა.

ტექსტთან დამოკიდებულების დროს გაუფრთხილებლობის შედეგია ის ფაქტი, რომ ჩვენამდე მოღწეული ვარიანტებიდან ძალზე ბევრია მიეთ-მოეთური. მაგალითად, სვანური პოეზიის ძირსაწყის სათავესთან ერთ-ერთ საგალობლად «ლ ი ლ ე» გვხვდება.



მიხეილ აფრასიძე

პირვანდელი ტექსტის მიხედვით თვალნათლივ ჩანს, თუ როგორ «შეეჯიბრა» ამ ტექსტის უცნობი ავტორი თავისი ქმნილებით შუქის სამყაროს ღვთაებას, ცის ფენომენს- მზეს. «ოქროს სამკაულთა საამქროს შექმნილ» მზეს მიმართავს ავტორი.

ზოგიერთ ტექსტს ერთვის სხვა ტექსტიდან «მოარული» სტრიქონები, რაც მას მთლიანად ცვლის.

არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ სვანური სიმღერების კარგი მცოდნე და ამაგდარი ლოტბარი პლატონ დადვანი, რომელმაც ტექსტის სხვადასხვა ვარიანტებიდან შეარჩია ორიგინალთან ყველაზე უფრო მიახლოებული ვარიანტი.

სვანური პოეზია მითოლოგიური სამყაროდან იღებს სათავეს.

ყველა ჩვენგანის ვალია სოფელ-სოფელ ვეძიოთ ეროვნული ფოლკლორის ნიმუშები. ბევრმა საფლავში ჩაიტანა დიდი საიდუმლოება.

მაგალითისათვის მარტო ნესტორ მიქიანი და ბიძინა დადეშქელიანი იკმარებდნენ.

პირველს, სამწუხაროდ, მე ვერ მოვესწარი. მის პიროვნებაზე თავად მისი თავანკარა პოეზია მიქმნის გარკვეულ წარმოდგენას.

ბიძინას საკმაოდ კარგად ვიცნობდი. ულთო იყო მისი უდროო სიკვდილი. არადა, ამისთანა ხალხს მოფრთხილებასთან ერთად ერის საკეთილდღეოდ სამსახურში ჩაყენება სჭირდება.

პირვანდელ ორიგინალებთან მიახლების გრძნობით უნდა მიუდგეს საქმეს ის, ვისაც ნამდვილი პრეტენზია გააჩნია სვანური - «შუანურის» უძირძველესი სიტყვა-

კაზმული ტექსტების შეჯერებისა და შეპირისპირებისა.

**- ჩვენი სასიქადულო მთარგმნელი და პოეტი დავით წერედიანი მის მიერვე თარგმნილ «სვანური ხალხური ლექსების» წინასიტყვაობაში წერს: სვანური ლექსი და სიმღერა ერთ განუყოფელ შემოქმედებით ერთეულს შეადგენს და ძნელია იმის თქმა, ლექსი წარმართავს სასიმღერო ჰანგს, თუ პირიქით, მუსიკალური ელემენტები იმორჩილებენ სიტყვიერ ტექსტს.**

***თქვენ როგორ ფიქრობთ?***

- ცამდე მართალი ბრძანდება ბატონი დავითი.

უძველესი პოეზია ყოველთვის არსებობს სიმღერის სახით. თუ სხვა ერებში ეს მონოდიური სახით არის შემორჩენილი, ქართული (სვანური) პოეზია არსებობს მრავალხმიანობაში. «სვანური» ასახავს ქართული პოეზიის სპეციფიკასა და ჯდება მრავალხმიან ჭრილში. სიმღერა ქართველი კაცისათვის თავად ლოცვაა. ამიტომ ლექსი, რომელიც ლოცვად არ გარდაიქმნებოდა, ვერ აღწევდა ღმერთამდე. საერთოდ სიმღერაში უფრო შენარჩუნებულია ძველი ფორმა, ვიდრე ცოცხალი მეტყველების მსვლელობაში.



მაგალითად, სვანურ მეტყველებაში დაკარგულია ის ბრუნვის ნიშანი, რომელიც სიმღერაში შემორჩა. ღვაჟარ (სვან) - ვოჟები ერთ - ერთ ცნობილ სიმღერაში «ჟანსავ ყიფიანეში» გვხვდება ღვაჟარ-ე.

სვანური პოეზია ასახავს წინარე «სვანურ» ვითარებას. პოეზიის ენა კი არის «საერთო სვანური» ენა.

აქ პოეზია თავად არის მუსიკა, მუსიკა კი პოეზია.

«სვანური» ლექსის სრულყოფა მხოლოდ მაშინ აღწევს თავის სიმაღლეს, როდესაც ლექსი ან ტექსტი დაბადების პროცესშივე ერთდროულად იწყებს მუსიკასთან, მელოდიასთან სინქრონულ შექმნადობას. სვანური პოეზია გადასვლაა სულიერი მოძრაობიდან ხმაზე და სიტყვაზე. პირადად ჩემში ის მრავალგვარ მტკივნეულ კითხვებს აღძრავს. რა ენერგიიდან იბადება პოეზია? როგორ ყალიბდება სიმღერად და ლექსად? რამეთუ ორივეს ერთდროული ქმნადობის მუხა ქართველ კაცს თავისთავადობაში ებადება. ლექსი და მუსიკა ერთდროულად ქმნიან წილსაზიარო ციკლს.

ლექსისა და სიმღერის ერთქმნადობა ასახავს სვანურში შემორჩენილ წინარე ქართულ მოვლენებს. სხვათაშორის, ამის ანარეკლი საქართველოს სხვა კუთხეებშიც გვხვდება. ცნობილი ფაქტია, რომ ზოგჯერ საუკეთესო მოლექსენი თავის შედევრებს ფანდურზე ან ჩონგურზე დაამღერებდნენ ხოლმე. სვანური ხალხური პოეზია ქართული ეროვნული სიტყვიერი ხელოვნების «სისხლი სისხლთაგანია და ხორცი ხორცთაგანი».

**- თქვენი საშუალებით შევიტყვე, რომ კავკასიონის უმაღლეს მწვერვალს «იალბუზს» ძველი სვანები «იმგითავს» უწოდებდნენ. ხომ ვერ განგვიმარტავდით, რა საიდუმლოება შეიძლება იმალებოდეს ამ სახელწოდების მიღმა?**

- «იმგითავი» ნიშნავს იმ ადგილის თავს, ე.ი. მთლიანად კავკასიის ადგილის დედის უმაღლეს მწვერვალს. სანამ მწვერვალის სახელწოდებას განვმარტავდეთ, უნდა ვიცოდეთ თვით «კავკასია», «კავკასიონი», «კავკავი», ეს ისეთი ზღვა მასალა გახლავთ, რომ დღევანდელი დღე სამაგისოდ არც შემზადებულია და არც დროის ფაქტორში ეტევა. ამიტომ ცალსახად, ღრმა რწმუნებით ვაცხადებ. რომ «იმგითავი» ყველაზე უძველესი სახელია კავკასიის უმაღლესი მწვერვალისა, რომელსაც მავანნი და მავანნი დღეს ელბრუსს და ან ელბრუსიდან მიღებულ დამახინჯებულ სახელწოდებას - იალბუზს უწოდებენ.

ძველი სვანების რწმენით «იმგითავი» იყო წმინდა სულების სამოსახლო. ამის გარდა «იმგითავს» სვანები «ღმერთის ჰგიების» ადგილსაც უწოდებდნენ.

იქ, სადაც გაიშვიათებულია ჰაერი, უფრო ძლიერია სულიერი ველი. «ღმერთის ჰგიების» ადგილს მისული კაცი წილნაყარი ხდებოდა იმ წმინდა სულებთან, რომლებიც მწვერვალზე მკვიდრობდნენ. მე-14 ბანაკთან «იმგითავზე» არის წერტილი, რომელსაც მკვდარ წერტილს უწოდებენ. ამ წერტილთან მიახლება ქმნის ისეთ შთაბეჭდილებას, რომ აქ თითქოს დროც გაქვავებულია. «თეთრ საუფლოსთან» კავშირი მიუთითებდა, რომ ყოველი კაცთაგანი უნდა ქცეულიყო დედაბუნების შესატყვის კაცად. სუფევდა სრული ჰარმონია ბუნებასა და ადამიანს შორის. «იმგითავს» ესაზღვრება მთა, რომელსაც სვანები «ლაბგვიარის» მთას უწოდებენ. ყაბარდო-ბალყარეთის ტერიტორიაზე ქართული (სვანური) წარმოშობის ტოპონიმთა აურაცხელი არსებობა ადასტურებს, რომ სვანური ეთნიკური ელემენტი ამ არეალში ძლიერი იყო. ხორზუკის შესასვლელში კლდეზე დგას სვანური კოშკი, რომელსაც დროჟამმა ვერაფერი დააკლო.

«კავკასიონის ადგილის დედის თავი» მთელი თავისი სისრულით და მთელი თავისი მნიშვნელობით ქართულ ენაში ანათებს.

**- ცნობილია, რომ ქართველურმა ტომებმა შორეულ ათსწლეულებში შექმნეს მდიდარი სამიწათმოქმედო კულტურა, სვანური ერთ-ერთი ძირძველი ქართველური ენათაგანია, რომელიც მდიდარია სამიწათმოქმედო ლექსიკით, ხომ ვერ მოგვიტანდით თუნდაც ერთ მაგალითს, რომელიც ჩვენ საუკუნეთა სიღრმეში ჩაგვახედებდა?**

- ყოველი ქართველური ენა ერთი დიდი სასწაულია სასწაულთა შორის.

ამ მხრივ უაღრესად საინტერესოა ის «კოლორიტი», რომელიც დედა-ქართულს ერთვის სვანურის სახით. ზოგჯერ ერთ სიტყვაშია გამოხატული მთელი პროცესი მუშაობისა. ყოველი სიტყვა შრომის პროცესის ერთი ტაქტია, ხოლო ტაქტების ერთობლიობით მთელი შრომის ციკლია შექმნილი. «მიწასთან ურთიერთობის» ყოველ მოქმედებას საფუძვლად უდევს «პური ჩვენი არსობისა»-ს პრინციპი. ლი - სვანურად არის არსებობა. ლიც - წყალი. არსებითობის ძირსაწყისობა უდევს ყოველ მოქმედებას საფუძვლად, რომელმაც მწყობრი სვლით გამოიარა საუკუნეები. ყოველ სიტყვას აქვს თავისი დახვეწილი გამოხატულება, რომელსაც არ სჭირდება განმარტება. ეს სიტყვები შემდეგია:

*1. ლიჩვადე - ყანის გასუფთავება ნარჩენებისაგან;*

*2. ლიდაცვე - ზოგჯერ მთაში დიდთოვლიანობის დროს მოძებნიდნენ ხელსაყრელ ადგილს მიწის ამოსათხრელად. მოაყრიდნენ იმ მიწას თოვლს, რომ თოვლი გამლღვალიყო;*

*3. ლიპუნწი - ნაკელის გაზიდვა ყანაში;*

*4. ლიხნი - ხვნა;*

*5. ლილაში - დათესვა;*

*6. ლიჭადი - მოფარცხვა;*

*7. ლიჟგუნე - მარგვლა;*

*8. ლითი - მკა;*

*9. ლინჩრე - ძნის შეკვრა;*

*10. ლიპშანი - დაზვინვა;*

*11. ლილჯი - მოსავლის მარხილზე გადატანა;*

*12. ლიმაჯე - მოსავლის სახლში მოზიდვა;*

*13. ლიქვცე - კალის გაშლა;*

*14. ლიკლავი - ლეწვა;*

*15. ლიწვრემი - განიავება;*

*16. ლიცხრილი - გაცხრილვა;*

*17. ლიმაშდე - მარცვლის დაზვინვა;*

*18. ლიშყვდი - მარცვლის ამორეცხვა;*

*19. ლიფრე - გახმობა;*

*20. ლილქვერი - დაფქვა;*

*21. ლისფავრე - ცომის მოზელვა;*

*22. ლიმოკე - ცომის აკვრა;*

*23. ლინყე - ცეცხლზე შედგომა;*

*24. ლიჭე - ცხობა;*

*25. ლიზებ - ჭამა;*

*ლი საწყისის მაწარმოებელია და ამავე დროს არსებობის გამომხატველიც. არსებობა უდევს აგრეთვე საფუძვლად მუშაობის ყოველ მოქმედებას სათიბში.*

*1. ლიჩვარე - გასუფთავება ქვა-ღორღისაგან;*

*2. ლილცუნე - მორწყვა;*

*3. ლიჭმე - მოთიბვა;*

*4. ლიფრე - გახმობა;*

*5. ლიფცხი - მოფოცხვა;*

*6. ლიმქვე - დაზვინვა;*

*7. ლილხანი - სახლში მოზიდვა ხარებით;*

*8. ლიშდე - საბძელში აყრა;*

*9. ლინნი - სათივიდან თივის ჩამოყრა;*

*10. ლიზვებ - ჭამა;*

*11. ლიწცხვი - ცოხნა;*

მდიდარი არქეოლოგიური მასალა გახლავთ ერთ-ერთი გასაღები, რომლის საშუალებითაც ვაღებთ კარს შორეულ წარსულისა.

ენობრივ და არქეოლოგიურ მონაპოვარშია, ასახული საუკუნეებში გამოვლილი ჩვენი გზა.

ყველა ჭეშმარიტ ენათმეცნიერს და ყველა ჭეშმარიტ არქეოლოგს ამ დიდ სამყაროში უხმობს «შუქთა სამეფოს განმგებელი».

**- ამირანის თქმულების რამოდენიმე ვერსია არსებობს. თქვენის აზრით რა თავისებურებებით გამოირჩევა «სვანური» ვერსია?**

- კლასიკური ვერსიის მიხედვით (ე.ი. მხედველობაში მაქვს ის ძირითადი ვარიანტი ამირანისა, რომელიც სახელმძღვანელო ლიტერატურაშიც არის შეტანილი), გამოკვეთილად არ არის ნაჩვენები ცეცხლის, როგორც ცის პირმშოს დედამიწის პირობებში შემოტანა. სვანური ვერსიის მიხედვით, ცეცხლის მოპოვების სცენა თავად არის მაღალი პოეზიის ნიმუში. თავის გულისწორთან შეერთების მოწადინე ამირანი, ძმებთან ერთად აღმოჩნდება გაუვალ ტყეში.

სიცივისაგან მოყინულ ძმებს გამოეცალათ ილაჯი. ამირანმა დატოვა ძმები ერთ ადგილას და დიდი ხნის ძებნის შემდეგ მიაგნო ადგილს, საიდანაც «ცის პატარა



ფოტოსურათი ერმაკოვის უნიკალური ფონდიდან

ნაფლეთი» ჩანდა. ამ პატარა სფეროს ცისას ფარავს ღრუბელი. ამირანმა სტყორცნა შავ ღრუბელს მშვილდისარი. ისრის გახახუნების შედეგად ღრუბელმა ამოანთხია ელვა და «ცის ნატეხებს» ჩამოყვა ცეცხლი. ამ ცეცხლზე გაათბო მან მოყინული ძმები.

მითი გვამცნობს, რომ მიწაზე ცეცხლის დაბადება იყო თავად «ცისა და მიწის დაახლოების შედეგი».

სვანეთში «ამირანის» ანუ «ამირშის» რამოდენიმე ვარიანტია.

სასურველი იქნებოდა ყველა მათგანის შეკრება და

სათანადო კვლევა-ძიება.

მე პირადად მზად ვარ შეძლებისდაგვარად დავეხმარო ყველა მათგანს, ვინც ამ საქმეს ხელს მოჰკიდებს.

**- ამირანზე საუბრის დროს, როდესაც თქვენ ცეცხლის მოპოვების ფაქტს აღნიშნავდით, გამახსენდა სვანეთში დღესაც არსებული თქმა «ცის ნატეხი მიწით მოდის»-ო. როგორ ფიქრობთ, ეს თქმა უშუალოდ ამ ფაქტს უკავშირდება, თუ ამ სიტყვების ქვეშ დევს რაღაც დიდი კოსმიური მასშტაბის კატასტროფა?**

ეს გამოთქმა უკავშირდება როგორც ერთს, ისე მეორეს. ისინი ლოგიკურ კავშირში არიან. აბა გავიმეოროთ ისევ თქმული. ელვა ცის ნატეხებს ჩამოყვა მიწად და მიწას ცეცხლი მოეკიდაო.

«ცის ნატეხების» პარალელურად ქართულში გვხვდება სიტყვა «მეხთატეხა». ეს ყველაფერი მთლიანობაში ზესაწყისური მოვლენებიდან მომდინარეობს. სვანეთში დღესაც არის ადგილები, რომლებსაც «ცის ნატეხთა სამკვიდრო»-ს უწოდებენ. ერთი რამ კი არის თვალში საცემი: ყველა ეს ადგილი თითქმის თავადაა ჩატეხილი.

ძველ სვანებს მიაჩნიათ, რომ ის, რაც უფალმა «გასაიდუმლოებული სახით» მოგვცა ჩვენ და სადაც დიდი კოსმიური ძალების ურთიერთშეყრა ხდება, არ უნდა გაცხადდეს მოუმწიფებელი გონებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, წყდება ის კავშირი, რაც ჩვენსა და უზენაესს შორის არის. გამორჩეული შემადგენლობისა და ფორმის მეტეორულ ქვებს სვანები მიიჩნევდნენ როგორც ზეცის წყალობას და მათ «მეხის ნაჩეკ წიწილებს» უწოდებდნენ.

**- სვანეთი ერთ-ერთი სადროშოთაგანი იყო სრულიად საქართველოსი, რომელსაც ლაშქრობის ჟამს წინ უძღოდა საბრძოლო დროშა «ლემი»**

- ამ წმინდათაწმინდა სახელს მოფრთხილება სჭირდება. ყველაზე დიდი მკრეხელობაა დროშის ხელყოფა თავად მედროშის მიერ. ამიტომ «მედროშეთა» ჯგუფი ყოველთვის კარგი ყმებისაგან შედგებოდა. წარმოუდგენელი იყო სალაშქრო დროშა შემთხვევით პიროვნებას ჩავარდნოდა ხელში.

დიდ ცოდვად ითვლებოდა დროშის აუგად მოხსენიება. თავად «ლემი» სვანურად ნიშნავს ლომს. «ლემი» იყო თავისუფალი სვანეთის სიმბოლო.

სვანეთში როცა ტარდებოდა რელიგიურ-საერო დღესასწაული «ჰულიშობა», დროშა ერთ-ერთ ცხენზე უნდა ყოფილიყო დამაგრებული. ჰაერის ნაკადი შედიოდა «ლემის» პირდაღებულ ხახაში, იბერებოდა და დროშა ცოცხალი ლომის გამოსახულებას ღებულობდა.

დროშის თავზე XI ს. წმინდა გიორგის გამოსახულებაა. მრავალომგადახდილ «ლემის» მატიანემ ქარაგმულად შემოგვინახა დღემდე სოფ. ფარში არსებული «ლემის სამარხი». ეს სახელწოდება სოფლის ერთ ბექობს ჰქვია. ამაოდ დაშვრა ბევრი მკლევართაგანი ამოეხსნა, თუ რატომ ჰქვია ამ ბექობს ეს სახელი, ე.ი. ლემ-ლაშდღვი.



ფოტოსურათი ერმაკოვის უნიკალური ფონდიდან

ერთ-ერთ ბრძოლაში დამარცხების შემდეგ დაჭრილმა ალამდარმა - მედროშემ იმ უსახელო ბექობზე მოასწრო სალაშქრო დროშის დამარხვა. მას აქეთ იმ ადგილს დაერქვა «ლომის სამარხი».

სალაშქრო დროშა მარტო საბრძოლო დროშა არ იყო. მას ქონდა აგრეთვე საკულტო მნიშვნელობაც. უსახელო ბექობი, სადაც საბრძოლო დროშა დაიმარხა, შემდეგში იქცა წმინდა ადგილად. სვანებში გაჩნდა ასეთი გამოთქმა: «ლემის სამარხს» ქვემოთ იელი-დეშეც, ე.ი. იელია - ზეცის საყდარიაო.

**- თვენი ცხოვრება მეტად ლამაზი ცხოვრებაა იმ კაცისა, «მარედ» რომ იწოდება. «ნეტარ არიან მშვიდნი...» რით მიაღწიეთ თქვენს შინაგან სიმტკიცეს? სიმშვიდით?**

- ეს ერთადერთი კითხვაა თქვენს მიერ დასმული კითხვებიდან, რომელსაც დუმილით უნდა ვუპასუხო.

პასუხობს დუმილით ბატონი მიხეილი ბოლო კითხვას, მაგრამ მის მიერ თქმული ლექსი, რომელსაც აქამომდე არ უხილავს დღის სინათლე, არის თავად ერთგვარი პასუხი ამ კითხვაზე. ეს ლექსი მჯერა, რომ შემოვა ბევრი ჩვენგანის არსებობაში და იქ გააგრძელებს ცხოვრებას:

**ფიქრს ვისევ დონემიხდილი,**<br>
**გაღმა სამანზე როკია,**<br>
**ჩვენზე სიმართლე რომ ითქვას,**<br>
**ჩემი წასვლისა დრო კია.**<br>
**სოფელსა ნისლისფერასა,**<br>
**კაცნი მიდიან-მოდიან,**<br>
**დროზე მოსული სიკვდილი,**<br>
**უბედურება როდია.**<br>
**და მაინც თვალებს, წყეულებს,**<br>
**სიცოცხლე ძნელსათმობი აქვთ,**<br>
**ბნელეთის ათასწლეულებს,**<br>
**სინათლის წამი სჯობია.**

*ესაუბრა*

*ერეკლე სალღიანი*




*/Nomina si nescic, perit et cognitio rerum/*
*«თუ სიტყვები არ იცი, საგანთა შესწავლა შეუძლებელია»*
***/ლინეი/***

ვიდრე საკითხის გაგრძელებას შევუდგებოდეთ, მინდა ჩემი შინაგანი უკმარისობის შესახებ გიამბოთ. ქართული ასომთავრულის ღირსებების კვლევის საკითხებით დაკავებულს, სულ მაწუხებდა კითხვა: რამდენად საფუძვლიანია პრეტენზია, ქართული ენის საკაცობრიო მნიშვნელობით წარმოჩინებაზე?! ხომ არ არის ფარული თავმომწონეობა და ნარცისიზმით თავზე შეყვარებულის ტკბობა?

რა თქმა უნდა, ვიცოდი, წმინდა ზოსიმეს ქება და დიდება ქართული ენისა.

«დამარხულ არს ენა ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მესიისა საწამებლად, რათა ყოველს ენას, ღმერთმა ამხილოს ამით ენით. და ესე ენა მძინარე არს დღესამომდე; და სახარებასა შინა ამას ენას ლაზარე ჰქვიან. და ახალმან ნინო მოაქცია, და ჰელენეს დედოფალმან. ეს არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართა. და მეგობრობა ამისთვის თქვა მახარებელმან, რამეთუ ყოველი საიდუმლოება ამას ენასა შინა დამარხულ არს და ოთხისა დღისა მკვდარი ამისათვისა თქვა დავით წინასწარმეტყველმან, რამეთუ: «ათასი წელი - ვითარცა ერთი დღე». და სახარებასა შინა ქართულისა მხოლოდ თავსა მათესსა, წილი ზის, რომელ ასო არს, და იტყვის ყოვლად ოთხ ათას მარაგსა, - და ესე არს ოთხი დღე და ოთხისა დღისა მკვდარი, ამისთვის მისთანვე დაფარულ. სიკვდილითა ნათლისღებითა მისითათა და ესე ენა - შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა, მდაბალი და დაწუნებული მოელის დღეს მას მეორედ მოსვლისა უფლისასა. და სასწაულად ესე აქვს: ას ოთხი წელი უმეტეს სხვათა ენათა ქრისტეს მოსვლისთაგან ვიდრე დღესამამდე. და ესე ყოველი რომელი წერილი არს, მოწამედ წარმოგითხარ: ას ოთხი ესე წელი და წილი ანბანისა.»

ამ წმინდა წერილით შთაგონებულს ჩემთვის საკმარისი იყო ქართული ენის განსაკუთრებულობის მიღება, მაგრამ ოპონენტების სიმრავლისათვის ცოტაა.

გადავწყვიტე საკუთარი თავის ოპონირება და დავიწყე ძებნა. ბევრი ვინმე დამეხმარა, - მადლობა ყველას!..

პირველი განძი, რაც წმინდა ზოსიმეს მივუმატე და გვერდით დავუყენე იყო, - ანატოლ ფრანსის გამონათქვამის თანახმად: «სიტყვარი - სამყაროა ალფავიტის მიხედვით დალაგებული», - ჩვენი ეროვნული საგანძური, - სულხან-საბა-ორბელიანის განმარტებითი ლექსიკონი. ეპიგრაფში ლინეის გამონათქვამის თანახმად, სულხან საბამ სამშობლოს, თავისი განმარტებითი ლექსიკონით, ენის სიცოცხლე დაუტოვა. ეს ასე რომაა იმით დავრწმუნდებით, რომ თუ «იადიგარ დაუდის «წაკითხვა კიდევ მაინცაა შესაძლებელი, ეს სულხან საბას განმარტებითი ლექსიკონის მადლიერებაა. მაგრამ, რადგან ბევრი რამ დავკარგეთ ენაში, «იადიგარ დაუდი» მთლიანად როდი იკითხება. მიუხედავად ამ დანაკარგისა პროფესორი რიჩარდ მეკელაინი, ქართველოლოგი, ამბობს, «ქართული ენა, გამოხატვის საშუალებებით, მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი ენაა. ის არც სიტყვის მარაგით ჩამოუვარდება ყველაზე

განვითარებულ ენებს». ენას სხვა თვისებებიც გააჩნია და არც ეს თვისებები დარჩათ შეუმჩნეველი ქართველოლოგებს: «ქართული ენა მშვენიერი ენაა, ზუსტი და მოქნილი, ორიგინალური», - ამბობს რენე ლაფონი. ყველა დროის ერთ-ერთმა უდიდესმა მათემატიკოსმა, რომელიც მათემატიკის მეცნიერებიდან დამოუკიდებლად მიუახლოვდა მისტიურ გაბრწყინებას, ლაიბნიცმა ასე შეაფასა  ქართული ენა: «გამაოცა ქართული ენის დროთა და კილოთა სიუხვემ». ინდიანას უნივერსიტეტის პროფესორს, ქალბატონ დოდონა კიზირიას ოდნავ «შეეშალა». იგი ამბობს: «ქართული ენა მერვე საოცრებაა». «შეცდომა» იმაშია რომ «ქართული ენა მსოფლიოს პირველი საოცრებაა» (ავტორი)

ამ კადნიერი იუმორის შემდეგ მივმართავ ასევე ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს ენათმეცნიერს, - ნიკო მარს:

«ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რაგინდარა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე, რომ არა თუ ქართულმა სავსებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრულ ყალიბში ვერ ჩამოასხას. ქართული ენა, განსაკუთრებით ცოცხალი ქართული ენა, მაღალ მხატვრულად გამოხატავს ყოველ აზრს და დაუმახინჯებლად და შეურყვნელად გადმოსცემს, ისე მდიდრულია ქართული ენა. შეიძლება ითქვას, რომ შინაგანი თვისებებით იგი მსოფლიო ენაა»

ეს გამონათქვამი მეცნიერისა, წვდომილის გამოხატვაცაა და წინასწარმეტყველებაც ერთდროულად. წვდომილის გამოხატვა გასაგებია, - ჩვენ უკვე მივეჩვიეთ რომ თუ პროფესიონალთან გვაქვს საქმე, - ყოველი ლიტერატურული ძეგლის ქართულ  ენაზე ნათარგმნი ხშირად დედა ენაზე დაწერილს სჯობიან. წინასწარმეტყველებამ ენის მსოფლიო მნიშვნელობის შესახებ, რაც მეცნიერის დიდი ინტუიციაა ვფიქრობ ეხლა გამოჩნდება, როცა კურტ იოახიმ შპრენგელისა და ელენე ბლავატსკაიას მასალებს განვიხილავთ. ეხლა კი, კიდევ ერთხელ მოვუსმინოთ თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს ენათმეცნიერს:

ა.ფ. ლოსევი. ნიშანი, სიმბოლო, მითი, გვერდი 332.

«ქართული და სხვა ქართველური ენების მსოფლიო მნიშვნელობა.



«ნომინანტურ წყობაზე გადასვლა ყველაზე აშკარა ფორმებით ხდება ქართველურ ენებში. ქართულ გრამატიკასთან თუნდაც თვალის ერთი გადავლებით გაცნობაც კი გვიჩვენებს თუ რა განუმეორებელია და საგმირო ქართული ენის ძლევამოსილების გამოვლენა რთული ერგატიული სისტემის დაძლევისას რათა მოგვეპოვებინა და დაგვემკვიდრებინა ნომინატივი. არც ერთ სხვა ენაში ასე ნათლად და აშკარად არ გამოვლენილა ენისა და აზროვნების უძლიერესი ძალისხმევა, რომელიც ერგატიული და სხვა სისტემების, ისევე როგორც მათთან დაკავშირებული მითოლოგიის დაძლევისასაა გამოვლენილი, რათა მომხდარიყო ნომინატურ წყობაზე გადასვლა, წყობაზე რომელიც სინამდვილეს არა მარტო განიხილავს მეცნიერული კუთხით, არამედ ამკვიდრებს მეცნიერულ მიდგომას სინამდვილისადმი. რა თქმა უნდა კარგია და მისასალმებელი ერთდროულად, სარგებლობდე დიადი გამარჯვების შედეგებით, ისე როგორც ეს ინდოევროპულ ენებში ხდება, ენებში სადაც ჩვენ დაგვავიწყდა კიდეც თუ რა შესანიშნავ აღმოჩენას წარმოადგენს სახელობითი ბრუნვა როცა იგი სუბიექტის ბრუნვის ხარისხშია გამოყენებული. მაგრამ სამგზის აღმატებულია ის ჰეროიკული ძლევამოსილება, რომელიც ამ გამარჯვებისათვის გამოვლინდა. ის რომ ქართველური ენების ჯგუფში, აორისტულ დროებაში ჯერ კიდევ მეფობენ ერგატული კონსტრუქციები და პრეზენტალურში კი დამკვიდრდა ნომინატივი; ის რომ ამ ენობრივ ჯგუფში (ამ შემთხვევაში სხვა კავკასიურ ენებშიც) მეტად იგრძნობა ნომინატივის მომწიფება, რომელიც თანდათან ამოდის ერგატივიდან, ყალიბდება აქტიური და პასიური გვარი, აბსოლუტური ბრუნვის მიცემითი - ბრალდებითით შენაცვლება, რომელიც უკვე დამოკიდებულია შემასმენელზე და არაა გაბატონებული მასზე. ყველაფერი ეს არის ადამიანის სულის ბრძოლის ულამაზესი სურათი ზუსტი გრამატიკული კატეგორიებისათვის და ამით მეცნიერული აზროვნებისათვის, ადამიანის უზენაესი ცნობიერებისათვის ბუნებასთან მიმართებაში, ბნელი და უსუსური წარმოდგენების დაძლევისათვის და, აქედან გამომდინარე, თვით ბუნებაზე გაბატონებისათვის. ქართველური ენების ასეთი კუთხით შესწავლა მეტად ეფექტურია; და რა დასანანია ამ ნაშრომის ფარგლებით შეზღუდულს საშუალება არა მაქვს ქერთველური გრამატიკის უბრწყინვალესი ფაქტების მოსაყვანად.»

ამ წერილში ნათლად სჩანს ქართული ენის მესიანური მნიშვნელობა… «თვით ბუნებაზე გაბატონებისათვის,» მაგრამ მე მაინც განვიცდი უკმარისობას და "მოვიდა" აკაკი გელოვანი და ტიტანური ძალა შემძინა. მან საქართველოს ფასდაუდებელი სამსახური გაუწია, ყველაფერს აკეთებდა რათა საქართველოს ძირძველი წარსული გამოენათებინა მომავალთათვის. მაშ ასე, აკაკი გელოვანის ძიებათა უბადლო თვალმარგალიტი, კურტ იოახიმ შპრენგელის* ნაშრომის* თარგმანი*.

«უძველესი კოლხური მედიცინა

1.შესაძლებელია, რომ ინდოელთა შივას მსახურება კოლხეთშიც იყო გავრცელებული. ყოველ შემთხვევაში, მსგავსი ბუნდოვანი წარმოდგენები შენიშნულია კოლხებთან და ეგვიპტელებთან, შემდეგ კი ფინიკიაშიც.

ვიდრე მილეთელები სინოპს დააფუძნებდნენ (ძვ.წ. 650წ.), საბერძნეთში უკვე იყო ბურუსით მოცული თქმულება ჩრდილოეთის ქვეყანებზე (აია), სადაც ჯადოქართა ოჯახი ბატონობდა. მისი წევრები: მეფე აიეტი, პერსევსი, ჰეკატე, მედეა და კირკე მზის ღმერთის შთამომავლებად ითვლებოდნენ. შემდეგ, როცა მილეთი დაარსდა და მას ხშირად ნახულობდნენ, უფრო გარკვევით გაეცნენ პონტოს აღმოსავლეთ ნაპირებს და კავშირი დაამყარეს აიეტის ჯადოსნურ სამეფოსთან. მბრძანებელთა ოჯახს წარმოადგენდნენ აიეტი და პერსევსი - მზის შვილები, პერსევსის უკანასკნელი ასული, ჰეკატე, შეირთო აიეტმა. მათი ასულები იყვნენ მედეა და კირკე.



ღამის ასული ჰეკატე, იყო შხამიან ბალახთა ფესვების აღმომჩენი, დიდად დახელოვნებული ოსტატი სამკურნალო და მომაკვდინებელი ბალახებისა. მისგან ისწავლეს ასულებმაც ეს ხელოვნება. მედეა იყო ჯადოქარი მკურნალი (ფარმაკისი). თავისი წამლით მან დააძინა ოქროს საწმისის მცველი გველეშაპი და დაეხმარა იაზონს*, რომ თავისი დიდი წამოწყება დაეგვირგვინებინა.

2. პონტო, კოლხეთი ძველთაგანვე ცნობილი იყო შხამიანი და სამკურნალო მცენარეულობით. ამ დიდებას იბერიაც იზიარებდა. ძველ სამყაროში განთქმული იყო შხამიანი მცენარე აკონტი, სტრაბონის ცნობით, უფრო ჰერაკლეაში ცნობილი ბალახი, რომელიც უდაოდ გავრცელებული იყო ტავრიდაში და კავკასიაში... ამ ბალახებით ახავებდნენ წამლებს და ჯადოსნურ სითხეებს კოლხთა მბრძანებლის ასულნი, ისევე როგორც მოგვიანებით მითრიდატე. ორფიკულ არგონავტიკაში რამდენიმე სტრიქონი ეძღვნება ჰეკატეს ბაღის სამკურნალო მცენარეებს**. უპირველეს ყოვლისა ესაა ასფოდელუსი, სამარხებზე რომ იზრდება და ჯადოსნურ სიზმრებს იწვევს... აქაა ცნობილი პეონია (იორდასალამი) - ქალურ სნეულებათა მთავარი წამალი; იდიელი დაქტილების ბალახი, იფნურა (დიქტამნუსი) - უებარი წამალი გველნაკბენისა (ვინც მას თან ატარებს, არც ერთი შხამიანი ცხოველი არ უკბენს); მანდრაგორა (ნაყოფიერებისა), წიწმატი, ახალია (იელი) და სხვა მრავალი...

ეს ბაღი ფაზისზე მდებარეობდა, მაღალი გალავანით შემორაგული, სამმაგი სპილენძის ჭიშკრით დაცული. აქვე არტემიდე* თავისი მზერითა და ხმით თავზარს სცემდა ადამიანებს. ცეცხლისთვალება ქოფაკები დარაჯობდნენ ბაღს. არ ერჩოდნენ მხოლოდ მედეას მფარველობით მისულ მიმლოცველებს, რომლებიც ცოდვების მიტევებას შესთხოვდა ზეცას და საკლავს დაუკლავდა ღმერთებს.

3. მთელს კოლხეთში და იქით პაფლაგონიამდე ჰქონდა ტაძრები ძლიერ ქალღმერთს ჰეკატეს. მის ქურუმქალებს (ფარმაკისებს) მოჰყავდათ საშინელი სამსხვერპლო ცხოველები, რომელთა ხსენებაც იკრძალებოდა. ბრიმოს უწოდებდნენ საზარელ ქალღმერთს კოშმარულ სიზმართა მომავლინებელს. ამ ჰეკატესეულ სიზმრებს ახლდნენ შმაგი ღამეული მოჩვენებები, დიდი იყო ჯადოსნურ ბალახთა (მანდრაგორას, ბელადონას და სხვათა) ზეგავლენა.

ჯადოსნობაში განდობილი (ორფეოსი) ანწლის, ჭადრისა და სხვა მცენარეთა შეშის კოცონს აჩაღებდა. მედეას მიჰქონდა ბევრი ფარმაკა, ძაღლის ენა, საწყილის ბალახი და სხვა მცენარეები. მზადდებოდა ქადოსნური სითხეები.

ასე იყო თავის ჩანასახში მედიცინა ჯადოქრობასთან წილნაყარი. წამალი და საშინელება ერთად იყო, იმედს თან ახლდა ცრუ რწმენა, რაც დღესაც აბრმავებს ადამიანთა მოდგმას.

4. საბერძნეთშიც გაგრძელდა ეს მაგიური მედიცინა ანუ სამედიცინო მაგია. თვით მედეა ხომ დრაკონით შებმული ეტლით გაფრინდა კორინოდან და ათენში ჩავიდა. კოლხური ღვთისმსახურება საყოველთაო მოვლენად იქცა. ელინელები უპირველესად ჰეკატეს სცემდნენ თაყვანს, უფრო დახვეწილი და მხიარული ელინები კი ამ სახეს არტემიდასთან აიგივებდნენ. კორინთოშიც მდგარა მისი ქანდაკება, პოლიკლეტეს ნამუშევარი (პავსანიას დროს).

5. მთავარი ჯადოსნური შუქის ლივლივში ყველაზე უფრო მეტად ვითარდება ღამეული, მაცდური ხელოვნება ყოველნაირი. ამიტომ იყო პონტოში და მთელ მცირე აზიაში მთვარე, როგორც მენი, ღვთაებრივ რანგში აყვანილი. კაბირიაში ჰქონდა დიდებული ტაძარი... შემდეგ ძველი ღამეული მოჩვენებები განდევნეს და უფრო მხიარული წესჩვეულებები გავრცელდა, ღვთისმსახურებაც გამარტივდა. კოლხური ტომებიც და სხვა შედარებით გვიანდელი ხალხებიც უძველესი ხალხების გვერდით ცხოვრობდნენ, თეთრ სირიელთა მახლობლად, რომელთაც კაპადოკიელებს უწოდებდნენ. პრომეთეს*, იაფეტისა და აზიის ვაჟიშვილის დროიდან იწყება უფრო ნათელი პერიოდი კავკასიელ ხალხთა ცხოვრებაში. ცნობილია როგორ მოუტანა პრომეთემ, ფერულას ფუღურო ღეროში შენახული ცეცხლი ადამიანებს, რომელნიც მანვე შექმნა წყლისა და მიწისაგან,ჩაუნერგა სიბრძნის სიყვარული. ის წინასწარმეტყველი და წამალთა ოსტატიც იყო. ათენელებმა აკადემიაში მისი სახელობის საკურთხეველი აღმართეს. კავკასიონზე მიჯაჭვულ ტიტანს მკერდს უკორტნიდა საზარელი არწივი...

6. კოლხები თაყვანს სცემდნენ პრომეთეს დედას აზიას, ტიტანიდას, რომელსაც ჰესიოდე კლიმენეს უწოდებს, ის იყო დიდი დედა, მარჩენალი დედამიწისა. ფრიგიელები მას მაიას უწოდებდნენ, როგორც ყოვლის შემქმნელ დედას. რეა, კიბელე, აზია, ფაზისის ქალღმერთი უდავოდ ერთი და იგივეა. მისი სიმბოლო იყო ვაზი და მუხა. ფიზიკოსების განმარტებით, ეს იყო მიწა, ჰარმონია, რაც ყოველივეს ერთად კრავს.

7. პრომეთეს და დედამიწის გარდა კოლხები თაყვანს სცემდნენ ჰერაკლეს, რომელმაც იხსნა პრომეთე, სნეულებებისაგან ტანჯული ქვეყნის მცველი და მფარველი. სხვა გვიანდელი თქმულებებით, დიონისე ანუ ბაკქოსი ინდოეთიდან კავკასიის, ფრიგიისა და ლიდიის გავლით საბერძნეთში ჩავიდა და დახვეწილი კავკასიური ღმერთების თაყვანის ცემა, ოლიმპიურ ასპარეზობებთან ერთად პელოპონესზე გავრცელდა...

ეგვიპტელთა კულტურაზე უდავოდ დიდი ზეგავლენა მოახდინა კოლხთა და ფინიკიელთა კულტურამ, პრომეთე იყო მათი მამამთავარი, ხოლო ოსირისი და სესოსტრისი მჭიდრო კავშირში არიან კოლხეთთან, იქიდან აქვთ გადაღებული მიწათმოქმედების და წამალთმცოდნეობის ხელოვნება...

14. ეგვიპტელებმა კოლხებისაგან და ფინიკიელებისაგან, მოგვიანებით კი ელინელთაგან, გადაიღეს ღვთაებები, ოღონდ შეუგუეს ადგილობრივ გარემოს, თავიანთი მითები მიუსადაგეს და ცის შვილებად გამოაცხადეს, როგორც ნილოსი...

15. ამრიგად ძველ ეგვიპტელთა ღვთაებანი თითქმის ერთიანად კოლხური ჩამომავლობისა არიან, ფინიკიურთან და პელასგურთან ერთად, ეგვიპტური სახელები და ხალხის ხასიათი კი თვითონ შეუქმნეს. რელიგიური სისტემის მსგავსება ხან აქ გამოასხივებს, ხან იქ... მთავარი ღვთაებანი, ოსირისი და ისიდაც უცხოური წარმოშობისაა.

აქ ხომ გრანდიოზული გამოჩნდა: მსოფლიოს უდიდეს ცივილიზაციათა იდეოლოგიური აკვანიცა და სულიერი საზრდოც, - კოლხეთი ყოფილა!!! მიმაჩნია რომ ქართველ ენათმეცნიერ მკვლევართა შეხვედრა, სიმპოზიუმის სახით მომწიფდა, ვინ ითავებს მას? რამაზ პატარიძე? ზურაბ ქაფიანიძე? შალვა კაჭარავა? არ ვიცი, მაგრამ ვიცი რომ ყოველ მათგანს უსაზღვრო მეცნიერული მასალა დაუგროვდათთ. შეხვედრა საჭიროა.

თითქმის სავსებით საკმარისია ყოველი მოყვანილი მასალა: ჩემში უკმარისობის გრძნობა განელდა, მაგრამ... მაგრამ საბოლოო აკორდი ეკუთვნის. «XIX საუკუნის უდიდეს ფილოსოფოსს, მისტიკოსს, მოციქულს, რეფორმატორს, ტიტანს - გამოცანას სახელად ელენე ბლავატსკაია. მისი სიცოცხლე - ჭეშმარიტი ძიებაა, საქმენი კოლოსალური რომელნიც შეგვძრავენ, აღგვაფრთოვანებენ თავისი მთლიანობით, აქტუალობით და ყოფის ყოველ გეგმილზე გამოყენებითობით»

იგი ჭეშმარიტი მაცნე გახლდათ და «მაცნეს» ცხოვრების გზის ერთ-ერთი სიძნელეთაგანი იმაში მდგომარეობს, რომ იგი წარმდგარია მაყურებლის წინაშე სრულიად ჯანმრთელი, მაგრამ მას ბრალდება ავადმყოფობა, აწვენენ ქირურგიულ მაგიდაზე და უმცირეს ფსიქოლოგიურ წვრილმანებამდე განიკითხავენ. ამ დროს გამოუცდელი დილენტანტი - ქირურგის როლი იკისრა ბრმამ, რომელსაც მაცნემ მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა და თავისი ბედ-იღბალი ჩააბარა. ბრმამ თავის თავზე მსაჯულის როლი აიღო და მაცნე მსჯავრდადებულის მდგომარეობაში ჩააყენა.»

ნუ დავემსგავსებით, ამ უდიდესი ადამიანის მიმართ, ბრბოს, ვაღიაროთ მისი საკაცობრიო როლი, მადლობა შევწიროთ თბილისში, საქართველოში ყოფნისას წმინდა ნაკვალევის დატოვებისათვის და საქართველოსთვის ფასდაუდებელი ინფორმაციისათვის. აი ეს ინფორმაციაც:

«ძველ მეცნიერებათა უდიდესმა სპეციალისტებმა და მათ შორის უილიამ გოდვინმა, წარმოგვიდგინეს უტყუარი ცნობები იმისა, რომ ალქიმია ვრცლად იყო გავრცელებული თითმის ყველა ძველი ერების წიაღში გაცილებით ადრე ვიდრე ახალი ერა დაიწყებოდა და ბერძნებმა კი დაიწყეს მისი შესწავლა მხოლოდ ქრისტიანული ერას დაწყებისთანავე და ვერ გახდა საყოველთაო მეცნიერება გაცილებით უფრო გვიანდელ ხანამდე. რა თქმა უნდა მხედველობაშია საერო სივრცე, არა განდობილები, რამეთუ **დიდი საბერძნეთის** ელინური ტაძრების ადეპტები მას **არგონავტების დროიდან იცნობდნენ.** ასე რომ ალქიმია საბერძნეთში იწყება იმ დროიდან რომელსაც ასე კარგად გადმოგვცემს ალეგორია «ოქროს საწმის» - ზე.

ასე რომ, ჩვენ ისღა დაგვრჩენია მოვიყვანოთ ციტატა <<ლექსიკონი>>-დან იაზონის ექსპედიციის შესახებ ისე, როგორც ამას მისი მთქმელი სვიდი ამბობს. ეს იმდენად კარგადაა ცნობილი რომ მთლიანად გამეორებას არ საჭიროებს: <<დერას, ოქროს საწმისი იაზონისა და არგონავტებისაგან შავი ზღვით კოლხიდაში მოგზაურობის შემდეგ იყო მოპოვებული მეფე აიეტის ქალიშვილის მედეას, - დახმარებით. მხოლოდ იმისაგან განსხვავებით რასაც პოეტები ამბობენ, მათ ტყავზე დაწერილი ტრაქტატი წამოიღეს, რომელზედაც ეწერა ოქროს მიღების წესი ალქიმიური წესით. თანამედროვეებმა იმ ცხვარის ტყავს «ოქროს საწმისი» დაარქვეს, როგორც ჩანს მასზე მოყვანილი ცნობების განუზომელი ფასის გამო>>ასეთი ახსნა უფრო ნათელია და უფრო ახლოსაა სიმართლესთან, ვიდრე მითოლოგიის მეცნიერული უცნაურობანი, თანამედროვე რადგან ჩვენ უნდა გვახსოვდეს რომ ბერძნების **კოლხიდა** - ეს თანამედროვე იმერეთია შავ ზღვაზე და იქ გამავალი დიდი მდინარე რიონი - ეს ანტიკური ფაზისია*; და რომ იქ მაცხოვრებელი, მეგრელ და იმერელ მოსახლეობაში უამრავი თქმულებაა ოქროს საწმისზე. ისინი ამბობენ, რომ მათი წინაპარი ყველა «ოქროს გამკეთებელი» იყო, ანუ ფლობდნენ ტრანსმუტაციას, რასაც დღეს ალქიმიას უწოდებენ.»

შევეცდები დანარჩენი ვრცელი ინფორმაცია მოკლე კონსპექტის სახით გადმოქგცეთ:

1. ალქიმიას აქვს ორი მიზანი: ოქროს მიღება და ადამიანის გაახალგაზრდავება; და სიცოცლის გაგრძელება

menstruum universale*** um lapis philoso - phorum*.

არის მესამე მიზანი, რომელსაც სრულიად უგულებელყოფენ ზოგიერთი ადეპტები, რადგან სულის უკვდავებაში არიან დარწმუნებულნი და ზუსტად ეს უკანასკნელი მიზანი იზიდავს ჭეშმარიტი აღმოსავლური ალქიმიკოსების ყურადღებას. ყველა განდობილს ეზიზღება ოქრო**, გულგრილია ყოფითი ცხოვრებისადმი, სულაც არ ცდილობენ პირველი ორი მიზნის მიღწევას, მათ მხოლოდ მესამე მიზანი აწყობთ. აი მოკლედ: «სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს ქვა*** ლითონთა ტრანსმუტაციის საიდუმლოებას შეიცავს, ხანგრძლივი სიცოცხლის ელექსირს და გაცნობიერე-ბულ უკვდავებას»

არის სხვა უამრავი მასალა, მაგრამ ვფიქრობ, რომ არც მკითხველს რჩება არანაირი ხინჯი ძველი საქართვე-ლოს და კერძოდ ასომთავრულის საკაცობრიო მნიშვნელობის შესახებ. ვიმეორებ ძველი, და ვივარგებთ თუ არა ჩვენ ამ უდიდებულეს წინაპართა დაბედშავებული შთამომავალნი, ეს ჩვენს ვაჟკაცობასა და მოთმინებაზეა დამოკიდებული. ვფიქრობ ჩვენ არა გვაქვს უფლება წუწუნისა...



ბემბოს ფირის სამივე შრეს გარშემომცველი სიმბოლიკა იწყება რიცხვი 1-ით და ძაღლის ფიგურით ნიშნად იმისა, რომ პირველი, რაც მისტიურ გზაზე შემდგარ ადამიანს (ანუ რაც იგივეა - მონადას, ერთს) სჭირდება, ეს არის ძაღლის ერთგულება და უშიშარობა ერთდროულად. ერთგულება მოძღვრებისადმი და უშიშარობა, რადგან საშინელია ის განსაცდელები, რომელნიც ადამიანის საბოლოო მიზნისკენ, ოქროს საწმისისაკენ (რაც საკრალურ ცოდნას ნიშნავს), მიმავალ გზაზე არიან. ცოდნა კი ბოლოს მოდის განდობის სახით, აკი ბემბოს ფირი სწორედ



განდობილთა ფირია და რიცხვი 74 და მისი აღმნიშვნელი სიმბოლო ღორი განსაკუთრებული შინაარსით არიან დატვირთული.

ჯერ დავიწყოთ ერთგულებით. ძაღლის ერთგულება სიკვდილზე ძლიერია. ეგვიპტელთა და შუმერთა წარმოდ-გენებით, ძაღლი ეკუთვნის მზეს. ქართულ ამირანიანში ძაღლი ყურშა ყოველ ღამე, ლოკვით თითქმის განლევს ამირანის ჯაჭვს, მაგრამ მოდის დღე და მჭედელი კვლავ გაამთელებს გაწყვეტამდე მისულ ჯაჭვს. ჰეკატე



ქართული, კოლხური ღმერთი ყოფილა და ძაღლიც მისი საკულტო კუთვნილებაა.

ძაღლი ასევე ეკუთვნის ამირანის გამანთავისუფლებელს, ჰერაკლეს. მაშასადამე, ერთგულება ყველგან ძაღლის სიმბოლოთია წარმოდგენილი და თუ არა ძაღლის ერთგულება, ცხოვრების ურთულეს, მისტერიის გზის განლევა შეუძლებელია.

ამ შემთხვევაში, თუ ერთგულებამ და უშიშარობამ ნეოფიტისა გაიმარჯვა, მაშინ იგი მიაღწევს სანუკვარ მიზანს, - ღორს. ცოტა არ იყოს უცნაურია არა?! მაგრამ არც ისე რადგან მისტიური კანონების თანახმად ყველაზე დიდი საიდუმლოება და სიწმინდე რაც შეიძლება შემაძრწუნებელი და შემაშფოთებელი ფორმებით უნდა შეინიღბოს. აქვე დავძინოთ რომ აღმოსავლური კალენდარიც ღორით მთავრდება. სიტყვა ღ ო რ ი ასე აიხსნება: ღ - ოცდამეხუთე ასოა და ასომთავრულში ნიშნავს დიდ ღმერთს; ორ - სინათლეა; ი - 10 - აბსოლუტურად სრულყოფილი რიცხვი, ანდროგინი და მისი საიდუმლოება ერთდროულად. გამოდის, რომ:

| ღ | ორ | ი |
| --- | --- | --- |
| დიდი ღმერთი | სინათლე | 10 |

დიდი ღმერთის საიდუმლოების სინათლე. რასაკვირველია, რომ ეს სიმბოლურია და ვეძებოთ ამ წმინდა ცხოველის არსში დამალული სიმბოლური მინიშნებანი.

ღორი სამეგრელოს დროშაზეა გამოხატული: კოლხეთი - ოქროს საწმისი - უკვდავების ალქიმიური ცოდნა.

თუ ეს ასეა სხვაგანაც უნდა შეგვხვდეს რაიმე მსგავსი, მნიშვნელოვანი სიმბოლიკა. მართლაც არის ასეთი რამ:



ბუდას საპატივცემულოდ მჭედელმა (მჭედელი ვულკანის სიმბოლოა და ცეცხლი ცოდნას ნიშნავს: - ამირანმა ხომ ვულკანს მოსტაცა ცეცხლი) დაკლა ღორი.

ბუდამ თავის მოწაფეებს ცოტ-ცოტა ხორცი აჭამა რომ არ ეწყინა მათთვის ღორის ხორცს (ანუ რომ არ ეწყინა მათთვის ზედმეტ ცოდნას, - ღორი ხომ ცოდნას ნიშნავს. საერთოდ მოწაფეებს სრულ ცოდნას არასოდეს აძლევენ რადგან დიდი ცოდნისათვის მოუმზადებლები არიან: ნაადრევი ცოდნა მავნეა).

ყველაზე მეტს თავად მიირთმევს (რა თქმა უნდა ცოდნით იგი არნახულად აღმატებული იყო თავისსავე მოწაფეებზე) და დანარჩენ ნაწილს დაუბრუნებს ვულკანს და სთხოვს დამარხოს იგი **მიწაში** რაც შეიძლება ღრმად (ანუ რაც შეიძლება საიდუმლოდ), რათა არავის



ავნოს (აკი მოგახსენეთ A(ე. ბლავატსკაია) და შემთხვევითი როდია ამ საკრალური სახელის ქუთაისად გარდაქმნა. საქმე ის გახლავთ რომ ქუთაისი იმთავითვე კუთაისს ნიშნავს,ანუ კუთ-აისი. კუ-განდობილს, საიდუმლო ცოდნის მატარებელს ნიშნავს



და კუთ-აისი-განდობილთა ამომავალი მზის ქალაქს ნიშნავს.შევეცდები კიდევ უფრო დამაჯერებელი გავხდე

სიტყვა "კურთხევა" ნიშნავს გართხმულ კუს ანუ ადამიანს რომელიც დიდი ცოდნის მატარებელია და საკაცობრიო სიკეთეს ემსახურება,კურთხევა,-განდობას, ცოდნის მინიჭებას ნიშნავს.კიდევ ერთი სიტყვის გარჩევით დავიმკვიდროთ აზრი:ყველაზე დიდ ძალას წარმოადგენს ღვთის ნება და ცხო-ნება ნიშნავს შუბლზე მამის ნების ცხებას და აკი ვამბობთ ცხონება, ცხონებული.რას იზამ,ასეთია ჭეშმარიტება სიტყვა თავისას ამბობს. მაშ ასე:კუთაისი და სათაფლია.თაფლი ფუთკარს ნიშნავს,ფუთკარი უკვდავებას, ფილოსოფიას,ცოდნას.აქაც სიმბოლური თანხვედრა. და ბოლოს,ურიათა(თქვენ უკვე იცით რომ ურია,-სინათლის მატარებელს ნიშნავს)დასახლებას ქუთაისში -კულაში ჰქვიან, ანუ აქაც კუ-ლაში.

საბოლოოდ გამოდის რომ საქართველო,კოლხეთი,სამეგრელო სვანეთი იმერეთი,კუთაისი ნიშნავს ოქროს საწმისის ცოდნის საქართველოში აღორძინებას, რომელიც მეორედ ეძლევა მსოფლიოს საქართველოდან.თუ ოქროს საწმისის საქართველოდან პირველ წასვლას მოჰყვა ბერძნული,ეგვიპტური კულტურების ევოლუცია, დღეს ოქროს საწმისის ცოდნის განმეორებით ჩვენგან გასვლას მოჰყვება მსოფლიოს გადარჩენა და ახალ ეპოქაში დამკვიდრება. ალბათ გასაგებია,რომ საზოგადოება «რერიხი - სამყაროს დედა,» - უკვდავების ალქიმიის, ოქროს საწმისის კერაა.გამგები მოვა, ჩვენს მოძრაობაში «სრულყოფილი ადამიანი-სრულყოფილი საზოგადოება» გაწევრიანდება და თვითონაც ეზიარება სრულყოფილებას და მსოფლიოს გადარჩენაშიც მიიღებს მონაწილეობას.

ბოლოსათვის ყველაზე დამაჯერებელი დასტური შემოვინახე.აი ისიც:

ბოლო სიმბოლო ღორია და რიგით 74, მაგრამ ეს არაა მხოლოდ რიგით 74.ესაა 7(შვიდი) და 4(ოთხი), ანუ წინა ნომერში მოყვანილი მასალებიდან ვიცით,რომ ესაა სამოცდათოთხმეტი, ესაა შვიდსაწყისოვნება და ოთხი სტიქია და ვინც ეს გზა



განვლო იგი ღორის სიმბოლური არსის(ცოდნის) მფლობელია.ამის წინა სურათი 73 გამოსახავს ადამიანს რომელმაც შუბი(აზრი) ხერხემალი განავითარა და ფსიქიურ ცენტრთა გახსნის შემდეგ სამოცდამეთერთმეტე ნაბიჯზე ეზიარება ცოდნას შვიდსაწყისოვნებისა და ოთხი სტიქიისა ანუ 74(ღორს). მიაქციეთ ყურადღება,რომ ბემბოს ფირის სიმბოლოთა რაოდენობა ნიშნავს 74 ანუ ქართული ასომთავრულის მატრიცას და არა ტაროს არკანთა საერთო რიცხვს 78-ს. თქვენის ნებართვით ამ საკრალური ცხოველის შესახებ სხვადასხვა ხალხების ინფორმაციას მოგაწვდით და თუ დამღლელი იქნება მისი წაკითხვა, შეგიძლიათ გამოტოვოთ იგი: *ღორი ნაყოფიერი მიწათმოქმედების, ესეიგი აყვავების სიმბოლოა, მაგრამ ამავე დროს ნიშნავს გაუმაძღრობას, სიხარბეს, ღორმუცელობას, ბრაზს, შეუკავებელ ვნებას, ასევე უწმიდურობას. დედა ღორი სამყაროს დედასთანაა ასოცირებული და მას მთვარისა და ზეცის სიმბოლიკა აქვს. ამერიკელ ინდიელთათვის ღორი - მთვარის და მეხის ცხოველია, წვიმის მომგვრელი. ბუდისტები სანსარას (ყოფითი ცხოვრების) ბორბლის ცენტრში მოათავსებენ ღორს, როგორც ყოფითი ცხოვრების უბედურების ნიშანს, რადგან მასებისთვის ეს უმეცრებისა და სიხარბის, ცოდვილობის ნიშანია. ტიბეტის ბუდიზმში ალმასის ღორი - ეს ვაჯრავარახია, ანუ სამყაროს დედა და ცათა სასუფევლის დიდი დედოფალი. კელტებისათვის «ჭაღარა დედაბერი» ღორების დედოფალი კერიდვენი, - სამყაროს დედა ასევე გახზივოსნებული ფეა მთვარისა და ნაყოფიერების სიმბოლოა. ღორი მანანანას ატრიბუტია, რომელიც საუკეთესო საკვებით გვამარაგებს, ღორის ხორცით: ყოველდღე შეიძლება ღორების დაკვლა, და ისინი ყოველდღე ცოცხლდებიან. ჩინელებისათვის ღორი იმთავითვე სიხარბეს და სიბინძურეს ნიშნავს, თუმცა მოშინაურების შემდეგ ნაყოფიერი და სასარგებლო ცხოველია. ქრისტიანობაში დემონის დამარცხების სიმბოლოა, - წმინდა ენტონი ებოტის სიმბოლო რომელმაც წარმართობის დემონს სძლია. ეგვიპტეში ღორი იზიდას ეძღვნება, როგორც სამყაროს დედას, ასევე ემმკეს: შეიძლება გახდეს ბოროტების საწყისი როგორც სეტი ღორის ტიფონურ გამოვლინებაში. საბერძნეთში ღორი ელევსისის სიმბოლოა და წირავდნენ ცერერას და დემეტრას. დედა ღორი მიეძღვნება დიკტის ზევსს, რომელიც დედა ღორმა*

*გამოკვება თავისი რძით. ებრაელთათვის ღორი უწმიდურია და ამიტომ არ ჭამენ. ინდოეთში ალმასის ღორი - ვაჯრავარახი ქალური საწყისია და ვიშნუს ტახის სახით განსხეულებაა: არის სიცოცხლის წყარო და მოსავლიანობის სიმბოლო. მუსულმანისათვის - უწმინდურია და საკვებად აკრძალულია. ოკეანიის ხალხებისთვის მთვარის კულტია და მოსავლიანობას ნიშნავს. რომაელები ღორს მარსს წირავდნენ, ისევე როგორც ტულეს და ტერერას მოსავლის აღების დროს. შუმერულ-სემიტურ ტრადიციებში ღორი რიმონის, ტიამატის და სამყაროს დედის ატრიბუტია.*

ასე რომ ბემბოს ფირის ირგვლივ მისტიური სურათები ასახავენ 7 საწყისოვან სამყაროში ოთხი სტიქიის დაძლევის გზის სირთულეებს და მისტერიულ გარდაქმნებს, რაც ოქროს საწმისით მთავრდება. თუ მკითხველი ინტერესს შეინარჩუნებს, მაშინ წიგნიდან, რომელსაც მე ბერძნული მითების გახსნას უძღვნი, ამ მისტერიული სურათების იდეოლოგიასაც ეზიარება.

ახლა ვეზიაროთ ზურაბ ქაფიანიძის თეორიას და ჩვენეულად გავამდიდროთ, თუ რა თქმა უნდა, ბატონი ზურაბიც დაგვეთანხმება.



ბიქილაში ჩავხაზოთ წრე. ცენტრში **ხუთი, -** ადამიანი, - მიკროკოსმოსია. სამყარო დედამიწის ადამიანის ირგვლივ ბრუნავს. ადამიანი სამყაროს ცენტრია. ყველაფერი იწყება ნუმენალური ჭეშმარიტებით, ორით (2) (არკანი 2). წრე შემდეგ წერტილებში გადის: ექვსი 6 რაც მიწიერ განზომილებაში ფენომენალურ ცოდნას, იზიდას ნიშნავს. წრე აგრძელებს მოძრაობას და გადის რვიანს (წრის უმდაბლესი წერტილი), სადაც 6 - მაგია ან შავია ან თეთრი, ან ღვთაებრივი. თუ მაგია ღვთაებრივია, წრე აგრძელებს მოძრაობას და შედის 4-ში რაც პითაგორიზმის თანახმად ნიშნავს ღვთაებრივ რიცხვს შემდეგნაირად: სფერო, ღმერთი,- არის $4\pi R^2$ ფართობისა, მისი განივკვეთი $\pi R^2$. სფეროს ფართობის ($4\pi R^2$) მის განივკვეთთან ($\pi R^2$) შეფარდება უდრის ოთხს. ასეა თუ ისე, წრის რიცხვთა ჯამი უდრის <u>2+6+8+4=20</u> რაც ასევე ადამიანის ბუნების 20 გენეტიკური კოდის, მიმანიშნებელია რომელთა სრული დაუფლება არის ადამიანის (ცენტრში 5) ცხოვრების მიზანი და აკი გვაქვს ქართველებს სიტყვა **გაოცება**.

ჩამოუშვათ ორიდან ხვეული ხაზი (ორი (2) ნუმენალური ჭეშმარიტება). ორი შედის ხუთში და მთავრდება რვაში.

მივიღეთ ასონიშანი S (რიცხვითი ნომერი 32) ეს ასონიშანი გულია. სამი თვის ემბრიონში ისახება გული და S ფორმას იძენს. მაშასადამე ჭეშმარიტება (2) შემოდის ადამიანში (5) და უნდა გარდაიქმნეს ღვთაებრივ მაგიად (8). ასე რომ, ადამიანის გული S შეიცავს ჭეშმარიტებას. 2+5+8=15 რაც შემდეგი შინაარსისაა: ერთი - მონადა ხუთი ადამიანი. მოდით ცოტა ღრმად ჩავიხედოთ ამ რიცხვში და სიტყვა - «ადამიანში»: - პირველი ის, რომ **ადამი** არის **ანი**, ანი პირველი ანუ მთვარე. მეორე ის, რომ ა - ებრაულად წითელია და დამ - სისხლი და თუ გავიხსენებთ, რომ ანი, მთვარე მოძრაობაა, გამოდის, რომ ადამი არა მარტო პირველი არსებაა, არამედ ისიც, რომ ადამიანი, - წითელი სისხლის მოძრაობის არსებაა, რაც რა თქმა უნდა გულთანაა დაკავშირებული. ამისათვის ჩავიხედოთ ქართული ასომთავრულის მატრიცაში. ჩვენ დავინახავთ, რომ მზის (Ō) - მეოთხე (4) სვეტში შემდეგი ასონიშნები (b) (11), (9) (18), (∩) (25), (S) (32). ბლავატსკაია ამბობს, რომ ცეცხლის პირველი მატერიალიზაცია არის წყალი და წყლის სტრიქონში ცეცხლი (Ō) (მზე), გარდაიქცევა გულად(S) (მატერიალიზებული ცეცხლი) და რიცხვი 32-არის 2+3=5 ანუ დაიბადა ადამიანი.





***თამაზ თავაძე***

*(დასასრული შემდეგ ნომერში)*

